პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
27 ნოემბერი ორშაბათი 2017
№ 234 (16 226) ფასი 1₾

## 15 წლიანი მოლოდინი და...

# ქუთაისი ჩემპიონია



2



13

ნოემბრის ტესტები

## საქართველო 21:20 აშშ

10

## გენო მსოფლიოს ჩემპიონია





12

დღეს, 23:00

## სერბეთი VS საქართველო

| დინამო (თბ) | 0 |
|---|---|
| ტორპედო | 1 |

26. 11. თბილისი. დინამო არენა

**0:1 კაპანაძე (74)**
გამოუყენებელი პენალტი: კიტეიშვილი (90+6. დინამო)
დინამო (4-4-2): ლიტოვჩენკო - გეგეჭკორი, სალუქვაძე, კობოური, გადრანი - შულაია, კუცია (87. კოვტალიუკი), კიტეიშვილი, ქოჩლაძე (71. დავითაშვილი) - ქავთარაძე, მიქელთაძე
სათადარიგოები: რევიშვილი, კვარაცხელია, ალიუ, ნინუა, ლ. ხარაბაძე
მწვრთნელი: კახა კაჭარავა
ტორპედო (4-5-1): კვასხვაძე - ტაბატაძე, ხურცილავა, გურული, ქიმაძე - დოლიძე (74. კორობკა), გიგაური (63. ტულუში), ფალავანდიშვილი (85. მამასახლისი), კუხიანიძე, კუტალია - კაპანაძე
სათადარიგოები: ქვილითაია, ჭიჭინაძე, ბაბუნაშვილი, ბერიაშვილი
მწვრთნელი: კახა ჩხეტიანი
გაფრთხილება: გურული (24), ქავთარაძე (27), გიგაური (51), ფალავანდიშვილი (83)
არბიტრი: გ. ვადაჭკორია

# ქუთაისის ტორპედო

## მეოთხე ოქრო 15-წლიანი პაუზის შემდეგ

**დადგა** დღე, რომელსაც კარგა ხანია, ველოდით. ისე მოხდა, რომ საქართველოს ჩემპიონი პირველობის უკანასკნელ ტურში უნდა გარკვეულიყო. ერთგვარი "ოქროს მატჩი" იმთავითვე შეირაცხა ძალიან ტკბილ ლუკმად, რადგან ერთმანეთის წინააღმდეგ წარდგნენ "დინამო" და "ტორპედო" - ორი ყველაზე ტრადიციული ქართული კლუბი...

თამაშის დაწყებამდე "დინამო არენაზე" ვიხილეთ ძალიან ლამაზი ნაკეთობა - საჩემპიონო ფარი, რომელიც შეიცავს ძველქართულ იუველირულ ელემენტებს. ფარი ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე გამოიტანეს სტადიონზე...

### მატჩამდე

თუ "ტორპედომ" ამ შეხვედრისთვის ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყარა თავი, იმავეს ვერ ვიტყვით "დინამოზე". გუნდს დისკვალიფიკაციის გამო დააკლდა საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი **ლაშა თოთაძე.** რა თქმა უნდა, მისი არყოფნა სერიოზული პრობლემა იყო დინამოელთა მთავარი მწვრთნელის, **კახა კაჭარავასთვის.** მან ეს პრობლემა იმით გადაჭრა, რომ მარცხენა მცველის პოზიციაზე **დავით კობოურს** მისცა თავის გამოჩენის შანსი, ცენტრალურ მცველად კი **გიორგი გადრანი** მოგვევლინა. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ძალიან სტაბილურად მოთამაშე **ბაქარ ქარდავას** ტრავმაც. ანალოგიური მიზეზის გამო არ იყო **გიორგი ზარია.**

დიდი სიურპრიზები არ ყოფილა ტაქტიკური განლაგების მხრივ. ორივე მწვრთნელმა აირჩია ის სქემა, რომელსაც აქამდე ერთგულობდა. მატჩის დაწყების წინ შეხვედრის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს ბოლო დღეებში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების მსხვერპლთ. თამაშიც დაიწყო...

### მატჩი

თავიდან ბოლომდე თანაბარი თამაში იყო, რომლის ბედიც ცალკეული ფეხბურთელების, უფრო ზუსტად კი ფეხბურთელის თამაშმა გადაწყვიტა. ამას დაემატა **კახა ჩხეტიანის** გონივრული სამწვრთნელო ნაბიჯიც... ყველაფერზე თანამიმდევრობით ვთქვათ.

მაშ, რის ხარჯზე მოიგო "ტორპედომ"? უპირველეს ყოვლისა, მეტი გამოცდილება უნდა ვახსენოთ. ძირითადს რომ თავი დავანებოთ, ქუთა-



თურთა სათადარიგოთა სკამზეც კი ისეთი ფეხბურთელები არიან, რომელთაც კარიერის განმავლობაში ბევრი უნახავთ.

ამის მაგალითი **როინ კვასხვაძეა**. ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მან პირადად მოუპოვა "ტორპედოს" ჩემპიონის ტიტული - შეხვედრის ენდშპილში ჯერ ურთულესი, მიწიდან ასხლეტილი ბურთი მოიგერია **აკაკი შულაიას** დარტყმის შემდეგ, მერე კი იყო მატჩის კულმინაცია, როცა **ოთარ კიტეიშვილს** 11-მეტრიანი არ გაატანინა. რა თქმა უნდა, პენალტი არ იყო იდეალურად შესრულებული და რომ არა ეს, გოლი გარდაუვალი იქნებოდა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ნაკრების მეკარემ დიდოსტატურად "დატოვა" ფეხი.

**კახა ჩხეტიანმა** კი შეცვლა გამოიცნო. მინდორზე შეუშვა თუ არა უკრაინელი ლეგიონერი, **ვლადიმირ კორობკა,** მან ეგრევე საგოლე შეტევას ჩაუყარა საფუძველი. სწორედ კო-

| სამტრედია-დილა | 2:2 |
|---|---|

25.11. სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

**0:1 ძარია (31-პენ), 1:1 გიი (50), 2:1 ოლაიტანი (76), 2:2 ფანცულაია (90)**
სამტრედია: მიგინეიშვილი, კასრაძე, ბალდე, მჭედლიშვილი, ახალაძე, დათუნაიშვილი, რაჟამაშვილი (83. ოლხოვი), მანჯგალაძე, საბანაძე (90. მარკოზაშვილი), გიი (90. სამუშია), ოლაიტანი
სათადარიგოები: სტურუა, ი. დოლიძე, ბურკაძე, ნინუა
მწვრთნელი: უჩა სოსიაშვილი
დილა: ბეგაშვილი, კვახაძე, მაჩაიძე, ძარია (79. ჰეიფორდი), კირკიტაძე, პაპავა, პედრინიო (46. აშორტია), ნონიკაშვილი (74. კუსიანი), მორასი, ფანცულაია, კერელეიშვილი
სათადარიგოები: გუკუაშვილი, სოფრომაძე, ჭეჭელაშვილი, წიქარიძე
მწვრთნელი: გიორგი დარასელია
გაფრთხილება: კასრაძე (31), გი (57), პაპავა (63)
არბიტრი: გ. ყრუაშვილი

| ჩიხურა-ლოკომოტივი | 1:0 |
|---|---|

26.11. თბილისი. დავით პეტრიაშვილი

**1:0 სარდალიშვილი (48)**
ჩიხურა: ჰამზიჩი, მირცხულავა, ფონიავა, გაბედავა, სარდალიშვილი (85. დეკანოიძე), კორიფაძე, ტატანაშვილი (74. ცხადაძე), კაკუბავა, ჩიკვაიძე, დობროვოლსკი, გორგიაშვილი (82. ჭელიძე)
სათადარიგოები: მწყერაშვილი, განუგრავა, ლეკვთაძე, კვერნაძე
მწვრთნელი: სოსო ფრუიძე
ლოკომოტივი: თევდორაძე, კიკალიშვილი, ანდრონიკაშვილი, ქავთარაძე, კიკაბიძე (59. ვარძელაშვილი), გოროზია (46. წულეისკირი), არველაძე, კობახიძე, რეხვიაშვილი, უბილავა, სამურკასოვი (67. გვალია)
სათადარიგოები: ბ. ქურდაძე, ჩიტეიშვილი, ხიდაშელი, ლ. ქურდაძე
გაფრთხილება: კიკალიშვილი (50), კობახიძე (54), დობროვოლსკი (75)
არბიტრი: გ. ავაზაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორპედო | 36 | 23 | 7 | 6 | 59-27 | 76 |
| 2. დინამო (თბ) | 36 | 23 | 6 | 7 | 79-29 | 75 |
| 3. სამტრედია | 36 | 20 | 8 | 8 | 62-39 | 68 |
| 4. საბურთალო | 36 | 18 | 6 | 12 | 61-42 | 60 |
| 5. ჩიხურა | 36 | 17 | 4 | 14 | 47-54 | 55 |
| 6. ლოკომოტივი | 36 | 16 | 5 | 15 | 63-53 | 53 |
| 7. დილა | 36 | 11 | 8 | 17 | 41-51 | 41 |
| 8. დინამო (ბთ) | 36 | 10 | 3 | 23 | 28-60 | 33 |
| 9. კოლხეთი | 36 | 6 | 8 | 22 | 31-70 | 26 |
| 10. შუქურა | 36 | 4 | 9 | 23 | 35-78 | 21 |

**ბომბარდირი**

| | |
|---|---|
| ი. სიხარულიძე (ლოკომოტივი) | 25 |
| ბ. მიქელთაძე (დინამო თბ) | 15 |
| თ. კაპანაძე (ტორპედო) | 14 |
| დ. ტატანაშვილი (ჩიხურა) | 15 |
| გ. ხარაიშვილი (საბურთალო) | 13 |

მატჩის გმირი

## ფეხბურთში ასეთი ბედნიერი დღე არასოდეს მქონია!

**ეროვნული** **საფეხბურთო ლიგის 2017 წლის გამარჯვებული ქუთაისის "ტორპედო" გახდა და 15-წლიანი პაუზის შემდეგ ქვეყნის ჩემპიონის წოდება დაიბრუნა. "დინამო არენაზე" გამართული სეზონის გადამწყვეტი შეხვედრის გმირი კი ქუთაისელთა კაპიტანი როინ კვასხვაძეა.**

**"ტორპედოსა" და საქართველოს ნაკრების 29 წლის კიპერმა გუნდი მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ორჯერ გადაარჩინა: ჯერ აკაკი შულაიას უძლიერესი დარტყმისას, ბოლოს კი ოთარ კიტეიშვილის პენალტზე. ასე რომ, ქუთაისის "ტორპედოს" ჩემპიონობაში მან ლომის წვლილი შეიტანა.**



**კვასხვაძე ინტერვიუების დიდი მოყვარული არაა, მაგრამ "ოქროს მატჩის" შემდეგ უზომოდ გახარებული იყო და "ლელოსთან" ემოციები არ დაუმალავს.**

**- ჩემპიონობას გილოცავ! ასეთი თამაში ეროვნულ ლიგაში ძნელი გასახსენებელია და ამ ოქროს მედალსაც სულ სხვა ელფერი აქვს, ვიდრე 5 ტურით ადრე განაღდებულს.**

- არც ვიცი, რა ვთქვა, ისეთი ბედნიერი ვარ. როგორც უნდა განვითარდეს ჩემი კარიერა, ეს დღე, ეს თამაში და ეს მოვლენები არასოდეს დამავიწყდება. ასეთი ბედნიერი დღე ფეხბურთშია არასოდეს მქონია.

**- რეალურად, დღევანდელი "ოქროს მატჩის" ბედი თქვენ გადაწყვიტეთ - მსგავს შეხვედრაში ბოლო წამზე მოგერიებულ პენალტზე ნებისმიერი მეკარე იოცნებებდა...**

- ეს საოცნებო დღე იყო. შესაძლოა, ასეთი რამ ცხოვრებაში ერთხელ მოხდეს. თუმცა, იმედი მაინც მაქვს, რომ ჩემს კარიერაში მსგავს ბედნიერ წუთებს კიდევ განვიცდი. უბედნიერესი კაცი ვარ, რომ ბოლო წუთზე პენალტი ავიღე და ჩემი "ტორპედოს" წარმატებაში დიდი წვლილი შევიტანე.

**- ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი ჩემპიონატის ასეთ დამაინტრიგებელ და მოულოდნელ ფინიშზე ვერც იოცნებებდა.**

- პირადად ჩემი კარიერიდან მსგავსი თამაში არ მახსენდება. ალბათ, ასეთივე დაძაბული თამაში იყო 15 წლის წინ, როდესაც პატარა ბიჭი ვიყავი და ბოლო ტურში ქუთაისში "ტორპედომ" "დინამო" 1:0 დაამარცხა. ეს სიხარული მთელი ქუთაისის წარმატება და სიხარულია და ამიტომ ყველას ვულოცავ - ჩვენ ჩემპიონები ვართ!

**მერაბ მამულაშვილი**




## კვასხვაძემ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ძლიერი პიროვნებაა

**კახა ჩხეტიანმა ქუთაისის "ტორპედო" შარშან ჩაიბარა და ახალი სუნთქვა შემატა. მივიდა გუნდში, რომელიც არასტაბილურად თამაშობდა და ტიტულების მოპოვებას ვინ ჩივის, ლიგაში ადგილის შენარჩუნებას ცდილობდა...**

**მაგრამ პირველივე სეზონში მისი ხელმძღვანელობით "ტორპედო" საქართველოს თასის მფლობელი გახდა, წლეულს კი ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა და 2 დეკემბერს საქართველოს თასის ფინალში საჩხერის "ჩიხურასთან" გამარჯვებას და დუბლის შესრულებას შეეცდება.**

**აი, რას ამბობს ის "ლელოსთან" ინტერვიუში:**

**- ჩემპიონატის დასრულებამდე 4 ტურით ადრე "დინამოსთან" არც ისე პატარა სხვაობით აგებდით, რომლის აღმოფხვრაც წარმოუდგენელი ჩანდა. ამ ყველაფრის შემდეგ სეზონის მსგავს ფინალს და "ტორპედოს" ჩემპიონობას ვერავინ წარმოიდგენდა.**

- რაც ადამიანისთვის წარმოუდგენელია, ღმერთისთვის შესაძლებელია. დღეს ასე მოხდა და უფალს მადლობას ვუხდი. ეს უდიდესი სიხარულის განცდაა. 2002 წლის შემდეგ ქუთაისის "ტორპედოს" ტიტული არ მოუპოვებია და 15 წლის შემდეგ შენს მშობლიურ ქალაქს ქვეყნის საუკეთესო გუნდის ტიტულით რომ ახარებ, ამას ვერაფერი აწონის. ხომ წარმომიდგენია, ახლა ქუთაისელი გულშემატკივრების გულში რა ხდება. ამისთვის გვიღირდა შრომა, მოთმინება, ბოლომდე ბრძოლა. მადლობა ჩვენს ბიჭებს, მათ ვაჟკაცობას და შემართებას. გეთანხმებით, ასეთ დროს, შესაძლოა, ბევრი დანებებულიყო და ყურები ჩამოეყარა. მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს და დაამტკიცეს, რომ ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს, თუნდაც, ყველაზე რთულ ვითარებაში. მათ გული და სული ჩადეს მოედანზე და რაც მთავარია, მთელი სეზონის

გაგრძელება მე-3 გვერდზე »

**მილოცვა**

სარაგბო კლუბი ქუთაისის "აია" საქართველოს ჩემპიონობას ულოცავს ქუთაისის "ტორპედოს" საფეხბურთო გუნდს და უსურვებს, წარმატებით დაეცვას საქართველოს ღირსება საერთაშორისო არენაზე.

# საქართველოს ჩემპიონია!



რობკას გადაცემას მოჰყვა **თორნიკე კაპანაძის** საგოლე თავური.

ზოგადად, მწვრთნელებმა რამდენჯერმე გადააწყვეს შემადგენლობა. "დინამოზე" აუგს ვერ ვიტყვით - შეიძლება, მასპინძელი ვერ იყო ძალიან მწვავე თავის შეტევებში, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ შეხვედრის მეტი წილი მათთვის სასურველი სცენარით მიმდინარეობდა...

ბოლოს თბილისელებმა მოუმატეს და კაჭარავამაც გამოიცნო შეცვლა - **მიკოლა კოვტალიუკს,** მთელი ნახევარი სეზონი რომ ტყუილად იყო "დინამოში", გმირობის შანსი ჰქონდა, მაგრამ მისი მოპოვებული 11-მეტრიანი გოლად ვერ იქცა.

ზოგადად, "დინამოს" ამ შემადგენლობას, ძალიან ახალგაზრდულს და ნიჭიერს, მაგრამ ჯერაც ძალიან გამოუცდელს, ვერავინ მოსთხოვდა უცილობელ ჩემპიონობას. ის კი არა, ბევრი არც იმას ელოდა, კაჭარავას ბიჭები მეორე ადგილს თუ შესწვდებოდნენ.

გავიხსენოთ ისიც, რომ "დინამო" ზაფხულში ერთხელაც დაიცალა ლიდერებისგან. ეს ის შემთხვევაა, როცა მწვრთნელს საყვედური კი არა, საქებარი სიტყვები ეკუთვნის...

"ტორპედოს" კი დუბლის შესრულების შანსი აქვს. თასის ფინალში ქუთათურებს საჩხერის "ჩიხურა" ელით.

## დიდი ჯაფა

ღრმა ბავშვობიდან ფეხბურთს ვუყურებ და ასე რთულად სამსაჯო თამაში ძალიან იშვიათად მინახავს. როცა თამაშში უშუალოდ არ ხარ ჩართული, ძალიან რთულია, იმ ეპიზოდებზე წერა, რომელთა ბედსაც სანტიმეტრები წყვეტენ. ამ შეხვედრაში იყო ორი საკამათო ეპიზოდი და ორივეს ვიდეოგამეორება ვნახე. **ლევან კუტალიას** ულამაზესი გოლისას თამაშგარეა, ცოტა უფრო ბუნდოვანია პენალტის შემთხვევა. ფაქტია, რომ არბიტრმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. ჩემი პირადი აზრით, იქ უფრო არის 11-მეტრიანი, ვიდრე - არა.

საერთო ჯამში, მსაჯთა ბრიგადამ ღირსეულად გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას. ფაქტია, მათ მართლაც რომ ურთულესი მატჩის განსჯა მოუხდათ. ჯერ ერთი, ეს იყო საგანგებო მნიშვნელობის შეხვედრა, და მეორეც - თამაშში მოვლენები ისე დრამატულად განვითარდა, ძნელად თუ წარმოვიდგენდით...

**ალეკო კაკაურიძე**

### მატჩის სტენოგრამა

**6'** - ქოჩლაძის ჩაწოდებულს სალუქვაძემ მიმართულება შეუცვალა. დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა.

**10'** - "ტორპედოს" მრავალსვლიანი, კარგი კომბინაცია. კაპანაძემ კარგად დაუტოვა ბურთი ფალავანდიშვილს, რომლის დარტყმაც ზუსტი ვერ გამოდგა.

**12'** - დოლიძის დარტყმა-ჩაწოდება. ლიტოვჩენკო ადგილზეა.

**21'** - დოლიძის ჩაწოდება, კუტალიას ბრწყინვალე "მაკრატელა" და გოლი, მაგრამ არბიტრმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

**23'** - "დინამოს" კონტრშეტევა. კიტეიშვილის დარტყმა არაზუსტია.

**27'** - დოლიძის ჩაწოდება. კუტალიას თავურს სიზუსტე აკლია.

**38'** - ტაბატაძის ჩაწოდება და კაპანაძის თავური. ლიტოვჩენკომ ბურთი ნახტომში მოიხელთა.

**39'** - ისევ ტაბატაძის ჩაწოდება და ამჯერად კუტალიას თავური. ლიტოვჩენკოს ბურთი ხელებში მიუვიდა.

**44'** - ქავთარაძემ უკნიდან მიარტყა ფეხი დავით ხურცილავას. მინდორზე სიტუაცია დაიძაბა, მაგრამ მალე განიმუხტა.

**49'** - გეგეჭკორის ჩაწოდება. კვასხვაძე დამაჯერებელია.

**59'** - კიტეიშვილის შორეული, მაგრამ არაზუსტი დარტყმა.

**66'** - შულაიას ჩაწოდების შემდეგ ქავთარაძე ბურთს ვერ მისწვდა.

**74'** - გოლი! 0:1. კორობკას შესანიშნავი გადაცემის შემდეგ კაპანაძემ თავური დარტყმით აიღო "დინამოს" კარი.

**77'** - ტულუშის დარტყმული ბურთი ლიტოვჩენკოს ხელებში მიუვიდა.

**78'** - კიტეიშვილის დარტყმა და კვასხვაძე კუთხურზე იგერიებს ბურთს.

**82'** - ქავთარაძეს ხელსაყრელი სიტუაციიდან ვერ გააქვს.

**87'** - ტაბატაძის დარტყმა მცირე მანძილით სცდება დინამოელთა კარს.

**90'** - შულაიას დარტყმის შემდეგ "ტორპედო" კვასხვაძემ გადაარჩინა.

**90+6'** - გურული კოვტალიუკის წინააღმდეგ თამაშობს. ეს უკანასკნელი გაზონზე ეცემა და არბიტრი თერთმეტმეტრიანს ნიშნავს. კიტეიშვილის დარტყმას კვასხვაძე ფეხით იგერიებს. დამთავრდა! 15-წლიანი პაუზის შემდეგ ტორპედო კვლავ საქართველოს ჩემპიონია! მეოთხედ!

« მე-2 გვერდიდან

განმავლობაში ლამაზი ფეხბურთის ჩვენებაც მოახერხეს. მთელ ქუთაისს და განსაკუთრებით, ჩვენს უმაგრეს გულშემატკივრებს ამ დიდ გამარჯვებას ვულოცავ.

**- ქუთაისში ჩემპიონობა ფეხბურთელის რანგშიც გიზეიმიათ.**

- ეს 1999 წელს მოხდა, როდესაც მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი იყო. 2002 წელს კი, როდესაც მესამე ოქრო მოვიპოვეთ, უკვე უცხოეთში ვიყავი წასული.

**- "ტორპედოს" ჩემპიონობაში ყველაზე უცნაური ფაქტი ისაა, რომ თქვენ არ ხართ ყველაზე მდიდარი კლუბი. გარკვეული პერიოდი ფინანსური პრობლემებიც გქონდათ, მაგრამ ეს გუნდის თამაშზე არ აისახებოდა.**

- კარგია, რომ ყოველთვის ყველაფერი ფულით არ ისაზღვრება. "ლესტერიც" არ იყო ყველაზე მდიდარი კლუბი, მაგრამ ეპოქა შექმნა. პრობლემები გვქონდა, მაგრამ მერე მოგვარდა. თუმცა, სულ ლიდერებში ყოფნა რთული იყო - ჩვენს ბიჭებს ამიტომაც ეკუთვნით მადლობა, რომ მათ არა მხოლოდ იბრძოლეს, დიდი მოთმინებაც გამოავლინეს. მათ სჯეროდათ, რომ ერთსულოვნებით წარმატების მიღწევა შესაძლებელი იყო და დღეს მიზანს მივაღწიეთ.

**- გულწრფელად თქვით, რას ფიქრობდით, ბოლო წამზე "ტორპედოს" კარში პენალტი რომ დაინიშნა?**

- ცხადია, არასასიამოვნო იყო, მაგრამ იმედი არ მტოვებდა. პენალტი ავტომატურად გოლს არ ნიშნავს და უფალზე ვიყავი მინდობილი. კვასხვაძის ხელმა გადაგვარჩინა.

**- უფრო სწორად - ფეხმა...**

- (იცინის) დიახ, ფეხმა და როინს მადლობას ვუხდი. ამ წარმატებაში მთელმა გუნდმა უდიდესი წვლილი შეიტანა, მაგრამ ბოლოს უკვე როინმა ივაჟკაცა და მოგვაგებინა. თავად ძლიერი პიროვნებაა და ეს კიდევ ერთხელ გამოავლინა.

**- გასვლით თამაშზე მინიმუმ 1000 გულშემატკივარი გიჭერდათ მხარს. ამას ნებისმიერი ქართული გუნდი ინატრებდა.**

- ჩემი აზრით, "დინამო არენაზე" "ტორპედოს" 1500-ზე მეტი გულშემატკივარიც იყო. მათ ჩვენ უდიდესი სამსახური გაგვიწიეს - მათ თანადგომას მთელი მატჩის განმავლობაში ვგრძნობდით. ტრიბუნებზე მსხდომთა გარდა, დარწმუნებული ვარ, რომ ბევრმა ჩამოსვლა ვერ მოახერხა, მაგრამ სახლიდან, ტელევიზორებთან გვქომაგობდნენ. გულწრფელად ვამბობ, რომ ჩვენ გვეამაყება და ბედნიერები ვართ, ასეთი ქომაგები რომ გვყავს. ისინი საქართველოს ახსენებენ, რომ ამ ქვეყანაში ფეხბურთი უზომოდ უყვართ. დღეს შეხვედრაზე მინიმუმ 5-6 ათასი მაყურებელი მაინც მოვიდა და შედარებით პატარა სტადიონზე რომ გვეთამაშა, მაყურებლის რაოდენობა უკეთ გამოჩნდებოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

## ტორპედო ჩემპიონის ფარის პირველი მფლობელია



**ყველა** ცნობილ ლიგაში დამკვიდრებული წესია - ჩემპიონობის აღსანიშნავად გუნდს სინი ან მსგავსი სიმბოლური პრიზი გადაეცემა. ჩვენთან კი ეს წელს პირველად მოხდა - 2017 წლიდან ეროვნული ლიგის გამარჯვებულს "ჩემპიონის ფარი" გადაეცემა.

ფარის დიზაინზე კომპანია Kollektiv მუშაობდა, ხოლო ეროვნული ლიგის ჯილდოზე - იუველირი გოგა ელბაქიძე. ფარი თეთრ ოქროშია ამოვლებული, 55 სმ დიამეტრისაა და 10 კგ-ს იწონის. ჩემპიონის ფარზე ხევსურული ორნამენტების გარდა, გამოსახულია 1990 წლიდან მოყოლებული, ქვეყნის ყველა ჩემპიონი კლუბი სეზონების მიხედვით.

იდეა ფეხბურთის ფედერაციაში შეიმუშავეს და შემდეგნაირად დაასაბუთეს: ჩემპიონის ფარი ძველი ხევსურული ფარის დეტალებს იმეორებს. ხევსურული ფარი კი, დაცვის გარდა, შეტევის ფაზაშიც წარმატებით გამოიყენებოდა. ანუ ამ ფუნქციური ბალანსით ის კარგად ასახავს ფეხბურთს და ზოგადად გუნდური შეჯიბრების ხასიათს.

ჩემპიონის ფარის პირველი მფლობელი ქუთაისის "ტორპედო" გახდა, რომელმაც გუშინ "დინამო არენაზე" ფინალის ტოლფას შეხვედრაში თბილისის "დინამო" ეროვნული ლიგის ბოლო ტურში 1:0 დაამარცხა და ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს 15-წლიანი პაუზის შემდეგ მეოთხედ დაეუფლა.

**მერაბ მამულაშვილი**

### ლევან კუტალია

## ასეთ გუნდში თამაში და ამ წარმატების გაზიარება ძალიან მაგარი განცდაა

**ლევან კუტალია** ქუთაისის "ტორპედოში" გადასვლისას ამბობდა, რომ ამბიციურ გუნდში თამაში და ტიტულების მოპოვება სურდა. არც შემცდარა - პირველივე სეზონში ოქროს მედალი ჩამოიკიდა და რაც მთავარია, მან ეს კარგი თამაშით დაიმსახურა.

ფინალის ტოლფას თამაშში პირველად კარის ბადე 29 წლის შემტევმა ნახევარმცველმა შეარხია - კუტალიამ **გრიგოლ დოლიძის** ფლანგური გადაცემა ულამაზესი გოლი "მაკრატელათი" დააგვირგვინა, მაგრამ თამაშგარე დაუფიქსირეს და გოლი არ ჩაუთვალეს. თუმცა, შეხვედრა და საერთოდ, სეზონი ძალიან კარგად ჩაატარა.

*"სასიხარულოა, რომ ჩემპიონები გავხდით და რომ ამ წარმატებაში ჩემი წვლილი შევიტანე. 15 წელია, რაც ქუთაისი და გუნდის გულშემატკივარი "ტორპედოსგან" ჩემპიონობას ელოდებოდა. ჩვენ სეზონის მთავარ შეხვედრაში დამსახურებულად გავიმარჯვეთ და გულშემატკივარი გავახარეთ. ეს ჩემთვის უბედნიერესი დღეა - რამდენ გუნდში მითამაშია, მაგრამ ასეთ მეგობრულ და ძლიერ გუნდში მოხვედრა და ამ წარმატების გაზიარება ძალიან მაგარი განცდაა",* - ამბობს კუტალია.

ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა. "ტორპედოს" მრავალი ტრავმირებული ჰყავდა. მაგრამ ამ ჭირმა საკვანძო მოთამაშეების უმრავლესობას გვერდი აუარა და მათ საკუთარი შესაძლებლობები კარგად წარმოაჩინეს. ვაჟა ტაბატაძეს სწორედ ტრავმამ შეუშალა ხელი, თბილისის "დინამოში" თავი რომ გამოეჩინა. მაგრამ ქუთაისელთა მარჯვენა მცველმა წლევანდელი სეზონი კარგად ჩაატარა და გუნდის წინსვლაში დიდი როლი ითამაშა:

*"ეს იყო რეალურად ჩემპიონატის ფინალი და ყველა ორმაგად და სამმაგად მობილიზებული ვიყავით, რომ სეზონის საუკეთესო თამაში ჩაგვეტარებინა. შედეგიც სახეზეა - ბიჭებმა არაფერი დაიშურეთ და ჩვენც უზომოდ გავიხარეთ და გულშემატკივარსაც დიდი სიხარული მივანიჭეთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

### ეროვნული ლიგა 2. XXXVI ტური

| | |
|---|---|
| ცხინვალი-გაგრა | 4:0 |
| მეშახტე-რუსთავი | 1:0 |
| მერანი-ზუგდიდი | 2:1 |
| ვიტ ჯორჯია-გურია | 1:0 |
| სიონი-სამგურალი | 1:2 |

#### საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 36 | 26 | 5 | 5 | 72-25 | 83 |
| 2. მერანი | 36 | 24 | 8 | 4 | 67-16 | 80 |
| 3. სიონი | 36 | 18 | 5 | 13 | 52-48 | 59 |
| 4. სამგურალი | 36 | 16 | 5 | 15 | 46-46 | 53 |
| 5. გაგრა | 36 | 16 | 5 | 15 | 46-38 | 53 |
| 6. ვიტ ჯორჯია | 36 | 14 | 10 | 12 | 42-40 | 52 |
| 7. ცხინვალი | 36 | 11 | 7 | 18 | 62-75 | 40 |
| 8. გურია | 36 | 11 | 4 | 21 | 47-68 | 37 |
| 9. მეშახტე | 36 | 7 | 6 | 23 | 33-75 | 27 |
| 10. ზუგდიდი | 36 | 6 | 7 | 23 | 32-68 | 25 |

#### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დათა სიჭინავა (რუსთავი) | 30 |
| ჯაბა დვალი (სიონი) | 21 |
| სერგეი ტრეტიაკი (მერანი) | 21 |
| თამაზ მაქაცარია (ცხინვალი) | 21 |
| რევაზ ბარაბაძე (მერანი) | 19 |

#### ეროვნული ლიგის პლეი ოფი
**30 ნოემბერი**

სიონი-დინამო (ბთ)
კოლხეთი (ფ)-მერანი

*საპასუხო მატჩები 3 დეკემბერს*

#### ეროვნული ლიგა 2-ის პლეი ოფი
**29 ნოემბერი**

მეშახტე-ნორჩი დინამო
თელავი-გურია

*საპასუხო მატჩები 3 დეკემბერი*

### ლიგა 3. II ეტაპი

#### ზედა ჯგუფი. ბოლო ტური

| | |
|---|---|
| კოლხეთი (ხ)-ნ. დინამო | 0:1 |
| თელავი-სამეგრელო | 5:0 |
| შევარდენი 1906-იმერეთი | 6:0 |
| გარდაბანი-ჭიათურა | 7:1 |
| ბეთლემი-მარკ სტარსი | 5:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შევარდენი | 18 | 13 | 4 | 1 | 49-10 | 43 |
| 2. ნ. დინამო | 18 | 12 | 3 | 3 | 45-21 | 39 |
| 3. თელავი | 18 | 12 | 3 | 3 | 56-15 | 39 |
| 4. გარდაბანი | 18 | 9 | 4 | 5 | 40-18 | 31 |
| 5. მარკ სტარსი | 18 | 7 | 3 | 8 | 37-32 | 24 |
| 6. იმერეთი | 18 | 5 | 6 | 7 | 13-26 | 21 |
| 7. ჭიათურა | 18 | 5 | 2 | 11 | 15-33 | 17 |
| 8. ბეთლემი | 18 | 4 | 4 | 10 | 23-44 | 16 |
| 9. კოლხეთი (ხ) | 18 | 3 | 4 | 11 | 9-39 | 13 |
| 10. სამეგრელო | 18 | 1 | 5 | 12 | 12-61 | 8 |

*თბილისის "შევარდენი 1906" მომდევნო სეზონში ეროვნული ლიგა 2-ში იასპარეზებს, "ნორჩი დინამო" და "თელავი" კი ორმატჩიან პლეი ოფში დაუპირისპირდებიან ეროვნული ლიგა 2-ში VIII და IX ადგილებზე (შესაბამისად, "გურიას" და "მეშახტეს") გასულ გუნდებს.*

#### ქვედა ჯგუფი. ბოლო ტური

| | |
|---|---|
| სქური-ბორჯომი | 0:0 |
| ოდიში 1919-ლიახვი | 5:1 |
| გორი-მარგვეთი 2006 | 0:1 |
| ჩხერიმელა-სულორი | 1:0 |
| ალგეთი-საპოვნელა | 5:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გორი | 18 | 9 | 6 | 3 | 31-12 | 33 |
| 2. ალგეთი | 18 | 9 | 4 | 5 | 36-19 | 31 |
| 3. ბორჯომი | 18 | 8 | 6 | 4 | 30-21 | 30 |
| 4. სულორი | 18 | 9 | 3 | 6 | 20-21 | 30 |
| 5. მარგვეთი | 18 | 8 | 5 | 5 | 27-17 | 29 |
| 6. სქური | 18 | 6 | 6 | 6 | 22-22 | 24 |
| 7. ოდიში | 18 | 7 | 3 | 8 | 27-31 | 24 |
| 8. ჩხერიმელა | 18 | 6 | 5 | 7 | 22-27 | 23 |
| 9. ლიახვი | 18 | 6 | 1 | 11 | 35-37 | 19 |
| 10. საპოვნელა | 18 | 1 | 3 | 14 | 9-52 | 6 |

*"გორი", "ალგეთი" (მარნეული), "ბორჯომი" და "სულორი" (ვანი) მომავალ სეზონშიც ლიგა 3-ში იასპარეზებენ.*

#### პლეი ოფი (1 მატჩი)

27.11. სამტრედია.
ეროსი მანჯგალაძე. 13:00
**მარგვეთი 2006-სამგურალი 2**

28.11. გორი. ქართლი. 13:00
**სქური-არაგვი**

*ლიგა 3-დან რეგიონულ ლიგაში დაქვეითდნენ: "ოდიში 1919", "ჩხერიმელა", "ლიახვი", "საპოვნელა"; რეგიონული ლიგიდან აღზევდნენ: "ბახმარო" (ჩოხატაური), "მაჭახელა" (ხელვაჩაური), "საბურთალო 2" (თბილისი) და "ვარკეთილი" (თბილისი).*

**დინამო (ბთ) 1**
**კოლხეთი 2**

26.11. ბათუმი. რაგბი არენა

1:0 თევდორაძე (50-პენ), 1:1 ბუხაიძე (63. კაკულიას პასით), 1:2 დერებჩინსკი (77. ბუხაიძის პასით)

დინამო (ბთ): ტიმოფეევი - ქორიძე, ნაკაშიძე, კვირკველია (46. მგელაძე), სუხიაშვილი - ვარშანიძე - ჩოგაძე, ჯოვინო ფლამარიონი (46. ოქროპირიძე), თევდორაძე, კვანტალიანი (80. კეკუა) - კვასოვი

სათადარიგოები: შოვნაძე, თანდილავა, ბუხგელცერი, მარცვალაძე

მწვრთნელი: ასლან ბალაძე

კოლხეთი: სეფიაშვილი - იგორ ბროვკო, ს. გურეშიძე, გოგონაია, კაკულია - ნონდი, ჯანელიძე - ბუხაიძე, ბოლქვაძე, ჯონ მაჩარია (46. ჟიშკარიანი) - დერებჩინსკი

სათადარიგოები: შერმადინი, გ. კილასონია, ლ. მახარაძე, შალიკაშვილი, ბახია

მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი

გაფრთხილებები: კვასოვი (48), გურეშიძე (50)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

ამ შეხვედრაში ბათუმელებმა ძირითადი შემადგენლობით არ ითამაშეს. "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა ასლან ბალაძემ ბევრი მოთამაშე დაასვენა და აშკარა იყო - ბათუმელები ბოლნისის "სიონთან" პლეი აუტის შეხვედრებისთვის ემზადებიან, ამჯერად კი მოთამაშეების ნაწილი ტრავმებისა და დისკვალიფიკაციის გამო დაასვენეს.

# კოლხები პლეი აუტში ითამაშებენ

არადა, ბათუმელები მოგებასთან ხლოს იყვნენ. საჯარიმოში დიდი სისწრაფით შეჭრილი **თემურ ჭოგაძე სანდრო გურეშიძემ** მოცელა და ყვითელი ბარათი და პენალტი დაიმსახურა. **ვაკო თევდორაძემ** კი შანსი გოლად აქცია - 1:0.

მაგრამ ფოთელებმა შეტევები გააძლიერეს და წონასწორობა მეორე ნახევარში აღადგინეს: **ლევან კაკულიას** შესრულებული კუთხურის შემდეგ მეკარის საჯარიმოსთან მცველებს **გიორგი ბუხაიძე** გაექცა და თავით ზუსტად დაარტყა 1:1.

ბუხაიძე იყო მეორე გოლის თანაავტორიც. მისი გადაცემის შემდეგ მცველებს უკვე **ალექსანდრ დერებჩინსკი** დაუსხლტა, კოლხები დააწინაურა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა 1:2.

ამგავარდ, **ალექსანდრე შტელინის** გუნდმა მიზანს მაინც მაიღწია, "შუქურა" უკან ჩამოიტოვა და პლეი აუტში თამაშის უფლება მოიპოვა - ფოთელები 29 ნოემბერს და 3 დეკემბერს მარტვილის "მერანს" შეხვდებიან.

**სერგო კორძაია**



**შუქურა 1**
**საბურთალო 2**

26.11. სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

0:1 ტერა (21), 0:2 ტერა (65), 1:2 ა. გურული (74)

შუქურა: სომხიშვილი - ჩადუნელი, გოგიტიძე, პომაზანი (64. ჩაჩუა) - ჯეფინიო, კლიმიაშვილი, მარსელინიო (85. გოგილაშვილი), გურული - ართმელაძე (46. ჩაგელიშვილი), შალამბერიძე, კახელიშვილი

სათადარიგოები: მელნიჩენკო, კალანდაძე, მალაზონია, დასე

მწვრთნელი: გიორგი შაშიაშვილი

საბურთალო: გოშაძე - იაშვილი, ცნობილაძე, თედორე გრიგალაშვილი, ლაკვეხელიანი - მამუჩაშვილი, ელვინ ტერა - გვარაძე (84. შინდაგორიძე), თარხნიშვილი, ვოლკოვი (55. კოხრეიძე) - მუეცი (68. იმნაძე)

სათადარიგოები: კუპატაძე, მარგველაშვილი, შინდაგორიძე, ჩაბრაძე, იმნაძე, კოხრეიძე

მწვრთნელი: გიორგი ჭიაბრიშვილი

გაფრთხილება: კახელიშვილი (86), კლიმიაშვილი (90+1)

არბიტრი: პ. მაჭარაძე

# შუქურა ეროვნულ ლიგას დაემშვიდობა

გავრცელებული ჭორები, რომ "საბურთალო" "შუქურას" "გაატარებდა", ჭორადვე დარჩა - **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდმა ამჯერადაც არ იკადრა ის, რასაც ადრეც არ კადრულობდა და მიუხედავად იმისა, რომ მე-4 ადგილი დაიკავა, ამჯერადაც ბოლომდე იბრძოლა.

ანგარიში 21-ე წუთზე გახსნეს: ნომინალურმა მასპინძლებმა **ნოდარ იაშვილის** ჩაწოდებული ბურთი უხეიროდ მოიგერიეს და **ელვინ ტერამ** ეროვნულ ლიგაში პირველი გოლი გაიტანა 0:1.

65-ე წუთზე **თორნიკე თარხნიშვილმა** საჯარიმოსთან **ნდუე მუიეცი** მოძებნა, რომელმაც მეკარესთან პირისპირ ისევ ტერა დატოვა და მან დუბლი შეასრულა 0:2.

ეს "შუქურასთვის" კატასტროფის ტოლფასი შედეგი იყო. შაშიაშვილის გაწვრთნილებმა ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ მხოლოდ ის მოახერხეს, რომ სხვაობა შეამცირეს - ჯარიმა სანდრო გურულმა ძალიან კარგად შეასრულა 1:2.

ქობულეთის "შუქურა" ეროვნულ ლიგას დაემშვიდობა - გუნდი, რომელმაც ჩემპიონატი ცუდად დაიწყო, მაგრამ მეორე ნახევარი **გიორგი შაშიაშვილის** ხელში გამოცოცხლდა.

ქობულეთელებმა ბოლო ტურამდე იბრძოლეს, ხავსს ეჭიდებოდნენ და ცდილობდნენ, ლიგაში ადგილი შეენარჩუნებინათ. მაგრამ პირველ ნახევარში იმდენი ქულა გაანიავეს, რომ ამოცანის შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა.

**სერგო კორძაია**

10 ქართული ღვინო, რომელიც უნდა გასინჯო სანამ ცოცხალი ხარ
პალიტრა მედია
10 ღვინო რომელიც უნდა გასინჯო სანამ ცოცხალი ხარ

ეს არჩევანი ერთად უნდა გავაკეთოთ!
წარმოდგენილი სიიდან, მონიშნეთ თქვენთვის სასურველი მაქსიმუმ 10 ღვინის სახეობა.
გამოკითხვის დასრულების შემდეგ, უმრავლესობის მიერ დასახელებული ღვინოებიდან გამოვლინდება 10 საუკეთესო.

☐ ქისი
☐ ქინძმარაული
☐ რქაწითელი
☐ საფერავი
☐ მუკუზანი
☐ კრახუნა
☐ უსახელაური
☐ კახური მწვანე
☐ ხიხვი
☐ ხვანჭკარა
☐ შავკაპიტო
☐ თავკვერი
☐ ციცქა
☐ ცოლიკოური
☐ ჩხავერი
☐ ოჯალეში
☐ გორული მწვანე
☐ წინანდალი
☐ ოცხანური საფერე
☐ ალადასტური
☐ ჩინური
☐ ტვიში
☐ ახაშენი

პროექტს „10 ღვინო, რომელიც უნდა გასინჯო სანამ ცოცხალი ხარ" პალიტრა მედია განახორციელებს. ის ქართული ღვინის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად და შესაბამისად რჩეულ ქართულ ღვინოებს უფრო მარტივად ხელმისაწვდომს გახდის , არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში, ტურისტებს კი შესაძლებლობა ექნებათ საუკეთესო ქართული ღვინოები აღმოაჩინონ და დარწმუნდნენ, რომ საქართველო ნამდვილად იმსახურებს ღვინის სამშობლოს ტიტულს. ეს სახალხო პროექტია და ყველა ჩვენგანის ვალია ჩავერთოთ და სწორად ავარჩიოთ 10 საუკეთესო ღვინო, რომელიც ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათი გახდება.

შემოგვთავაზეთ 5 ღვინის სახეობა, რომლებიც, თქვენი აზრით , აუცილებლად უნდა მოხვდეს 10 საუკეთესო ღვინოს შორის.
შეავსეთ კუპონი , ამოჭერით და მოათავსეთ AllWine.ge-ის სადეგუსტაციო კუთხეებში განთავსებულ ყუთებში, მისამართებზე: თბილისი: კანდელაკის 7, ჭავჭავაძის 7; თელავი: ერეკლე II და ბახტრიონის კვეთა; ბათუმი: მემედ აბაშიძის 52.
ან მოათავსეთ საქართველოს ფოსტის ყუთში და გამოაგზავნეთ მისამართზე: იოსებიძის 49.
დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვწერეთ Facebook-ზე : 10 ღვინო რომელიც უნდა გასინჯო • 10 Wines You Must Try, 10wines@palitra.ge.



უტევს გია გრიგალავა

# გოლი ხელით, გოლი ისე, ჩემპიონობა უთამაშებლად

**ამ უქმეებზე გოლები დანიასა და ავსტრიაში გავიტანეთ, საგოლე პასებით თავი რუსეთსა და პოლონეთში გამოვიჩინეთ, ბელარუსში კი ჩემპიონები გავხდით... უთამაშებლად. საერთო ჯამში, კი ამ უქმეებზე ქართული მონაგარი ძალიან მწირი იყო.**

## ესპანეთი

**ლა ლიგა 2. ოთარ კაკაბაძის** "ჟიმნასტიკი" შინ "ლიორკასთან" დამარცხდა - 0:2. ქართველმა მცველმა სასტარტოში ითამაშა, მან ბოლო წუთებზე ყვითელი ბარათი მიიღო. "სევილია ატლეტიკო" სტუმრად დაუზავდა "ალკორკონს" - 0:0. **გიორგი აბურჯანია** ანდალუსიელთა რიგებში 70-ე წუთიდან გამოჩნდა. ასეთივე ანგარიშით დასრულდა მატჩი "სარაგოსასა" და "რეუსს" შორის. მასპინძლებში 77-ე წუთამდე ითამაშა **გიორგი პაპუნაშვილმა**. ჩვენებური ესპანურმა მედიამ გამოარჩია, ერთხელ მან ბურთი ძელს გაარტყა.

## გერმანია

**II ბუნდესლიგა. აკაკი გოგიას** (67-ე წუთზე გამოცვალეს) "უნიონი" ბერლინში "დარმშტადტს" დაუზავდა - 3:3. **ლუკას ჰუფნაგელი** კვლავ "ნიურნბერგის" სასტარტოში იყო (65-ე წუთზე შეცვალეს), "ბრაუნშვაიგთან" 3:2 მოგებულ მატჩში. ქართველთა გუნდებს 26-26 ქულა აქვთ, "ნიურნბერგი" მესამეზეა, "უნიონი" - მეოთხეზე.

## ჰოლანდია

**ერედივიზიე. გურამ კაშიამ** შეუცვლელად ითამაშა და მისმა "ვიტესმა" 2:0 მოუგო "დენ ჰააგს". ამით არნემელებმა სამ-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტეს ჩემპიონატში.

## პორტუგალია

**სეგუნდა.** ტურნირის ლიდერი "ვიზეუ" შინ "ვარზიმს" დაუზავდა, მასპინძელთა რიგებში **ავთო ებრალიძემ** 82-ე წუთამდე ითამაშა.

## პოლონეთი

**ექსტრაკლასა.** ქართველთა "პოგონი" შინ დაუზავდა "პიასტს" - 2:2. ამ შეხვედრაში თავიდან ბოლომდე ითამაშა **ლაშა დვალმა**. "სანდეციასთან" მატჩში თავი გამოიჩინა **ლუკა ზარანდიამ** - მისმა "არკამ" 5:0 გაანადგურა მეტოქე, მესამე გოლი კი ქართველის საგოლე პასით გავიდა. ჩვენებური 62-ე წუთზე გამოცვალეს. **ნიკა კაჭარავას** "კორონამ" "ლეგიას" ლიდერობა დააკარგვინა - 3:2. ამ შეხვედრაში ჩვენებური 82-ე წუთზე გამოცვალეს, მანამდე მან ყვითელი ბარათი დაიმსახურა. **გიორგი მერებაშვილის** "პლოცკი" სტუმრად "ლეხთან" 1:2 დამარცხდა. ქართველმა ნახევარმცველმა შეუცვლელად ითამაშა.

## დანია

**სუპერლიგა. საბა ლობჟანიძის** "რანდერსი" შინ 0:2 დამარცხდა "სონდერისკესთან". ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა. საბამ ერთხელ ძელს მოარტყა ბურთი. ქართველთა "სილკებორგი" შინ "ბრონდბიუსთან" 1:3 დამარცხდა. მასპინძლები 32-ე წუთზე **დავით სხირტლაძემ** დააწინაურა, თუმცა შემდეგ "ბრონდბიუმ" სამი გოლი გაუტანა მასპინძლებს. სხირტლაძემ სრულად ითამაშა, ხოლო **მათე ვაწაძე** მოედანზე 79-ე წუთზე გამოვიდა.

## ავსტრია

**ბუნდესლიგა. გიორგი ქვილითაიას** "რაპიდმა" შინ 2:3 წააგო ლიდერ "ზალცბურგთან". ამ შეხვედრაში ქვილითაია 67-ე წუთზე გამოვიდა და 9 წუთში მან გოლი გაიტანა, თუმცა მასპინძლებმა მეტი ველარ შეძლეს. ჩვენებურმა კი მატჩის მიწურულს ყვითელი ბარათიც მიიღო ბურთის ხელით გატანისთვის.

## რუმინეთი

**ლიგა 1.** მას მერე, რაც "გაზ მეთანმა" კონტრაქტი გაუწყვიტა **აკაკი ხუბუტიას, ნიკა ძალამიძე** რუმინულ ლიგაში მოთამაშე ერთადერთი ქართველია. მისი "იუვენტუსი" უსუსტესად თამაშობს, ბოლოადგილოსანმა, ამჯერად, შინ "კონკორდიასთან" 0:5 დათმო. ჩვენებური 67-ე წუთზე გამოცვალეს.

## სლოვაკეთი

**ფორტუნა ლიგა.** ერთპიროვნული ლიდერი "ტრნავა" ანიავებს ქულებს, ამჯერად, **ვახტანგ ჭანტურიშვილის** (69-ე წუთზე გამოცვალეს) გუნდში შინ მეორეადგილოსან "ჟილინასთან" დამარცხდა.

## უნგრეთი

OTP. ქართველთა "ბალმაზივაროში" შინ დაუზავდა "პუშკაშ აკადემის" - 2:2. **ირაკლი მაისურაძე** 69-ე წუთზე გამოცვალეს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, მატჩის მიწურულს ყვითელი ბარათის მიღებაში. **ბაჩანა არაბულმა** შეუცვლელად ითამაშა.

## რუსეთი

**პრემიერლიგა. გია გრიგალავას** (90 წ) "არსენალი" "ტოსნოს" ესტუმრა და 2:3 დამარცხდა. ამ შეხვედრაში სტუმრებმა ანგარიში გრიგალავას საგოლე

ჩაწოდების შემდეგ გახსნეს. მეორე ტაიმში ჩვენებურმა ყვითელი ბარათი მიიღო. **ჯიმი ტაბიძის** "უფა" "ახმატს" ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. ტაბიძე შესვენების შემდეგ გამოჩნდა. ქართველთა "ანჟი" ისევ გასავარდნ ზონაშია - **გიორგი ლორიას** კარში "როსტოვმა" ორი უპასუხო გოლი გაიტანა.

## უკრაინა

**პრემიერლიგა.** ჯერ დუბლების ჩემპიონატზე ვთქვათ - **ლუკა ნადირაძის** "ოლიმპიკი" 0:2 დამარცხდა **გიორგი არაბიძის** "შახტართან", ორივე ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა. **სანდრო კობახიძის** (62-ე წუთზე გამოცვალეს) "ვორსკლამ" სტუმრად 1:0 დაამარცხა "მარიუპოლი".

## აზერბაიჯანი

**პრემიერლიგა. თამაზ ცეცხლაძის** (90 წ.) "საბაილი" სტუმრად "სუმგაითს" დაუზავდა - 0:0.

## უზბეკეთი

**ოლიი ლიგა.** ბოლო ტურში **კახა მახარაძის** "ლოკომოტივმა ტაშკენტის დერბიში "ბუნიოდკორი" 3:2 დაამარცხა. მახარაძე მოედანზე 76-ე წუთზე გამოჩნდა. "ლოკომოტივს" მატჩის შემდეგ ჩემპიონის მედლები და ტიტული გადასცეს. **შოთა არველაძის** "ფახთაქორს" ბოლო ტურში მოგება ჩაეთვალა, ქართველი მწვრთნელის გუნდმა მე-3 ადგილი დაიკავა და აზიის ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა.

## ირანი

**სპარსეთის ყურის პროლიგა. გიორგი გველესიანის** (90 წ.) "ზობ აჰანი" შინ "ფოოლადთან" დამარცხდა - 0:1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გიორგი ქვილითაია არბიტრთან არჩათვლილი გოლის გამო კამათობს

## არ უთამაშიათ

* საბა თავაძეს ("ხუზესტანი", ირანი) "ფაიქანთან" 1:0 მოგებულ მატჩში.

* ლევან ელოშვილს ("კაპფენბერგერი", ავსტრია, ერსტე ლიგა) შინ "ლიფერინგთან" 0:5 მარცხში.

* გიორგი ბერიძეს ("ტრენჩინი", სლოვაკეთი) "რუჟომბეროკთან" შინ 1:2 წაგებულ შეხვედრაში. სათადარიგო იყო.

* შოთა გრიგალაშვილს ("ოლმალიქი", უზბეკეთი) სტუმრად "კოკანდთან" 2:1 მოგებულ მატჩში.

* ირაკლი შეყილაძეს ("სპეცია", იტალია, სერია B) შინ "პესკარასთან" 4:0 მოგებულ მატჩში.

* მათე ცინცაძეს ("პოგონი", პოლონეთი).

* დავით ხოჭოლავას ("შახტარი", უკრაინა) სტუმრად "ოლიმპიკთან 4:2 მოგებულ შეხვედრაში, სათადარიგო იყო.

* გიორგი მაკარიძეს ("მორეირენშე", პორტუგალია) სტუმრად "ბოავიშტასთან" 0:1 დასრულებულ მატჩში.

* გიორგი ჭანტურიას ("ურალი", რუსეთი) შინ 0:1 წაგებულ მატჩში "კრასნოდართან".

* ვაკო გვილია (ბატე, ბელარუსი) სტუმრად "გოროდეიასთან" 3:3 დასრულებულ მატჩში.

* გიორგი ქანთარიას ("ნემანი", ბელარუსი) შინ "შახტიორთან" 3:1 მოგებულ შეხვედრაში. დისკვალიფიკაცია.

* ოთარ ჯავაშვილს ("სლავია", ბელარუსი) სტუმრად "მოზირთან" 0:2 წაგებულ მატჩში. "სლავია" გავარდა.

* ჯაბა ჯიღაურს ("ვარდარი", მაკედონია) "პანდევ აკადემისთან" სტუმრად 2:0 მოგებულ მატჩში.

* რომან ჭანტურიას ("პრატო", იტალია, ლეგა პრო) შინ "ოლბიასთან" 1:0 მოგებულ მატჩში.

* ბუდუ ზივზივაძესა და ლაშა პარუნაშვილს ("ესბიერგი", დანია) სტუმრად "კიოგესთან" 0:3 წაგებულ მატჩში.

* ლუკა ასათიანს ("სუვალკი", პოლონეთი, 1 ლიგა) შინ "გრუძიაძთან" მოგებულ შეხვედრაში 1:0.

## ტრავმა

* გიორგი ჩაკვეტაძე ("გენტი", ბელგია) - შინ "მუსკრონთან" 3:1.

* ლევან მჭედლიძე ("ემპოლი", იტალია, სერია B) - შინ "ფროზინონესთან" 3:3.

* თორნიკე ოქრიაშვილი ("კრასნოდარი", რუსეთი).

* ჯაბა ლიპარტია ("ანჟი", რუსეთი)

## დღეს ითამაშებენ

* გიორგი ილურიძის "ეთნიკოსი", რომელსაც გიორგი ჩიხრაძე წვრთნის, "აპოლონს" ესტუმრება.

* ჯანო ანანიძის "სპარტაკი" "ზენიტს" მასპინძლობს.

* გიორგი ნავალოვსკის "სკა-ხაბაროვსკი" მასპინძლობს საბა კვირკველიას "ლოკომოტივს".

ტრანსფერი

# კანკავა და ტობოლი გადაწყდა



საქართველოს ნაკრების 31 წლის კაპიტანი **ჯაბა კანკავა** კარიერას ყაზახურ "ტობოლში" გააგრძელებს. ინფორმაცია, რომელიც რამდენიმე დღის წინ გამცნეთ, ყაზახურმა საინფორმაციო საშუალებებმაც დაადასტურეს.

შეგახსენებთ, რომ "ტობოლის" ღირსებას კიდევ ერთი ქართველი, **ნიკა კვეკვესკირი** იცავს. მომავალ სეზონში კლუბის მიზანი ევროსაგზურის მოპოვება იქნება.

კანკავა "ტობოლს" თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა. ბოლო დროს ის უგუნდოდ იყო, მანამდე კი სხვადასხვა დროს იცავდა თბილისის "დინამოს", "ალანიას", კიევის "არსენალის", "კრივბასის", "დნიპროსა" და ფრანგული "რეიმსის" ღირსებას.

საქართველოს ნაკრებში კანკავამ 70 შეხვედრა ჩაატარა და 7 გოლი შეაგდო. ყაზახური მედიის ცნობით, "ტობოლი" ჩვენებურს უახლოეს დღეებში წარადგენს.

**ალეკო კაკაურიძე**

საფრანგეთი. ლიგა 1. XIV ტური

# ყველაფერი გადაწყდა?



ამჯერად პენალტი ნეიმარმა შეასრულა

**შეიძლება თუ არა ითქვას, რომ საფრანგეთის ჩემპიონის ვინაობა უკვე ცნობილია? ალბათ, საამისოდ ძალიან ადრეა, მაგრამ "პარი სენ-ჟერმენმა" წუხელ "მონაკოს" მისსავე მოედანზე 2:1 მოუგო და დევნის ხალისი გაუნელა. 14 ტურის შემდეგ მულტივარსკვლავური პსჟ უკვე 9 ქულით უსწრებს "მონაკოს".**

"ლილში" უთავბოლო სიტუაციაა - **მარსელო ბიელსა** დროებით ჩამოშორებულია გუნდის თავკაცობას, "ძაღლები" კი "მონპელიესთან" მატჩისთვის მწვრთნელთა ოთხეულმა მოამზადა. ასეთ ექსპერიმენტებს ხეირი ჯერ არავისთვის მოუტანია და აბა, "ლილი" რატომ იქნებოდა გამონაკლისი? მით უფრო, რომ "მონპელიეს" დაცვა სალი კლდესავით მაგარია ამ სეზონში. შედეგად, 3:0 "მონპელიეს" სასარგებლოდ და ჩრდილოელები ცხრილში მხოლოდ უსუსურ "მეცს" უსწრებენ. გუნდი, რომელსაც ფავორიტთა შორის ასახელებდნენ სეზონის წინ, გავარდნის პირასაა.

ბრეტონულ დერბიში **ვაჰბი ხაზრის** დუბლის წყალობით "რენმა" 2:1 აჯობა **კლაუდიო რანიერის** "ნანტს". ამ თამაშში "რენს" დიდად წაადგა გამოჯანმრთელებული **იოან გურკუფის** გამოცდილება.

"ლიონი" და მისი ლიდერი მემფის დეპაი საოცარ ფორმაში არიან, გუშინ "ლიონმა" სტუმრად 5:0 გაანადგურა "ნიცა". დეპაიმ დუბლი შეასრულა.

"მარსელმა" "ველოდრომზე" მინიმალურად იმარჯვა და ლიდერთა ჯგუფს არ ჩამორჩა.

### სენტ ეტიენი-სტრასბური 2:2

**გოლები:** 1:0 ერნანი (41), 1:1 აჰოლუ (45), 2:1 მონე-პაკე (56), 2:2 მარტენი (63-პენ)

### რენი-ნანტი 2:1

**გოლები:** 1:0 ხაზრი (51), 1:1 სალა (73-პენ), 2:1 ხაზრი (88)

**გაძევება:** პალოა (57. ნანტი)

### კაენი-ბორდო 1:0

**გოლი:** 1:0 სანტინი (23)

### დიჟონი-ტულუზი 3:1

**გოლები:** 1:0 კვონი (42), 2:0 ქსეკა (57), 3:0 საიდი (64), 3:1 დელორი (71)

**გამოუყენებელი პენალტი:** გრადელი (5. ტულუზი)

### მეცი-ამიენი 0:2

**გოლები:** 0:1 კონატე (29), 0:2 ზუნგუ (66)

### მონპელიე-ლილი 3:0

**გოლები:** 1:0 რუსილიონი (5), 2:0 სიო (26), 3:0 ნინგა (31)

### ტრუა-ანჟერი 3:0

**გოლები:** 1:0 ქაუი (12), 2:0 სუკი (45+2), 3:0 თომასი (84. ს. კ.)

### ნიცა-ლიონი 0:5

**გოლები:** 0:1 დეპაი (5), 0:2 კორნე (20), 0:3 მარიანო დიასი (27), 0:4 დეპაი (38), 0:5 მაოლიდა (79)

**ლიონი (4-3-3):** ლოპეში - ტეტე, მარსელო, დიაქაბი, მარშალი - ნდომბელე, ტუსარი (69. ფერი), ოარი - კორნე, მარიანო დიასი (75. მაოლიდა), დეპაი (79. გუირი)

**გაძევება:** მარლონი (70. ნიცა)

### მარსელი-გენგამი 1:0

**გოლი:** 1:0 ტოვენი (31)

**მარსელი (4-2-3-1):** მანდანდა - სარი, რამი, აბდენური, ამავი - მ. ლოპესი, ლუის გუსტავო - ტოვენი (89. საკაი), სანსონი (79. ზამბო), პაიე (72. ოკამპოსი) - მიტროღლუ

### მონაკო-პსჟ 1:2

**გოლები:** 0:1 კავანი (19), 0:2 ნეიმარი (52-პენ), 1:2 ჟოაო მოუტინიო (81)

**მონაკო (5-3-2):** სუბაშიჩი - ა. ტურე, გლიკი, ჟემერსონი, რაჯი (62. რონი ლოპეში), ჟორჟე - ტილემანსი (67. ლეზალი), ჟოაო მოუტინიო, ფაბინიო - ფალკაო, კეიტა (79. სიდიბე)

**პსჟ (4-1-2-3):** არეოლა - დანი ალვეში, მარკინიოსი, ტიაგო სილვა, კურზავა (69. ი. ბერჩიჩე) - რაბიო - ვერატი, დრაქსლერი (82. პასტორე) - მბაპე, კავანი (82. დი მარია), ნეიმარი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 14 | 12 | 2 | 0 | 45-10 | 38 |
| 2. ლიონი | 14 | 8 | 5 | 1 | 37-15 | 29 |
| 3. მონაკო | 14 | 9 | 2 | 3 | 36-15 | 29 |
| 4. მარსელი | 14 | 8 | 4 | 2 | 28-18 | 28 |
| 5. ნანტი | 14 | 7 | 2 | 5 | 13-15 | 23 |
| 6. კაენი | 14 | 7 | 1 | 6 | 10-14 | 22 |
| 7. მონპელიე | 14 | 5 | 5 | 4 | 12-8 | 20 |
| 8. სტ. ეტიენი | 14 | 5 | 4 | 5 | 16-20 | 19 |
| 9. რენი | 14 | 5 | 3 | 6 | 17-18 | 18 |
| 10. ამიენი | 14 | 5 | 3 | 6 | 13-14 | 18 |
| 11. ტრუა | 14 | 5 | 3 | 6 | 16-18 | 18 |
| 12. დიჟონი | 14 | 5 | 3 | 6 | 20-23 | 18 |
| 13. ბორდო | 14 | 4 | 5 | 5 | 17-20 | 17 |
| 14. ტულუზი | 14 | 4 | 4 | 6 | 13-20 | 16 |
| 15. გენგამი | 14 | 4 | 3 | 7 | 14-23 | 15 |
| 16. ანჟერი | 14 | 2 | 8 | 4 | 17-23 | 14 |
| 17. სტრასბური | 14 | 3 | 5 | 6 | 17-26 | 14 |
| 18. ნიცა | 14 | 4 | 2 | 8 | 15-25 | 14 |
| 19. ლილი | 14 | 3 | 3 | 8 | 12-22 | 12 |
| 20. მეცი | 14 | 1 | 1 | 12 | 5-26 | 4 |

**ბომბარდირები:** 16 - ედინსონ კავანი (პსჟ); 13 - რადამელ ფალკაო (მონაკო); 11 - ნაბილ ფეკირი (ლიონი); 10 - მარიანო დიასი (ლიონი); 8 - მემფის დეპაი (ლიონი), ნეიმარი (პსჟ).

### მომდევნო ტური

28 ნოემბერი: **ამიენი-დიჟონი, სტრასბური-კაენი, ბორდო-სენტ ეტიენი;**

29 ნოემბერი: **ანჟერი-რენი, გენგამი-მონპელიე, ლიონი-ლილი, მეცი-მარსელი, ნანტი-მონაკო, ტულუზი-ნიცა, პსჟ-ტრუა.**

### ფაქტები

*** "მონპელიემ" ამ სეზონში მე-8 "მშრალი" მატჩი ითამაშა. გუნდს სეზონში მხოლოდ 8 გოლი აქვს გაშვებული.**

*** "ამიენმა" ზედიზედ მეექვსე მატჩში არ წააგო.**

*** ჟერემი გრიმმა (სტრასბური) კარიერაში პირველად ითამაშა ლიგა 1-ის მატჩი სასტარტოში. ფეხბურთელი 30 წლისაა.**

*** "რენმა" ბოლო 8 ბრეტონული დერბიდან ერთიც არ წააგო "ნანტთან" - 4 მოგება, 4 ფრე.**

*** "ლილმა" პირველ ნახევარ საათში სამი უპასუხო გოლი 21-ე საუკუნეში მხოლოდ მეორედ გაუშვა.**

*** მემფის დეპაიმ (ლიონი) ამ სეზონში რვავე გოლი სტუმრად გაიტანა.**

*** "ლიონმა" პირველი ტაიმი 4:0 ბოლოს 2003 წელს მოიგო.**

*** "მარსელს" 9 ტურია არ წაუგია. ბოლოს გუნდმა სექტემბერში "რენთან" დათმო - 1:3.**

*** "ლიონმა" ბოლო 18 ტურში მხოლოდ ერთხელ წააგო (ისიც პსჟსთან).**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ვესტ ჰემი–ლესტერი 1:1**

**გოლები:** 0:1 ოლბრაიტონი (8), 1:1 კუიატე (45)

**კრ. პალასი–სტოკი 2:1**

**გოლები:** 0:1 შაქირი (53), 1:1 ლოფტუს-ჩიკი (56), 2:1 სახო (90+2)

**მანჩესტერ იუნ–ბრაიტონი 1:0**

**გოლი:** 1:0 დანკი (66-საკ. კარში)

**მანჩესტერ იუნ (4-2-3-1):** დე ხეა - ვალენსია, ლინდელიოფი, სმოლინგი, იანგი - პოგბა, მატიჩი - რაშფორდი (80. ფელაინი), მატა (62. იბრაჰიმოვიჩი), მარსიალი (71. მხითარიანი) - ლუკაკუ.

**ნიუკასლი–უოტფორდი 0:3**

**გოლები:** 0:1 ჰიუზი (19), 0:2 იედლინი (45-საკ. კარში), 0:3 გრეი (62)

**ტოტენჰემი–ვესტ ბრომვიჩი 1:1**

**გოლები:** 0:1 რონდონი (4), 1:1 კეინი (74)

**ტოტენჰემი (4-2-3-1):** ლორისი - ტრიპიერი, დავინსონ სანჩესი, ვერტონგენი (60. ლორენტე), ბ. დევისი - უინქსი (61. დემბელე), დაიერი - ერიქსენი, ალი, სონი - კეინი.

**ლივერპული–ჩელსი 1:1**

**გოლები:** 1:0 სალაჰი (65), 1:1 ვილიანი (85)

**ლივერპული (4-3-3):** მინოლე - გომესი, მატიპი, კლავანი, მორენო - მილნერი, ჰენდერსონი, კოუტინიო (89. ლალანა) - სალაჰი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი (89. მანე), სტარიჯი (66. ვეინალდუმი).

**ჩელსი (3-5-1-1):** კურტუა - ასპილიკუეტა, კრისტენსენი, კეჰილი - ძაპაკოსტა (83. ვილიანი), ბაკაიოკო (77. პედრო), კანტე, დრინკუოტერი (74. ფაბრეგასი), ალონსო - აზარი, მორატა.

**საუთჰემპტონი–ევერტონი 4:1**

**გოლები:** 1:0 ტადიჩი (18), 1:1 სიგურდსონი (45), 2:1 ოსტინი (52), 3:1 ოსტინი (58), 4:1 ს. დევისი (87)

**ბარნლი–არსენალი 0:1**

**გოლი:** 0:1 ალექსის სანჩესი (90+2-პენ)

**არსენალი (3-4-2-1):** ჩეხი - კოსიელნი, მუსტაფი, მონრეალი - ბელერინი, რემზი, ჯაკა, კოლაშინაცი - ივობი (67. უილშირი), ალექსის სანჩესი - ლაკაზეტი (79. უელბეკი).

**ჰადერსფილდი–მანჩ. სიტი 1:2**

**გოლები:** 1:0 ოტამენდი (45+1-საკ. კარში), 1:1 აგუერო (47-პენ), 1:2 სტერლინგი (84)

**სიტი (4-3-3):** ედერსონი - უოლკერი, ოტამენდი, კომპანი (80. გაბრიელ ჟეზუში), დელფი - დე ბრუინი, ფერნანდინიო, დავიდ სილვა (89. მანგალა) - სტერლინგი, სანე, აგუერო (86. გიუნდოგანი).

**გაძევება:** ლა პარა (90+6. ჰადერსფილდი)

**სუონსი–ბორნმუთი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტ. სიტი | 13 | 12 | 1 | 0 | 42-8 | 37 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 13 | 9 | 2 | 2 | 28-6 | 29 |
| 3. ჩელსი | 13 | 8 | 2 | 3 | 24-11 | 26 |
| 4. არსენალი | 13 | 8 | 1 | 4 | 23-16 | 25 |
| 5. ტოტენჰემი | 13 | 7 | 3 | 3 | 21-10 | 24 |
| 6. ლივერპული | 13 | 6 | 5 | 2 | 25-18 | 23 |
| 7. ბარნლი | 13 | 6 | 4 | 3 | 12-10 | 22 |
| 8. უოტფორდი | 13 | 6 | 3 | 4 | 22-21 | 21 |
| 9. ბრაიტონი | 13 | 4 | 4 | 5 | 13-14 | 16 |
| 10. საუთჰემპტ. | 13 | 4 | 4 | 5 | 13-15 | 16 |
| 11. ჰადერსფილ. | 13 | 4 | 3 | 6 | 9-19 | 15 |
| 12. ლესტერი | 13 | 3 | 5 | 5 | 17-19 | 14 |
| 13. ბორნმუთი | 13 | 4 | 2 | 7 | 11-14 | 14 |
| 14. ნიუკასლი | 13 | 4 | 2 | 7 | 11-17 | 14 |
| 15. სტოკი | 13 | 3 | 4 | 6 | 16-26 | 13 |
| 16. ევერტონი | 13 | 3 | 3 | 7 | 13-28 | 12 |
| 17. ვესტ ბრომვ. | 13 | 2 | 5 | 6 | 10-19 | 11 |
| 18. ვესტ ჰემი | 13 | 2 | 4 | 7 | 12-26 | 10 |
| 19. სუონსი | 13 | 2 | 3 | 8 | 7-15 | 9 |
| 20. კრ. პალასი | 13 | 2 | 2 | 9 | 8-25 | 8 |

**ბომბარდირები:** 10 - მოჰამედ სალაჰი (ლივერპული); 9 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), ჰარი კეინი (ტოტენჰემი); 8 - გაბრიელ ჟეზუში (მანჩესტერ სიტი), რომელუ ლუკაკუ (მანჩესტერ იუნ), ალვარო მორატა (ჩელსი), რაჰიმ სტერლინგი (მანჩესტერ სიტი).

**მომდევნო ტური**

28 ნოემბერი: **ბრაიტონი-კრ. პალასი, ლესტერი-ტოტენჰემი, უოტფორდი-მანჩესტერ იუნ, ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი**

29 ნოემბერი: **არსენალი-ჰადერსფილდი, ბორნმუთი-ბარნლი, ჩელსი-სუონსი, ევერტონი-ვესტ ჰემი, მანჩესტერ სიტი-საუთჰემპტონი, სტოკი-ლივერპული**

# ისინი არ დანებდებიან...



წამიც და ვილიანის დარტყმული ბურთი ლივერპულის კარში ჩაეშვება...

**"მანჩესტერ სიტიმ" რთული გამარჯვება მოიპოვა დებიუტანტ "ჰადერსფილდთან" საგარეო მატჩში და მდევართან 8-ქულიანი ჰანდიკაპი შეინარჩუნა. ეს იყო პეპ გვარდიოლას გუნდის ზედიზედ მე-11 მოგება მიმდინარე პრემიერლიგაში, რითიც 2015 წელს დაფიქსირებული თავისივე რეკორდი გაიმეორა.**

**და კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: 1995 წლის აპრილის შემდეგ პირველად მოხდა, რომ "სიტიმ" მოიგო ისეთი საგარეო მატჩი, რომლის პირველ ტაიმსაც აგებდა...**

**მიმოხილვა კი ტურის მთავარი მატჩით დავიწყოთ...**

## შაბათი, ენფილდი...

***...მატჩის შემდეგ "ლივერპულის" მწვრთნელი ძალიან გაბრაზებული იყო - არბიტრმა ცვლილება უარგუმენტოდ გაგვიწელა, თორემ, სანამ ვილიანი გაიტანდა, სისტემას გადავაწყობდით და ეგებ, გოლი თავიდან აგვეცილებინაო...***

***როცა იურგენ კლოპი ასეთ მიზეზს ეძებს, ესე იგი, იქ საქმე მართლაც გადასაწყობია...***

ტურის მთავარ მატჩს "ენფილდმა" უმასპინძლა, სადაც "ჩელსის" 2013 წლის მერე არ წაეგო. დღეს პრემიერლიგაში ისეთი სიტუაციაა, გრანდებს ერთმანეთშიც აღარ უნდა აძლევდეთ ხელს ქულების გაყოფა. "მანჩესტერ სიტის" დომინაცია, და არა მხოლოდ სატურნირო არითმეტიკის გათვალისწინებით, იმდენად თვალსაჩინოა, ეგებ გულში ფიქრობენ კიდეც, რომ ახლა უფრო აქტუალური მეორე ადგილისთვის ბრძოლაა, რომელიც საგაისოდ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის გარანტიას იძლევა...

თუმცა, ვინ იცის. არც **იურგენ კლოპი** და არც **ანტონიო კონტე** ის ხალხი არ არის, ადვილად რომ დანებდება და ხელებს ჩამოუშვებს. რა თქმა უნდა, ისინი ბოლომდე იბრძოლებენ, მაგრამ რესურსი...

დიახ, სწორედაც რესურსის პრობლემა აქვს დღეს "ლივერპულს", რაც გუნდს დიდი გაქანების საშუალებას არ მისცემს და **მოჰამედ სალაჰიც** თუ არ იქნა ფორმაში, სხვები არასტაბილურები არიან, ეს კი გრძელი მარათონისთვის იარაღად ვერ გამოდგება. ამის დასტურია ისიც, რომ პრინციპულ ოპონენტთან დაპირისპირებაში კლოპმა ფრონტის ხაზზე არა **სადიო მანე** და **რობერტო ფირმინო**, არამედ, **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი** და **დენ სტარიჯი** დააყენა...

სალაჰი კი მართლაც პირველი ვიოლინოა და შაბათსაც, გარდა იმისა, რომ დააწინაურა თავისიანები ოქსლეიდ-ჩემბერლენის პასით, ბოლო წუთებში გმირიც შეიძლებოდა გამხდარიყო, **ტიბო კურტუას** მისი შორეული დარტყმა რომ არ მოეგერიებინა.

სამაგიეროდ, გაუმართლა კონტეს, რომელმაც იცნოსა, რომ **ვილიანი** იყო ის კაცი, რომელიც "ჩელსის" ქულას გადაურჩენდა. ასეც მოხდა - ვილიანმა ლამის საჯარიმოს კუთხიდან შორეულ ძელთან რბილად ჩაუშვა ბურთი. **სიმონ მინოლე** აშკარად ჩაწოდებას ელოდა და მეტოქის შემტევის ეშმაკობას მოუმზადებელი შეხვდა - 1:1.

**იურგენ კლოპი (ლივერპული):** *"ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ ვილიანი გაგვიტანდა... თამაშის დიდ ნაწილში ჩვენ ვდომინირებდით და გამარჯვებასაც ვიმსახურებდით, მაგრამ... მოხდა ის, რაც მოხდა. როგორც ჩანს, უფრო უკეთ უნდა გვეთამაშა. მსოფლიო ძალიან უცნაურია დღეს და ამიტომაც შემიძლია, მშვიდად ვიცხოვრო მომავალ მატჩამდე ამ ერთი ქულით".*

**ანტონიო კონტე (ჩელსი):** *"ვფიქრობ, ჩვენ კმაყოფილები უნდა ვიყოთ. ძალიან ძნელი იყო ამ თამაშისთვის მობილიზება და ძალების აღდგენა ხანგრძლივი მოგზაურობის ("ჩელსიმ" ხომ შუა კვირაში აზერბაიჯანში ითამაშა - რედ) შემდეგ, მით უმეტეს, ყველამ ვიცით, რასაც ნიშნავს "ენფილდზე" თამაში... გარკვეულწილად, არ გაგვიმართლა იმ ეპიზოდშიც, როცა გოლი გავუშვით, რადგან სწორედ მატჩის იმ მონაკვეთში გვქონდა ერთგვარი უპირატესობა და მეტოქეზე უკეთ გამოვიყურებოდით... თუმცა, ბედნიერი ვარ იმითიც, თუ როგორი ადეკვატური რეაქცია ჰქონდათ ჩემს ფეხბურთელებს გოლის გაშვების შემდეგ".*

**ფაქტები**

*** "ლივერპული" არ დამარცხებულა "ჩელსისთან" პრემიერლიგის ბოლო 6 მატჩში (2 მოგება, 4 ფრე).**

*** "ლივერპულმა" "ჩელსის" პრემიერლიგაში შინ ბოლო 2012 წლის მაისში მოუგო (4:1).**

*** "ლივერპულმა" საკუთარ მოედანზე პრემიერლიგის ბოლო 9 მატჩში მხოლოდ 2 გოლი გაუშვა, თუმცა ეს გაშვებული გოლები გუნდს 4 ქულის დაკარგვად დაუჯდა (1:1 "ბარნლისა" და "ჩელსისთან").**

*** ვილიანმა გოლი მოედანზე შესვლიდან 144-ე წამზე გაიტანა. ეს არის პრემიერლიგის მიმდინარე სეზონის ყველაზე სწრაფი გოლი შეცვლაზე შესული ფეხბურთელისთვის.**

*** მას მერე, რაც 2015 წელს იურგენ კლოპი "ლივერპულის" მწვრთნელი გახდა, "წითლებმა" "დიდი ექვსეულის" გუნდებთან მატჩებში 38 ქულა დააგროვეს. მეორე შედეგი "ჩელსის" აქვს - 32 ქულა.**

*** იურგენ კლოპი "ლივერპულის" მეოთხე მწვრთნელია, ვისაც "ჩელსისთან" თავისი პირველი 5 პრემიერლიგური მატჩი არ წაუგია.**

## ყველაზე ძნელი...

"ბრაიტონთან" უკბილო გამარჯვების შემდეგ **ჟოზე მოურინიომ** თქვა - ჩვენთვის ეს იყო ყველაზე მძიმე მატჩი ამ სეზონშიო. რაღაც დოზით, "განსაკუთრებული" მართალია. მაგრამ სხვა საქმეა, რატომ გაუხდა "მანჩესტერს" ასე საქმე?

*"სამართლიანი უნდა ვიყო და ვთქვა, რომ "ბრაიტონმა" ძალიან კარგად ითამაშა და, შეიძლება, იმაზე მეტიც დაიმსახურა, ვიდრე მიიღო"*, - თქვა ჟოზემ.

ფაქტია, "ბრაიტონი" მართლაც ყოჩაღად და უშიშრად თამაშობდა მანამ, ვიდრე **ეშლი იანგის** დარტყმის შემდეგ **ლიუის დანკისგან** რიკოშეტირებული ბურთი **მეტ რაიანს** თავზე გადააფრინდებოდა და კარში ჩაეშვებოდა...

ასე იყო თუ ისე, "სეზონის ყველაზე მძიმე მატჩის" მოგებით "იუნაიტედმა" ზედიზედ მე-11 საშინაო გამარჯვება იზეიმა.

**ფაქტები**

*** "მანჩესტერ იუნაიტედმა" პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში 6 გოლი გაუშვა, რაც 13 ტურის შემდეგ ყველაზე ცოტაა ამ გუნდისთვის 2007/08 წლების სეზონიდან მოყოლებული.**

*** 2016/17 წლების სეზონიდან დაწყებული, "მანჩესტერ იუნაიტედმა" 51 მატჩიდან 26-ში შეძლო კარის "მშრალად" შენახვა.**

*** ანტონი მარსიალმა ("მანჩესტერი"), სასტარტო შემადგენლობაში ყოფნისას, მიმდინარე სეზონის 5 პრემიერლიგურ მატჩში მხოლოდ 1 გოლი გაიტანა, მაშინ, როცა 7-ჯერ შეცვლაზე შესულმა 4 გოლი გაიტანა და 2 საგოლე გადაცემა შეასრულა.**

## რა თქმა უნდა, კეინი...

"ტოტენჰემი" მთელი 70 წუთის განმავლობაში მდევრის როლში იყო უმწვრთნელო "ვესტ ბრომვიჩთან" (გუნდი მოედანზე **ტონი პულისის** ექსასისტენტმა **გარი მეგსონმა** გაიყვანა, ვისაც პრემიერლიგის გუნდი 2009 წლის შემდეგ არ გაუწვრთნია) მატჩში და ვინ გადაარჩენდა გუნდს, თუ არა **ჰარი კეინი!** - "დეზების" მთავარმა მეგოლემ **დელე ალის** პასი მიიღო და ახლო მანძილიდან შეძლო გაყაიმება.

პრემიერლიგის 128 მატჩში კეინმა "ტოტენჰემის" 100 გოლში (87 გაიტანა, 13 გაატანინა) დაიდო წილი. ამას გარდა, 2017 წლის სტარტიდან მოყოლებული, ჰარიმ ყველა ფრონტზე 45 მატჩი ჩაატარა და 47-ჯერ დაამწუხრა მეკარეები. დაგვეთანხმებით, ძალიან შთამბეჭდავი სტატისტიკაა, რასაც ვერ ვიტყვით "ვესტ ბრომვიჩზე", ვისაც აგვისტოს შემდეგ 12-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს.

**ფაქტები**

*** "ტოტენჰემისა" და "ვესტ ბრომვიჩის" ბოლო 5 პრემიერლიგური მატჩიდან 4 ფრედ დასრულდა.**

*** მას მერე, რაც "უემბლიზე" გადაბარგდა, "ტოტენჰემმა" პირველ 7 საშინაო მატჩში იმაზე მეტი ქულა დაკარგა, "უაით ჰართ ლეინზე" ბოლო 23 მატჩში - 9 ქულა.**

*** პრემიერლიგის ბოლო 5 მატჩიდან "ტოტენჰემმა" 4-ში გაუშვა გოლი, მაშინ, როცა წინა 5 მატჩიდან ასევე 4-ში შეძლო კარის "მშრალად" შენახვა.**

*** "ვესტ ბრომვიჩმა" პრემიერლიგის ბოლო 25 საგარეო მატჩიდან მხოლოდ 2-ში არ გაუშვა გოლი.**

## ისევ სანჩესი, ისევ ბოლო წუთი...

"არსენალმა" გაჭირვებით მოუგო "ბარნლის", ალექსის სანჩესის მიერ ბოლო წამზე გატანილი 11-მეტრიანის წყალობით. ეს ამბავი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა შარშანდელს, როცა "მეთოფეებმა", იმავე "ბარნლისთან", იმავე სანჩესის პენალტით 98-ე წუთზე მოიპოვეს გამარჯვება იმავე ანგარიშით (სხვათა შორის, "ბარნლი" ზედიზედ მესამედ დამარცხდა "არსენალთან" შინ 0:1).

ამას გარდა, გუშინდელი გამარჯვება იყო სულაც მესამე შემთხვევა, როცა **არსენ ვენგერის** გუნდმა "კერკეტი" "ბარნლი" მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გატეხა.

**ტურის სხვა ფაქტები**

*** "უოტფორდმა" პრემიერლიგის მიმდინარე სეზონის 7 საგარეო მატჩში იმაზე მეტი (13) ქულა მოიპოვა, ვიდრე მთლიანად 2016/17 წლების სეზონის 19 გასვლით შეხვედრაში (12).**

*** ეს იყო "უოტფორდის" მიერ ყველაზე დიდი ანგარიშით მოგებული საგარეო მატჩი პრემიერლიგაში 1986 წლის ("ჩელსი", 5:1) მაისის შემდეგ.**

*** "უოტფორდის" შემტევ რიჩარლისონს პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში ყველაზე მეტ (7) საგარეო გოლში აქვს მონაწილეობა მიღებული (4 გაიტანა, 3 გაატანინა).**

*** "უოტფორდს" 13 მატჩში 21 ქულა აქვს, რაც გამეორებაა 1982/83 წლების სეზონის მისივე შედეგის. ეს იყო "უოტფორდის" პირველი სეზონი ინგლისის მთავარ ლიგაში და თან წარმატებულიც - მეორე ადგილი "ლივერპულის" შემდეგ.**

*** "ნიუკასლმა" ზედიზედ მე-4 მატჩი წააგო.**

*** რაფა ბენიტესმა ("ნიუკასლი"), როგორც მწვრთნელმა, პრემიერლიგაში ზედიზედ ორი საშინაო მარცხი ბოლოს 2005 წლის იანვარში იწვნია "ჩელსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედისგან".**

*** "სუონსიმ" 13 მატჩში მხოლოდ 9 ქულა დააგროვა, რაც "გედების" ყველაზე ცუდი სტარტია პრემიერლიგაში.**

*** პირველად მოხდა, რომ "ბორნმუთს" პრემიერლიგის ზედიზედ 3 მატჩში არ გაუშვა გოლი.**

*** 2013 წლის მაისის შემდეგ პირველად მოხდა, რომ "სუონსიმ" ზედიზედ 3 მატჩში ვერ გაიტანა გოლი.**

გიორგი **ნინიძე**

## რობინიოს 9 წელი მიუსაჯეს



**"მილანისა"** და "მანჩესტერ სიტის" ყოფილ ფორვარდს რობინიოს ცხრაწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს სექსუალური ძალადობის გამო, - წერს იტალიური გამოცემა La Gazzetta dello Sport. განაჩენი იტალიურმა სასამართლომ გამოიტანა.

დანაშაული 2013 წლის იანვარში მოხდა, როცა 33 წლის ბრაზილიელი "მილანის" რიგებში თამაშობდა. როგორც გამოძიებამ გაარკვია, ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა და კიდევ ხუთმა მამაკაცმა მილანის ღამის კლუბში 22 წლის ალბანელი ქალი გააუპატიურეს.

მოგვიანებით დაიწერა, რომ რობინიოს ექსტრადირება იტალიაში შეუძლებელია. ირკვევა, რომ ბრაზილიის კანონმდებლობა კრძალავს ფეხბურთელის გადაცემას იტალიური მხარისთვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი ბრალი დამტკიცებულია.

ამ მომენტისთვის, რობინიო ბრაზილიის ჩემპიონატში "ატლეტიკო მინეიროს" რიგებში თამაშობს.

გია **თვალაბეიშვილი**

# ომი, მესის გოლი-მოჩვენება და ზავი

## რეალს ისევ უჭირს, ატლეტიკომ გაილაღა

**ლიდერთა** ჯახის შემდეგ მადრიდელმა მდევრებმა „ბარსელონასთან" ჩამორჩენა 8 ქულამდე შეამცირეს. „მესტალიაზე" კი ორმხრივი, შემტევი, უსწრაფესი და მსაჯის შეცდომებით დატვირთული მატჩი ვიხილეთ, რომელიც ზავით დასრულდა...

### ვალენსია-ბარსელონა

მესტალიაზე 48 ათასმა ადამიანმა შესანიშნავი მატჩი იხილა, რომელმაც დაამტკიცა, რომ **მარსელინოს** გუნდის ბოლოდროინდელი წარმატებები შემთხვევითი სულაც არ არის. არბიტრმა **იგლესიას ვილანუევამ** პირველ ტაიმში „ბარსელონას" 100%-იანი გოლი არ ჩაუთვალა. **ლეო მესის** დარტყმული **ნეტოს** ფეხებს შორის გაუძვრა, გოლკიპერმა ბურთი ბოლოს კი მოიგერია, მაგრამ მან კარის ხაზი აშკარად გადაკვეთა. ეს ყველამ შეამჩნია მოედანზე მყოფი 8 მსაჯის გარდა...

მეორე ტაიმში „ვალენსია" როდრიგომ დააწინაურა, მაგრამ „ღამურებმა" ანგარიში ვერ შეინარჩუნეს - მესის გენიალურ პასს **ჟორდი ალბა** გამოეხმაურა - 1:1. ასე დასრულდა „ვალენსიას" 8-ტურიანი მოგებათა სერია. ორივე კლუბი ამ სეზონში კვლავ წაუგებელია.

### რეალი-მალაგა

„სამეფო კლუბის" ფეხბურთელები სულ უფრო ხშირად აბრალებენ წარუმატებლობას მსაჯებს, თუმცა ეს არასწორია - **ზინედინ ზიდანმა** „მალაგასთან" თამაშის მერე სწორად შენიშნა, გუნდში არიან ფეხბურთელები, რომელთაც უკეთ შეუძლიათ თამაშიო. საყვედური არ ითქმის მხოლოდ **ბენზემაზე, ვასკესსა** და **კარვახალზე**, ამ სამეულმა თავგამეტებით იბრძოლა მაინც... ბედად, **კრიშტიანო რონალდომ** თავისსავე გაცუდებულ პენალტს მიუსწრო და „მალაგა" შინ უქულოდ გაუშვა. მასპინძელთა რიგებში კი საუკეთესო მაინც **კაზემირო** იყო. ბრაზილიელს არაფერს ვერჩით, მაგრამ, როცა „სამეფო კლუბის" ვარსკვლავურ შემადგენლობაში საუკეთესო კაზემიროა, რაღაც ვერ არის წესრიგში გუნდში. წარმოიდგინეთ, ის „რეალის" ბომბარდირებში მესამე ადგილზეა...


ჟორდი ალბამ ამ მომენტში „ბარსა" ყოფილ გუნდთან მარცხისგან იხსნა

**ზინედინ ზიდანი** (რეალი): *„კარგად ვითამაშეთ, გავიტანეთ სწრაფი გოლი. ეს იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ შემდეგ ვითარება შეიცვალა. მეორე ტაიმში გაგვიჭირდა. გვიხარია შედეგის გამო, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ უკეთ თამაში შეგვიძლია. ზამთარში გუნდიდან ნამდვილად არავინ წავა. ახალწვეულები კი შეიძლება გვყავდეს".*

#### ფაქტები

*** კრიშტიანო რონალდომ (რეალი) „მალაგას" კარში მე-7 პენალტი დაარტყა და მე-4 ვერ გაიტანა. ასეთი ცუდი მაჩვენებელი მას სხვა არც ერთი გუნდის წინააღმდეგ არ აქვს.**

*** გონსალო „ჩორი" კასტროს (მალაგა) გოლი პირველია, რაც ამ სეზონში „რეალმა" საჯარიმოს გარედან გაუშვა.**

*** ქარიმ ბენზემამ (რეალი) დაასრულა 7-მატჩიანი უგოლო სერია ლა ლიგაში. ყველაზე გრძელი მას მერე, რაც „სამეფო კლუბში" თამაშობს.**

*** კაზემირომ „რეალის" მაისურით ზედიზედ ორ საშინაო მატჩში პირველად გაიტანა.**

*** „მალაგამ" „რეალთან" მატჩში შეძლო სეზონში პირველი გოლის გატანა სტუმრად.**

### ლევანტე-ატლეტიკო

როგორც იქნა, „ატლეტიკოს" ფორვარდებმა გოლების გატანა დაიწყეს - **ანტუან გრიზმანმა** და **კევინ გამეირომ** ვალენსიაში დუბლები მიითვალეს, ერთიც „ლევანტეს" ფეხბურთელებმა საკუთარ კარში გაიტანეს.

**დიეგო სიმეონე** (ატლეტიკო): *„დღეს ჩვენი ფორვარდები საუკეთესოდ თამაშობდნენ. გრიზმანი და გამეირო გადასარევად ირჯებოდნენ, კორეაც კარგი იყო და შეცვლაზე შესული ტორესიც. არ ვიცით რატომ, მაგრამ ამ სიტუაციამ გუნდს მეტი მოტივაცია მისცა და მეტად დაგვმუხტა პოზიტიური ენერგიით".*

#### ფაქტები

*** 13 მატჩი წაუგებლად - ეს „ატლეტიკოს" ისტორიაში საუკეთესო სტარტია (7 მოგება, 6 ფრე).**

*** ანტუან გრიზმანმა (ატლეტიკო) ერთ მატჩში გოლი და საგოლე პასი პირველად მიითვალა ამ სეზონში.**

*** პირველ ტაიმში „ატლეტიკომ" „ლევანტეს" კარში ზუსტად 6-ჯერ დაურტყა, რაც ამ სეზონში მადრიდელთათვის ტაიმის რეკორდია.**

*** ბოლო 18 საგარეო მატჩია, რაც „ატლეტიკო" ლა ლიგაში არ მარცხდება (10 მოგება, 8 ფრე).**

*** დიეგო სიმეონემ პირველად მოიგო „სიუტატ დე ვალენსიაზე" მწვრთნელის რანგში - მე-6 ცდაზე.**

„ბეტისისა" და „ჟირონას" მატჩში (2:2) ორი გოლი მსაჯის მიერ მე-4 და მე-5 კომპენსირებულ წუთებზე გავიდა, ასეთ რამეს კი იშვიათად თუ ნახავთ.

„სევილიამ" „ლივერპულთან" სასწაულებრივ შემოატრიალა თამაში ჩემპიონთა ლიგაზე, ახლა კი ჯერი ლა ლიგაზე დადგა - გუნდი „ვილიარეალთან" 0:2 მარცხდებოდა, მაგრამ ანდალუსიელებმა სამი გოლის გატანა შეძლეს „ყვითელი წყალქვეშა ნავის" კარში. მოკლედ, **ედუარდო ბერიცოს** გუნდს მტკიცე ხასიათი გამოუმუშავდა.

#### სხვა ფაქტები

*** „ლეგანესი" ზედიზედ 4 ტურში დამარცხდა, ეს ამ გუნდის უარესი შედეგია პრიმერა დივიზიონში.**

*** იაგო ასპასმა (სელტა) ლა ლიგაში 11 პენალტი დაარტყა და 11 გაიტანა.**

*** „ბეტისის" კარში ბოლო 12 ზუსტი დარტყმიდან 8 გოლი გავიდა.**

*** „ალავესსა" და „ეიბარს" შორის პირველი ბასკური დერბია ლა ლიგაში, რომელიც 0:0 არ მორჩენილა.**

*** მეორე ტაიმებში გატანილი გოლების წყალობით ყველაზე მეტი ქულა „სევილიამ" დააგროვა - 13.**

*** „ბილბაოს" უკვე ხუთი ტურია, ვერ მოუგია (2 ფრე, 3 წაგება). ეს კი 2015 წლის იანვრის მერე პირველად მოხდა.**

**სელტა-ლეგანესი 1:0**

**გოლი:** 1:0 ასპასი (27-პენ)

**ალავესი-ეიბარი 1:2**

**გოლები:** 0:1 ხორდანი (33), 0:2 შარლესი (69), 1:2 ბურგუი (91)

**გაძევება:** სანტოსი (45. ალავესი), შარლესი (83. ეიბარი)

**რეალი-მალაგა 3:2**

**გოლები:** 1:0 ბენზემა (9), 1:1 როლანი (18), 2:1 კაზემირო (21), 2:2 გ. კასტრო (58), 3:2 რონალდო (76)

**რეალი (4-4-2):** კასილია - კარვახალი, ვარანი, ვალიეხო, მარსელო - ისკო (62. მოდრიჩი), კაზემირო, კროოსი (81. ტ. ერნანდესი), ლ. ვასკესი - ბენზემა (89. მაიორალი), რონალდო

**გამოუყენებელი პენალტი:** რონალდო (76)

**ბეტისი-ჟირონა 2:2**

**გოლები:** 0:1 პორტუ (45+1), 1:1 გუარდადო (85), 1:2 პორტუ (94), 2:2 ტელიო (95)

**ლევანტე-ატლეტიკო 0:5**

**გოლები:** 0:1 რობერი (5 ს. კ.), 0:2 გამეირო (29), 0:3 გამეირო (59), 0:4 გრიზმანი (65), 0:5 გრიზმანი (68)

**ატლეტიკო (4-4-2):** ობლაკი - თომასი, სავიჩი, გოდინი, ფილიპე ლუიში - საულ ნიგესი (73. ა. ფერნანდესი), გაბი, კოკე, ა. კორეა (66. ფერეირა-კარასკო) - გამეირო (69. ფ. ტორესი), გრიზმანი

**დეპორტივო-ბილბაო 2:2**

**გოლები:** 0:1 სუსაეტა (16), 1:1 ადრიანი (35), 1:2 ვილიამსი (60), 2:2 შერი (76)

**ბილბაო (4-2-3-1):** არიზაბალაგა - ბოვედა, ნუნიესი, ლაპორტი, ბალენზიაგა - იტურასპე, მ. რიკო - ვილიამსი, დე მარკოსი (54. რაულ გარსია), სუსაეტა - ადურისი

**სოსიედადი-ლას პალმასი 2:2**

**გოლები:** 0:1 ტანა (21), 1:1 ვილიან ჟოზე (31), 2:1 იანუზაი (62), 2:2 ვიერა (67)

**რეალ სოსიედადი (4-3-3):** რული - ოდრიოზოლა, დ. ლორენტე, ი. მარტინესი, როდრიგეში - ჩაბი პრიეტო (70. კანალესი), ილიარამენდი, ზურუტუზა - იანუზაი (80. ხუანმი), ვილიან ჟოზე, ოიარზაბალი (67. ველა)

**გაძევება:** ოდრიოზოლა (94. რეალ სოსიედადი)

**ვილიარეალი-სევილია 2:3**

**გოლები:** 1:0 ბაკამბუ (19), 2:0 ბაკა (53), 2:1 ლონგლე (56), 2:2 ფ. ვასკესი (57), 2:3 ბანეგა (68-პენ)

**სევილია (4-2-3-1):** ს. რიკო - მერკადო, გაისი, ლონგლე, კაროლი - ბანეგა, პისარო - სარაბია (90. ხესუს ნავასი), ფ. ვასკესი (68. კრონ-დელი), ხ. კორეა - მურიელი (93. განსო)

**გაძევება:** რუისი (77. ვილიარეალი)

**ვალენსია-ბარსელონა 1:1**

**გოლები:** 1:0 როდრიგო (60), 1:1 ალბა (82)

**ვალენსია (4-4-2):** ნეტო - მონტოია, გარაი (86. ვეზუ), გაბრიელი, გაია - სოლერი (89. მინა), პარეხო, კონდოგბია, გედეში - ძაძა, როდრიგო (82. ა. პერეირა)

**ბარსელონა (4-1-2-1-2):** ტერ შტეგენი - სემედუ (80. ა. ვიდალი), უმტიტი, ვერმალენი, ალბა - ბუსკეტსი - რაკიტიჩი (68. დეულოფეუ), ინიესტა (72. დ. სუარესი) - პაულინიო - ლ. სუარესი, მესი

**ორშაბათი, 27 ნოემბერი**

**ესპანიოლი-ხეტაფე 23:59**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 13 | 11 | 2 | 0 | 34-5 | 35 |
| 2. ვალენსია | 13 | 9 | 4 | 0 | 33-12 | 31 |
| 3. ატლეტიკო | 13 | 7 | 6 | 0 | 21-6 | 27 |
| 4. რეალი | 13 | 8 | 3 | 2 | 25-11 | 27 |
| 5. სევილია | 13 | 8 | 1 | 4 | 17-14 | 25 |
| 6. ვილიარეალი | 13 | 6 | 3 | 4 | 21-15 | 21 |
| 7. სოსიედადი | 13 | 5 | 4 | 4 | 27-24 | 19 |
| 8. ბეტისი | 13 | 5 | 3 | 5 | 23-27 | 18 |
| 9. სელტა | 13 | 5 | 2 | 6 | 24-19 | 17 |
| 10. ჟირონა | 13 | 4 | 5 | 4 | 16-19 | 17 |
| 11. ლეგანესი | 13 | 5 | 2 | 6 | 9-12 | 17 |
| 12. ხეტაფე | 12 | 4 | 4 | 4 | 19-14 | 16 |
| 13. ლევანტე | 13 | 3 | 6 | 4 | 14-20 | 15 |
| 14. ეიბარი | 13 | 4 | 2 | 7 | 13-26 | 14 |
| 15. ბილბაო | 13 | 3 | 4 | 6 | 14-18 | 13 |
| 16. ესპანიოლი | 12 | 3 | 4 | 5 | 9-15 | 13 |
| 17. დეპორტივო | 13 | 3 | 3 | 7 | 17-25 | 12 |
| 18. მალაგა | 13 | 2 | 1 | 10 | 11-28 | 7 |
| 19. ლას პალმასი | 13 | 2 | 1 | 10 | 10-32 | 7 |
| 20. ალავესი | 13 | 2 | 0 | 11 | 7-22 | 6 |

**ბომბარდირები:** 12 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 9 - სედრიკ ბაკამბუ (ვილიარეალი), სიმონე ძაძა (ვალენსია); 8 - როდრიგო (ვალენსია); 7 - იაგო ასპასი (სელტა), ანტონიო სანაბრია (ბეტისი), კრისტიან სტუანი (ჟირონა).

**მომდევნო ტური**

1 დეკემბერი: **მალაგა-ლევანტე;**

2 დეკემბერი: **ბარსელონა-სელტა, ატლეტიკო-რეალ სოსიედადი, სევილია-დეპორტივო, ბილბაო-რეალი;**

3 დეკემბერი: **ლეგანესი-ვილიარეალი, ხეტაფე-ვალენსია, ეიბარი-ესპანიოლი, ლას პალმასი-ბეტისი;**

4 დეკემბერი: **ჟირონა-ალავესი.**

ვარსკვლავი

# ჯერ ოქროს ბუცი, მერე კონტრაქტი



ლიონელ მესი

**ლიონელ მესის** ოფიციალურად გადასცეს ევროპის „ოქროს ბუცი", რომელიც მან 2016/17 წლების სეზონის საუკეთესო ბომბარდირობისთვის მიიღო. პრიზი მას თანაგუნდელმა **ლუის სუარესმა** გადასცა. ლეომ ლა ლიგაში 34 მატჩში 37 გოლი გაიტანა. მან 74 ქულა მიიღო. მეორე ადგილზე გავიდა ლისაბონის „სპორტინგის" ფორვარდი **ბას დოსტი** (34 გოლი) - 68 ქულა. მესამე ადგილზე გავიდა **პიერ-ემერიკ ობამეიანგი** (დორტმუნდი) - 31 გოლი, 62 ქულა.

არგენტინელი ევროპის საუკეთესო ბომბარდირი აქამდე სამჯერ გახდა - 2010, 2012 და 2013 წლებში. მესი 4 „ოქროს ბუცით" **კრიშტიანო რონალდოს** გაუთანაბრდა.

*„ინდივიდუალური პრიზები არასდროს არ არის ერთი ფეხბურთელის დამსახურება. ეს მთლიანად გუნდის დამსახურებაა. ჩემი პარტნიორების გარეშე როგორ მოვახერხებდი ამდენი გოლის გატანას? ეს პრიზი მათ მომაგებინეს"*, - განუცხადა არგენტინელმა „მარკას".

■ ■ ■

მეორე დღეს მოხდა ის, რასაც ამდენ ხანს ელოდნენ „ბარსას" ქომაგები - როგორც იქნა, ლიონელმა ახალი კონტრაქტი გააფორმა „ბარსელონასთან". 30 წლის შემტევმა გუნდს ბედი 2021 წლამდე დაუკავშირა. ძველი კონტრაქტი კი 2018 წლის ზაფხულში სრულდებოდა. ახლა არგენტინელის გამოსასყიდი თანხა 700 მილიონი ევროა. ლიონელმა „ბარსას" მაისურით 602 მატჩში 523 გოლი გაიტანა („ვალენსიასთან" თამაშამდე).

კატალონიურ კლუბში იგი 8-ჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, 4-ჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, 5-ჯერ კოპა დელ რეი, 7-ჯერ ესპანეთის სუპერთასი, 3-ჯერ ევროპის სუპერთასი და 3-ჯერ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონობა. ლეომ 5-ჯერ მოიგო „ოქროს ბურთი".

ხელმოწერის შემდეგ მესიმ აღნიშნა, რომ იგი დიდი სიამოვნებით დაასრულებს კარიერას „ბარსელონაში".

ამბები

### ყველაზე წარმატებული პრეზიდენტი

70 წლის ასაკში გარდაიცვალა „ვალენსიას" ისტორიაში ყველაზე წარმატებული კლუბის პრეზიდენტი **ხაუმე ორტი**. მას რამდენიმე თვის წინათ დაუდგინეს ფილტვის სიმსივნე. ორტი „ვალენსიას" პრეზიდენტი 2001-2004 წლებში იყო. ამ მცირე დროში „ღამურებმა" ორჯერ მოიგეს ლა ლიგა, მოიგეს უეფას თასი და ევროპის სუპერთასი. ორტი ყველას ახსოვს, როგორც ფანებთან ახლო ურთიერთობის მომხრე პრეზიდენტი.

### ასენსიოს 2–3 კვირა

მადრიდის „რეალმა" 2-3 კვირით დაკარგა 21 წლის მარკო ასენსიო. „სამეფო კლუბის" ნახევარმცველს კუნთი აქვს დაზიანებული. ამ სეზონში მან 12 მატჩში 4 გოლი გაიტანა. ასენსიოს მალე სრულად გამოიკვლევენ და უფრო ცხადი გახდება, ზუსტად რამდენი მატჩის გამოტოვება მოუწევს ახალგაზრდა ვარსკვლავს. მან უკვე გამოტოვა დაპირისპირება „მალაგასთან", რომელშიც „რეალმა" 3:2 იმარჯვა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



# იკარდი, როგორც ჯუზეპე მეაცა...

## ცხოველი საჯარიმოში, ნაპოლი ისევ კენწეროში

იტალიურ გრანდთაგან პირველი მორიგ ტურში "ინტერში" ჩაება. მილანელებმა რთული გასვლითი გამარჯვება მოიპოვეს. **ლუჩანო სპალეტის** განწვრთნილი გუნდის მორიგი მსხვერპლი "კალიარი" გახდა. ანგარიშიდან შეიძლება სხვანაირად ჩანდეს, მაგრამ თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე, მილანელებს ძალიან გაუჭირდათ და გასაკვირი სულაც არ იქნებოდა, უქულოდ დარჩენილიყვნენ.

ნახევარი საათის თავზე ანგარიში **მაურო იკარდიმ** გახსნა. დიდებულ ფორმაში მყოფმა არგენტინელმა ფორვარდმა **ივან პერიშიჩის** შესანიშნავი გადაცემის შემდეგ შეაგდო. მანამდე კი "ინტერს" გვარიანი ნერვიულობა მოუხდა. "კალიარი" აშკარად სჯობდა მოწინააღმდეგეს და რომ არა მილანელთა მეკარე **სამირ ჰანდანოვიჩის** გამორჩეული თამაში, ანგარიში იქამდე გაიხსნებოდა.

სლოვენიელმა მეკარემ მართლაც რომ დიდებული მატჩი ჩაატარა, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის "სეივი", რომელიც მან **ლეონარდო პავოლეტის** დარტყმულზე განახორციელა. ასე იყო თუ ისე, "ინტერის" გოლის შემდეგ "ნერაძურიმ" თამაში დაალაგა. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა შეცვლაზე შესულმა **მარსელო ბროზოვიჩმა** საკუთარი გუნდის უპირატესობა გაზარდა. "კალიარიმ" გაიბრძოლა და მათ რიგებში საუკეთესო პავოლეტის ძალისხმევით ანგარიშიც "დაასველა", მაგრამ მალე საქმეში ისევ იკარდი ჩაერთო და საბოლოო წერტილიც დასვა.

*"ის უბრალოდ ცხოველია საჯარიმო მოედანში"*, - თქვა იკარდის თაობაზე "კალიარის" მთავარმა მწვრთნელმა **დიეგო ლოპესმა** და, ალბათ, არც შემცდარა.

"მილანმა" **0:0** ითამაშა შინ "ტორინოსთან". სულ ბოლოს გაუქმდა **პატრიკ კუტრონეს** მიერ გატანილი გოლი. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მანამდე არც **ობის** ჩაუთვალეს "მილანის" კარში გატანილი გოლი. "მილანი" უფრო მწვავედ თამაშობდა, მაგრამ ფაქტია - ვერ მოიგო.

*"ჩვენ თამაშს თავიდან ბოლომდე ვაკონტროლებით და 6-7 ძალიან კარგი შანსი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. რას ვიზამთ, ფეხბურთში ყოველთვის ის ვერ იგებს, ვინც უკეთ თამაშობს"*, - თქვა "მილანის" მწვრთნელმა **ვინჩენცო მონტელამ**.

"რომამ" მოულოდნელად წაიფორხილა გენუაში, სადაც ქულები დაკარგა მასპინძელ "ჯენოასთან". დედაქალაქელები **სტეფან ელ შაარავის** გოლით კი იგებდნენ, მაგრამ მერე "რომას" საქმეები ცუდად წაუვიდა. **დანიელე დე როსის** გაძევებას (მეტოქეს სახეში იდაყვი ჩასცხო) **ლაპადულას** ზუსტი დარტყმა მოჰყვა 11 მეტრიდან. ბოლოს "რომას" შანსები მაინც ჰქონდა. **ედინ ჯეკოს** ულამაზესი გოლი გაჰქონდა, თუმცა არ გამოვიდა. გატანა შეეძლო იმავე ლაპადულას. საბოლოოდ ფრე, რომელსაც რომაელები აქტივში ვერაფრით შეიტანენ.

*"დე როსი არ არის ბავშვი. მან იცის, რომ შეცდა. ჩვენ ერთობლივად უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ სამომავლოდ ასეთი რამ თავიდან ავირიდოთ. და მაინც, მიმაჩნია, რომ მეტი შეიძლებოდა, მიგვეღო ამ მატჩისგან"*, - თქვა რომაელთა დამრიგებელმა **ეუსებიო დი ფრანჩესკომ**.

ლიდერმა "ნაპოლიმ" სერია A-ს კენწეროში ადგილი შეინარჩუნა. "უდინეზესთან" შეხვედრაში ერთადერთი გოლი **ჟორჟინიომ** შეაგდო მას მერე, რაც 11-მეტრიანი ვერ გაიტანა. უპირატესობა "ნაპოლის" ჰქონდა. "უდინეზეს" კი ჯერაც ვერ უშველა მწვრთნელის შეცვლამ. შეგახსენებთ, რომ **ლუიჯი დელ ნერის** ნაცვლად, რამდენიმე დღის წინ გუნდის თავკაცად **მასიმო ოდო** დაინიშნა.

როგორც ჩანს, "ნაპოლი" ამ სეზონში ბოლომდე აპირებს ჩემპიონობისთვის ბრძოლას. წინა სეზონში **მაურიციო სარის** გუნდს სკუდეტოს მოგების შანსი სუსტმა დაცვამ არ წაართვა. ამ ეტაპზე კი, ნეაპოლელთა უკანა ხაზი, ასე თუ ისე, სოლიდურად გამოიყურება.

*"ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი 3 ქულა მოვიპოვეთ. გამარჯვებულის მენტალიტეტი უნდა შევინარჩუნოთ. დიახ, "ნაპოლი" იბრძვის ტიტულისთვის და მოხარულები ვართ, რომ ბოლომდე ვართ ჩაბმულნი ამ დიდ ბრძოლაში. ვფიქრობ, ეს არ არის ის, რაზეც ჩვენ უნდა შევჩერდეთ. მჯერა, კიდევ შეგვიძლია მომატება"*, - თქვა გოლის ავტორმა ჟორჟინიომ.

რომაული დერბის წაგების შემდეგ ისევ წაიფორხილა "ლაციომ". ამჯერად, **სიმონე ინძაგის** განწვრთნილმა გუნდმა ბოლო წამს დაკარგა ქულა "ფიორენტინასთან". მასპინძლები **დე ვრეის** გოლით იგებდნენ, მაგრამ **ბაბაქარმა** ვიდეორეფერის მიერ დანიშნული თერთმეტმეტრიანით გაათანაბრა.

### ფაქტები

*** "მილანს" არ გაუტანია გოლი ზედიზედ 4 საშინაო მატჩში, რაც 2007 წლის დეკემბრისა და 1984 წლის აპრილის შემდეგ მესამე შემთხვევაა კლუბის ისტორიაში.**

*** მაურო იკარდი "ინტერის" მესამე ფეხბურთელი გახდა, ვინც სერია A-ს ოთხ სეზონში, თითოეულში, მინიმუმ 15 გოლი გაიტანა. 1949-53 წლებში ანალოგიური მიღწევა ჰქონდა სტეფანო ნაიერსს, ხოლო 1930-36 წლებში თვით ლეგენდარულ ჯუზეპე მეაცას.**

*** მაურო იკარდიმ სერია A-ს მიმდინარე სეზონის 6 მატჩში გაიტანა ორი და მეტი გოლი - 5 დუბლი და ერთიც ჰეთ-თრიკი. ასეთი შედეგით ევროპის ტოპ 5-ის ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ დაიკვეხნის.**

*** მარტო ივან პერიშიჩმა 2015/16 წლების სეზონიდან მოყოლებული, იკარდის 13 საგოლე პასი გაუკეთა.**

*** მაურო იკარდიმ "კალიარის" ოთხივე საგარეო მატჩში გაუტანა თითო გოლი მაინც.**

*** იბრაჰიმა მბაიეს სერია A-ში სულ 3 გოლი აქვს გატანილი და სამივე - "სამპდორიას" კარში.**

ალეკო კაკაურიძე

### მარადონა საკუთარი ქალიშვილის დაპატიმრებას ითხოვს

ლეგენდარული დიეგო მარადონას ადვოკატმა მატიას მორლამ, რომელიც არგენტინელი ფეხბურთელის ინტერესებს იცავს ყოფილი მეუღლის კლაუდია ვილიაფანის საქმეში, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი კლიენტი საკუთარი ქალიშვილის, ჯანინას დაპატიმრებას ითხოვს. სასამართლო პროცესი 2015 წელს დაიწყო, როცა მარადონამ თავისი მეუღლე 3.8 მილიონი ევროს მოპარვაში დაადანაშაულა.

*"დიეგოს აქვს მტკიცებულება, რომ ჯანინამ ურუგვაიში იმოგზაურა და იქ რამდენიმე საბანკო ოპერაცია შეასრულა, - მოჰყავს არგენტინულ გაზეთ Clarin-ს მორლას სიტყვები, - მაგრამ, მას არც ანგარიში გააჩნია და არც აქტივები. მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში, აუცილებელია პრევენციული დაპატიმრება".*

გია თვალაბეიშვილი

### ბოლონია-სამპდორია 3:0

**გოლები:** 1:0 ვერდი (3), 2:0 მბაიე (23), 3:0 ოკონკვო (73)

**გაძევება:** ტოროსიდისი (45. ბოლონია)

### კიევო-სპალ 2:1

**გოლები:** 0:1 სეზარი (17-საკ. კარში), 1:1 ინგლეზე (66), 2:1 ინგლეზე (81)

### სასუოლო-ვერონა 0:2

**გოლები:** 0:1 ძუკულინი (22), 0:2 ვერდე (31)

**გაძევება:** ერტო (67. ვერონა)

### კალიარი-ინტერი 1:3

**გოლები:** 0:1 იკარდი (29), 0:2 ბროზოვიჩი (55), 1:2 პავოლეტი (71), 1:3 იკარდი (83)

**ინტერი (4-2-3-1):** ჰანდანოვიჩი - დ'ამბროზიო, შკრინიარი, მირანდა, სანტონი - ვესინო (53. ბროზოვიჩი), გალიარდინი - კანდრევა (86. კანსელო), ბორხა ვალერო, პერიშიჩი - იკარდი (90. ედერი)

### მილანი-ტორინო 0:0

**მილანი (3-5-2):** დონარუმა - საპატა, ბონუჩი, რომანიოლი - სუსო, კესი, მონტოლივო, ბონავენტურა (71. ჩალჰანოღლუ), როდრიგესი - ანდრე სილვა, კალინიჩი (77. კუტრონე)

### ჯენოა-რომა 1:1

**გოლები:** 0:1 ელ შაარავი (59), 1:1 ლაპადულა (70-პენ)

**რომა (4-3-3):** ალისონი - ფლორენცი, ფასიო, ჟეზუში, კოლაროვი - ნაინგოლანი (87. შიკი), დე როსი, სტროოტმანი - პეროტი (63. დეფრელი), ჯეკო, ელ შაარავი (78. გონალონი)

**გაძევება:** დე როსი (69. რომა)

### უდინეზე-ნაპოლი 0:1

**გოლი:** 0:1 ჟორჟინიო (33)

**გამოუყენებელი პენალტი:** ჟორჟინიო (33. ნაპოლი)

**ნაპოლი (4-3-3):** რეინა - მაჯო, კირიკეში, კულიბალი, ჰისაი - ალანი, ჟორჟინიო (71. დიავარა), ჰამშიკი (83. როგი) - კალიეხონი, მერტენსი, ინსინიე (78. ზელინსკი)

### ლაციო-ფიორენტინა 1:1

**გოლები:** 1:0 დე ვრეი (25), 1:1 ბაბაქარი (90+5-პენ)

**ლაციო (3-5-1-1):** სტრაკოშა - ბასტოსი, დე ვრეი, რადუ - მარუშიჩი (77. ბასტა), პაროლო, ლუკას ლეივა, მილინკოვიჩ-სავიჩი, ლულიჩი (62. ლუკაკუ) - ლუის ალბერტო (88. კაისედო) - იმობილე

### იუვენტუსი-კროტონე 3:0

**გოლები:** 1:0 მანჯუკიჩი (52), 2:0 დე შილიო (60), 3:0 ბენატია (71)

**იუვენტუსი (3-4-2-1):** ბუფონი - ბარძალი, ბენატია, ჰიოვედესი (68. პიანიჩი) - ლიხტშტაინერი (57. დე შილიო), მარკიზიო (77. სტურარო), მატუიდი, ალექს სანდრო - დიეგო კოშტა, მანჯუკიჩი - დიბალა

### ორშაბათი, 27 ნოემბერი

**ატალანტა-ბენევენტო** 23:45

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნაპოლი | 14 | 12 | 2 | 0 | 35-9 | 38 |
| 2. ინტერი | 14 | 11 | 3 | 0 | 38-10 | 36 |
| 3. იუვენტუსი | 14 | 11 | 1 | 2 | 40-14 | 34 |
| 4. რომა | 13 | 10 | 1 | 2 | 24-9 | 31 |
| 5. ლაციო | 13 | 9 | 2 | 2 | 33-15 | 29 |
| 6. სამპდორია | 13 | 8 | 2 | 3 | 27-18 | 26 |
| 7. მილანი | 14 | 6 | 2 | 6 | 19-18 | 20 |
| 8. ბოლონია | 14 | 6 | 2 | 6 | 17-17 | 20 |
| 9. კიევო | 14 | 5 | 5 | 4 | 17-21 | 20 |
| 10. ტორინო | 14 | 4 | 7 | 3 | 18-20 | 19 |
| 11. ფიორენტინა | 14 | 5 | 3 | 6 | 23-19 | 18 |
| 12. ატალანტა | 13 | 4 | 4 | 5 | 19-18 | 16 |
| 13. კალიარი | 14 | 5 | 0 | 9 | 13-24 | 15 |
| 14. უდინეზე | 13 | 4 | 0 | 9 | 18-24 | 12 |
| 15. კროტონე | 14 | 3 | 3 | 8 | 11-27 | 12 |
| 16. სასუოლო | 14 | 3 | 2 | 9 | 8-24 | 11 |
| 17. ჯენოა | 14 | 2 | 4 | 8 | 11-20 | 10 |
| 18. სპალ | 14 | 2 | 4 | 8 | 12-23 | 10 |
| 19. ვერონა | 14 | 2 | 3 | 9 | 12-29 | 9 |
| 20. ბენევენტო | 13 | 0 | 0 | 13 | 6-33 | 0 |

**ბომბარდირები:** 15 - ჩირო იმობილე (ლაციო), მაურო იკარდი (ინტერი); 12 - პაულო დიბალა (იუვენტუსი); 10 - დრის მერტენსი (ნაპოლი); 8 - გონსალო იგუაინი (იუვენტუსი); 7 - ედინ ჯეკო (რომა), ფაბიო კვალიარელა (სამპდორია).

### მომდევნო ტური

1 დეკემბერი: **რომა-სპალ, ნაპოლი-იუვენტუსი**

2 დეკემბერი: **ტორინო-ატალანტა**

3 დეკემბერი: **ბენევენტო-მილანი, ბოლონია-კალიარი, ფიორენტინა-სასუოლო, ინტერი-კიევო, სამპდორია-ლაციო**

4 დეკემბერი: **კროტონე-უდინეზე, ვერონა-ჯენოა**

## ამბები

### კაკა ჩინეთში მიდის?



35 წლის **რიკარდო ლეიტე კაკამ**, ვისაც "მილანმა" გენდირექტორობა შესთავაზა, შეიძლება, კარიერა ჩინეთში გააგრძელოს. "კორიერე დელო სპორტი" იტყობინება, რომ ბრაზილიელი ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს "გუანჯოუ ჩიჟენთან". ოქტომბერში კაკამ დატოვა "ორლანდო", სადაც ის 2014 წლიდან თამაშობდა.

ალეკო კაკაურიძე

### ბრძოლა გორეტცკასთვის

"იუვენტუსი" გერმანიის ნაკრების 22 წლის ნახევარმცველის, **ლეონ გორეტცკასთვის** ბრძოლაში ჩაერთო. ამ ახალგაზრდას "შალკესთან" კონტრაქტი უმთავრდება და ელიან, რომ ის გუნდს მომავალ ზაფხულს დატოვებს. გორეტცკაზე ნადირობენ "ბარსელონა", "მანჩესტერი", "ბაიერნი" და "არსენალიც". ასევე იტყობინებიან, რომ ევროპის ერთ-ერთ მთავარ ტალანტს "მილანიც" ეპოტინება.

ალეკო კაკაურიძე



ლეონ გორეტცკა

### ჩანი და იუვე გაისად

"იუვენტუსის" ხელმძღვანელობა "ლივერპულის" ნახევარმცველ **ემრე ჩანს** პირადი კონტრაქტის პირობებზე მოელაპარაკა. როგორც "ტუტოსპორტი" წერს, გერმანელი იტალიურ კლუბში მომავალი წლის ზაფხულში, თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა, რაც იმას ნიშნავს, რომ ინგლისური კლუბი მასში თანხას ვერ აიღებს.

23 წლის ჩანი "ლივერპულში" 2014 წლიდან თამაშობს. ამ სეზონში მან 17 მატჩი ჩაატარა "წითლების" მაისურით, გაიტანა 3 გოლი და ორიც საგოლე პასი მიითვალა.

გია თვალაბეიშვილი

# რურის დერბი წლის მატჩად იქცა

**არც ისე ხშირად ხდება, როცა რურის დერბიში ფავორიტად „ბორუსია“ არ მიიჩნევა, მით უმეტეს, თუ მატჩი დორტმუნდში ტარდება. მაგრამ ამჯერად იმის გათვალისწინებით, რომ დორტმუნდელებს ბოლო ხუთ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა ჰქონდათ აღებული, „შალკემ“ კი მესამე ადგილამდე შეძლო ასვლა, „დორტმუნდის“ შანსების შეფასებისას, პესიმიზმი უფრო სჭარბობდა...**

და მატჩის დასაწყისმაც თითქოს დაადასტურა წინასამატჩო ვარაუდი - **კონოპლიანკას** 32-ე წამზე შეეძლო დაეწინაურებინა „შალკე“, მაგრამ ორი სანტიმეტრი არ ეყო ამისთვის. ამის შემდეგ კი იყო „დორტმუნდის“ აფეთქება. **პეტერ ბოშმა** სიურპრიზი შესთავაზა „შალკეს“, როცა თავისი საყვარელი 4-3-3-ის ნაცვლად, სამი ცენტრალური მცველით დაიწყო თამაში. რთული სათქმელია, ეს იყო თუ არა სტუმართა დაბნეულობის მიზეზი, მაგრამ ფაქტია, რომ „ბორუსიამ“ 13 წუთში ჩაატია 4 გოლი! ჯერ **შაჰინს** არ გამოუვიდა დარტყმა, რომელიც საგოლე პასად იქცა და **ობამეიანგმა** გახსნა ანგარიში. ამას მოჰყვა **სტამბულის** ავტოგოლი, **გიოტცეს** პირველი გოლი 344-დღიანი პაუზის შემდეგ და ვარდნაში ეფექტური დარტყმა **რაფაელ გერეიროს** შესრულებით - 4:0 25-ე წუთზე! გოლები შესანიშნავი კომბინაციების შემდეგ გადიოდა და „დორტმუნდი“ იმ თამაშს უჩვენებდა, რომლითაც სეზონის სტარტზე ყველას სიამოვნებას ანიჭებდა. ეს 13-წუთიანი აფეთქება შეიძლებოდა გამხდარიყო გარდამტეხი მომენტი კრიზისში მყოფი გუნდისთვის.

პირველ 45 წუთში დარტყმების შეფარდება იყო - 9:1 (ზუსტი დარტყმები - 5:0). მეორე ნახევარში ანალოგიური სტატისტიკა ასე გამოიყურებოდა - 11:2 (1:7), ოღონდ „შალკეს“ სასარგებლოდ. სტუმრების დამრიგებელმა **დომენიკო ტედესკომ** შესვენებაზე ორი ცვლილება განახორციელა და „შალკე“ მეტოქეს გამოედევნა. მე-60 წუთამდე „დორტმუნდი“ ინარჩუნებდა პირველი ტაიმის ანგარიშს, მაგრამ თამაშს ინტრიგა ოთხ წუთში დაუბრუნდა, როცა დროის ამ ინტერვალში **ბურგშტალერმა** და **ჰარიტმა** ორი გოლი გაიტანეს - 4:2. იქვე ნალდომ მესამეც შეაგდო, მაგრამ ვიდეორეფერიმ ბრაზილიელს ოფსაიდი დაუფიქსირა. ამას ისიც დაემატა, რომ 72-ე წუთზე, ობამეიანგმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და „დორტმუნდი“ 10 კაცით დარჩა მოედანზე.

„შალკეს“ ძალიან მალე შეეძლო რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება, მაგრამ ძელს გაარტყა ბურთი. „დორტმუნდი“, უბრალოდ, იგერიებდა მეტოქის შეტევებს და კონტრთამაშზე არც ფიქრობდა. 86-ე წუთზე **დანიელ კალიჯურიმ** მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, ხოლო, როცა თამაშის დასრულებას წამები აკლდა, მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის მეოთხე წუთზე, ნალდომ ჩვეულ სტილში მოიგო საჰაერო დუელი - 4:4. ეს იყო მატჩი ისტორიისთვის, რომლის შესახებაც „შალკეს“ გულშემატკივრები შვილიშვილებს მოუყვებიან, ხოლო დორტმუნდელები გაიხსენებენ, როგორც კოშმარს!



ნალდო ანგარიშს ათანაბრებს

■ ■ ■

**იუპ ჰაინკესის** ყოველი ვიზიტი მიონხენგლადბახში - მოვლენაა. „ბორუსიასთვის“ ის ლეგენდაა: გერმანიის ოთხგზის ჩემპიონი და 195 გოლით კლუბის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი.

მატჩი „გლადბახისთვის“ უსიამოვნოდ დაიწყო - თანაგუნდელთან შეჯახების შემდეგ, მინდვრიდან საკაცით გაიყვანეს **კრამერი**. თუმცა, მასპინძლებზე ამ მომენტს არ უმოქმედია და **რაფაელმა** ძალიან კარგი შანსი გაუშვა ხელიდან, რის შემდეგაც, **აზარმა ზიულეს** საჯარიმოში ხელით თამაში აიძულა და პენალტი თავად შეასრულა - 1:0. **ლევანდოვსკიმ** პასუხად ქუსლით ძელს გაარტყა ბურთი, მომდევნო შეტევაში კი **შტინდლმა** ეფექტური დრიბლინგის შემდეგ, ცარიელ კართან დატოვა **გინტერი**, რომელიც 150-ე მატჩს ატარებდა ბუნდესლიგაში.

0:2 „ბაიერნისთვის“ პრობლემა არ არის ხოლმე, მაგრამ იმ დღეს, სასწაულების ლიმიტი დორტმუნდში ამოიწურა და ჰაინკესმა ზედიზედ ცხრა ოფიციალური მატჩის მოგების შემდეგ, პირველი მარცხი იწვნია. მეორე ტაიმში მასპინძლებს შეტევაზე არც უფიქრიათ. ბურთის ფლობა: 24-76%, დარტყმების შეფარდება: 1-13 (ზუსტი დარტყმები: 0-5) - ასეთი უპირატესობა ჰქონდა „ბაიერნს“ მეორე ნახევარში, მაგრამ თამაშის გადარჩენა ვერ შეძლო. 74-ე წუთზე **არტურო ვიდალის** გოლი ერთადერთი აღმოჩნდა მეორე ტაიმში და „ბაიერნმა“ 1:2 წააგო. „გლადბახმა“ ყველაზე კარგად გაიარა ბოლო ოთხი ტურის დისტანცია, დააგროვა 10 ქულა და მესამეადგილოსან „შალკეს“ გაუთანაბრდა.

მეორე ადგილზე კი ისევ „ლაიპციგია“, რომლის მოგება „ვერდერთან“ რთული პროგნოზირებადი არ იყო თუნდაც იმიტომ, რომ გუნდის ფორვარდს **ტიმო ვერნერს** ერთით ნაკლები გოლი ჰქონდა გატანილი, ვიდრე მთლიანად ბრემენულ კლუბს. მართალია, ვერნერი ვერ გაუთანაბრდა მეტოქე გუნდს, სამაგიეროდ, **კეიტამ** და **ბერნარდომ** მოუტანეს „ლაიპციგს“ დაგეგმილი სამი ქულა.

## ფაქტები

**- „შტუტგარტი“ სეზონში პირველად ლიდერობდა გასვლით შეხვედრაში.**

**- „ჰანოვერმა“ თავისი 16 გოლიდან 13 მეორე ტაიმებში გაიტანა.**

**- „შტუტგარტს“ 16-დან 11 გოლი მეორე ტაიმებში აქვს გაშვებული.**

**- „შტუტგარტის“ ძირითადი შემადგენლობის საშუალო ასაკი 24.7 წელი იყო - ყველაზე ახალგაზრდა კლუბის ისტორიაში.**

**- „ლაიპციგს“ შვიდიდან შვიდი მატჩი აქვს მოგებული ბუნდესლიგაში, როცა ნაბი კეიტა გოლს იტანდა.**

**- „მაინცს“ 12 მატჩია სტუმრად არ მოუგია.**

**- „შალკე“ პირველი გუნდია „ბაიერნის“ შემდეგ, რომელმაც 0:4-დან თამაშის გადარჩენა შეძლო. 1976 წელს, „რეკორდმაისტერმა“ „ბოხუმს“ მოუგო 6:5.**

**- პიერ-ემერიკ ობამეიანგმა შეწყვიტა ბუნდესლიგაში 307-წუთიანი უგოლო სერია.**

**- ობამეიანგს 96 გოლი დაუგროვდა ბუნდესლიგაში და გაუთანაბრდა გერმანიის ჩემპიონატის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირ აფრიკელს, ტონი იებოას.**

**- ლეონ გორეტცკამ მე-100 მატჩი ჩაატარა ბუნდესლიგაში.**

**- „ლევერკუზენმა“ შეწყვიტა „აინტრახტის“ ექვსმატჩიანი წაუგებელი სერია და რვა მატჩია არ მარცხდება ბუნდესლიგაში.**

**- „აინტრახტი“ და „ლევერკუზენი“ 65-ედ შეხვდნენ ერთმანეთს და მათ შორის მატჩი არასოდეს დასრულებულა 0:0. ამ მატჩებში ჯამში 199 გოლი გავიდა.**

**- „ლევერკუზენს“ მინიმუმ ერთი გოლი გააქვს ბუნდესლიგის ბოლო 18 მატჩში. ეს ყველაზე გრძელი მიმდინარე სერიაა გერმანიაში.**

**- კევინ ფოლანდს რვა გოლი დაუგროვდა მიმდინარე სეზონში - იმაზე მეტი, ვიდრე მთლიანად 2016-17 წლების სეზონში ჰქონდა.**

**- „ბაიერნს“ მიონხენგლადბახში ჩატარებულ ბოლო 16 მატჩში მხოლოდ ექვსი მოგება (5 ფრე, 5 წაგება) აქვს.**

**- რობერტ ლევანდოვსკის „ბაიერნში“ გადასვლის შემდეგ, „გლადბახისთვის“ არასოდეს გაუტანია.**

**- ტორგან აზარს ამ სეზონში ოთხიდან ოთხი პენალტი აქვს გატანილი.**

**- „აუგსბურგმა“ სექტემბრის შემდეგ, პირველად მოიგო საკუთარ მოედანზე და შეწყვიტა „ვოლფსბურგის“ რვამატჩიანი წაუგებელი სერია.**

**- „ჰოფენჰაიმმა“ მხოლოდ მეორე მატჩი წააგო გასვლაზე.**

**- კევინ აკპოგუმამ ბუნდესლიგის ისტორიაში მე-1000 ავტოგოლი გაიტანა.**

**- „კიოლნში“ ითამაშა 16 წლის იან ბისეკმა, რომელიც ბუნდესლიგის ისტორიაში მეორე ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა.**

### ჰანოვერი-შტუტგარტი 1:1

**გოლები:** 0:1 ასანო (24), 1:1 ფიულკრუგი (76-პენ)

### დორტმუნდი-შალკე 4:4

**გოლები:** 1:0 ობამეიანგი (12), 2:0 სტამბული (18-საკ. კარში), 3:0 გიოტცე (20), 4:0 რაფაელ გერეირო (25), 4:1 ბურგშტალერი (61), 4:2 ჰარიტი (65), 4:3 კალიჯური (85), 4:4 ნალდო (90+3)

**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი - პაპასტატოპულოსი, თოფრაქი, შმელცერი - ვაიგლი, შაჰინი, რაფაელ გერეირო (46. ზაგადუ) - იარმოლენკო (69. ბარტრა), გიოტცე (77. გონსალო კასტრო), პულიშიჩი - ობამეიანგი.

**შალკე:** ფერმანი - კერერი (46. ნასტასიჩი), სტამბული, ნალდო, ოშჩიპკა - კალიჯური, მაკკენი (34. გორეტცკა), მ. მაიერი, კონოპლიანკა - დი სანტო (34. ჰარიტი), ბურგშტალერი.

**გაძევება:** ობამეიანგი (72. დორტმუნდი)

### ლაიპციგი-ვერდერი 2:0

**გოლები:** 1:0 კეიტა (34), 2:0 ბერნარდო (87)

**ლაიპციგი:** გულაში - კროსტერმანი, ორბანი, უპამეკანო, ჰალშტენბერგი (46. ბერნარდო) - კამპლი, დემე, კეიტა, ფორსბერგი (80. ლემერი) - პოულსენი, ვერნერი (75. ოგუსტენი).

### ფრაიბურგი-მაინცი 2:1

**გოლები:** 1:0 პეტერსენი (51), 2:0 კატი (90), 2:1 ბერგრეენი (90+3)

### აინტრახტი-ლევერკუზენი 0:1

**გოლი:** 0:1 ფოლანდი (76)

**ლევერკუზენი:** ლენო - რეტსოსი, ლ. ბენდერი, ტა - ჰაფერცი, არანგისი, კორი, ბრანდტი (85. რამალიო), მეჰმედი - ფოლანდი (90. კისლინგი), ალარიო (67. ბელარაბი).

### აუგსბურგი-ვოლფსბურგი 2:1

**გოლები:** 0:1 დიდავი (40), 1:1 გრეგორიტში (51), 2:1 ფინბოგასონი (78)

**გაძევება:** არნოლდი (11. ვოლფსბურგი)

### გლადბახი-ბაიერნი 2:1

**გოლები:** 1:0 ტ. აზარი (39-პენ), 2:0 გინტერი (44), 2:1 ვიდალი (74)

**გლადბახი:** ზომერი - ელვედი, გინტერი, ვესტერგაარდი, ვენდტი - ტ. აზარი, კრამერი (11. იანტჩკე/46. ჯონსონი), ზაკარია, ჰერმანი - შტინდლი, რაფაელი (90+1. დრმიჩი).

**ბაიერნი:** ულრაიხი - კიმიხი, ზიულე, ჰუმელსი, ხუან ბერნატი (46. კომანი) - ხავი მარტინესი, რუდი (68. ვრიდტი) - ტოლისო, ვიდალი, ხამეს როდრიგესი (46. ფრიდლი) - ლევანდოვსკი.

### ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი 3:0

**გოლები:** 1:0 აკპოგუმა (6-საკ. კარში), 2:0 კოსტიჩი (75), 3:0 იუნგი (88)

**ჰოფენჰაიმი:** ბაუმანი - აკპოგუმა, პოში, ფოგტი - ცუბერი (64. კრამარიჩი), ნ. შულცი - გრილიტში - დემირბაი (63. შალაი), გნაბრი (57. ამირი) - უტი, ვაგნერი.

### კიოლნი-ჰერტა 0:2

**გოლები:** 0:1 იბიშევიჩი (17), 0:2 იბიშევიჩი (64-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 13 | 9 | 2 | 2 | 31-10 | 29 |
| 2. ლაიპციგი | 13 | 8 | 2 | 3 | 22-15 | 26 |
| 3. შალკე | 13 | 7 | 3 | 3 | 20-14 | 24 |
| 4. გლადბახი | 13 | 7 | 3 | 3 | 23-22 | 24 |
| 5. დორტმუნდი | 13 | 6 | 3 | 4 | 33-20 | 21 |
| 6. ლევერკუზენი | 13 | 5 | 5 | 3 | 26-18 | 20 |
| 7. ჰოფენჰაიმი | 13 | 5 | 5 | 3 | 21-18 | 20 |
| 8. აუგსბურგი | 13 | 5 | 4 | 4 | 18-15 | 19 |
| 9. აინტრახტი | 13 | 5 | 4 | 4 | 14-13 | 19 |
| 10. ჰანოვერი | 13 | 5 | 4 | 4 | 16-16 | 19 |
| 11. ჰერტა | 13 | 4 | 5 | 4 | 18-19 | 17 |
| 12. შტუტგარტი | 13 | 5 | 2 | 6 | 13-16 | 17 |
| 13. მაინცი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-19 | 15 |
| 14. ვოლფსბურგი | 13 | 2 | 8 | 3 | 17-19 | 14 |
| 15. ჰამბურგი | 13 | 4 | 1 | 8 | 13-20 | 13 |
| 16. ფრაიბურგი | 13 | 2 | 5 | 6 | 9-25 | 11 |
| 17. ვერდერი | 13 | 1 | 5 | 7 | 8-16 | 8 |
| 18. კიოლნი | 13 | 0 | 2 | 11 | 4-25 | 2 |

**ბომბარდირები:** 13 - რობერტ ლევანდოვსკი (ბაიერნი); 11 - პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი); 8 - კევინ ფოლანდი (ლევერკუზენი); 7 - ტიმო ვერნერი (ლაიპციგი); 6 - ალფრედ ფინბოგასონი (აუგსბურგი), მაქსიმილიან ფილიპი (დორტმუნდი), მარკ უტი (ჰოფენჰაიმი), მიხაელ გრეგორიტში (აუგსბურგი).

### მომდევნო ტური

1 დეკემბერი: **ფრაიბურგი-ჰამბურგი.**

2 დეკემბერი: **ბაიერნი-ჰანოვერი, ჰოფენჰაიმი-ლაიპციგი, ვერდერი-შტუტგარტი, ლევერკუზენი-დორტმუნდი, მაინცი-აუგსბურგი, გალკე-კიოლნი.**

3 დეკემბერი: **ჰერტა-აინტრახტი, ვოლფსბურგი-გლადბახი.**

## ამბები

### რობენი: შესაძლოა, კარიერა ამ სეზონის შემდეგ დავასრულო

მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველმა **არიენ რობენმა** განაცხადა, რომ არ გამორიცხავს კარიერის დასრულებას წლევანდელი სეზონის შემდეგ, თუმცა ჯერ დარწმუნებული არ არის თავის მომავალში.

*„შესაძლოა, დავასრულებ კარიერას წლევანდელი სეზონის შემდეგ. შეიძლება წინ რაღაც ახალი მელოდება. არც ის არის გამორიცხული, რომ კიდევ სამი წელი ვითამაშო „ბაიერნში“. ყველაფერი შესაძლებელია.*

*მომდევნო მატჩზე შორს არ ვიყურები. მინდა, რაც შეიძლება დიდი ხანი ვითამაშო უმაღლეს დონეზე და ფეხბურთისგან სიამოვნება მივიღო. რამდენად დიდხანს გაგრძელდება ეს - არ ვიცი“*, - მოჰყავს რობენის სიტყვები გამოცემა Bild-ს.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის შემდეგ, არიენ რობენმა სანაკრებო კარიერა დაასრულა.

### ჰაინკესის დარჩენა შესაძლებელია

მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** არ გამორიცხა, რომ მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** გააგრძელებს კლუბის გაწვრთნას მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ. შეგახსენებთ, რომ ვეტერანმა გერმანელმა სპეციალისტმა ამ პოსტზე **კარლო ანჩელოტი** შეცვალა.

*„ვფიქრობ, ეს სავსებით შესაძლებელია“*, - განაცხადა Kicker-თან კომენტარში ჰიონესმა.

იუპ ჰაინკესის მისვლის შემდეგ, „ბაიერნმა“ ზედიზედ ცხრა ოფიციალური მატჩი მოიგო, გავიდა ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში, მოიპოვა ბუნდესლიგაში ლიდერობა და უახლოეს კონკურენტს ექვსი ქულით გაუსწრო, აგრეთვე, გერმანიის თასზე გაიარა ერთი ეტაპი.

გვერდი მოამზადა
**გიორგი თვალაბეიშვილმა**

თავისუფალი ჭიდაობა. 23-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი

# გამოცხადებული გამარჯვების ქრონიკა

*** გენო პეტრიაშვილმა ოთხივე შეხვედრა წმინდად, ქულებით ვადამდე მოიგო.**
*** მან 45 ქულა მოიპოვა და მხოლოდ 1 დაკარგა.**
*** პეტრიაშვილის ოქროს გარდა ქართულმა დელეგაციამ სამი ბრინჯაო მოიპოვა.**

**პოლონურ ბუდგოშჩში გუშინ დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი 23-წლამდელ მოჭიდავეთა შორის, რომელშიც ბოლო დღეებში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები გამოდიოდნენ. წარმატებით იჭიდავა ჩვენმა ნაკრებმა, რომელმაც 4 მედალი მოიპოვა - 1 ოქრო და 3 ბრინჯაო.**

ოქროს მედალი არა მარტო გუნდის, არამედ მთელი ტურნირის აშკარა ფავორიტმა, მსოფლიოს მოქმედმა და ევროპის ჩემპიონმა, გორელმა ოლიმპიურმა პრიზიორმა **გენო პეტრიაშვილმა** (125) მოიპოვა, ბრინჯაოს მედლებს კი ქუთაისელი **მირზა სხულუხია** (70), ამბროლაურელი **ავთანდილ კენჭაძე** (74) და თბილისელი **ირაკლი მჭითური** (86) დაეუფლნენ. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები 36 ქულით მესამეზე გავიდა რუსეთის (55) და ყაზახეთის (41) შემდეგ.

პეტრიაშვილი ამ შემოდგომაზე უკვე მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი - შეგახსენებთ, რომ ის უფროსებში პლანეტის მოქმედი ტრიუმფატორია, ამ წარმატებას კი სექტემბერში პარიზში მიაღწია, როცა თითქოსდა უძლეველი თურქი **ტაჰა აკგული** დაჯაბნა. მისთვის ეს ტურნირიც „გამოცხადებული გამარჯვების ქრონიკა“, პუბლიკისთვის კი საინტერესო წვრილმანი დეტალები იყო: რამდენ შეხვედრას მოიგებდა წმინდად, რამდენ დროს მოანდომებდა ჩემპიონობის მოპოვებას, რამდენ ქულას დააგროვებდა, ვის რა ანგარიშით მოუგებდა და ასე შემდეგ, თორემ საბოლოოდ მძიმე წონაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ვინ დადგებოდა, ამაზე არავინ კამათობდა. დასტურად ერთი მაგალითიც გამოდგება: ნახევარფინალში პეტრიაშვილმა 3.51 წუთში 14:1 გაანადგურა უკრაინელი **დანილო კარტავი**. სხვათა შორის, მასთან დაკარგა ერთადერთი ქულა მთელ ტურნირზე.

პეტრიაშვილმა არც ამჯერად გააწბილა მისი ნიჭის თაყვანისმცემლები და მორიგი ტრიუმფალური გამოსვლა ჩაიწერა აქტივში: წინასწარ შეხვედრებში აზიელებს „გაავლო მუსრი“: იაპონელ **ტაიკი იამამოტოს** და ჩინელ **ჭანხიან ჰუს** ერთნაირი ანგარიშით, 10:0 მოუგო. ფინალში კი ასევე პირწმინდად გადათელა რუსთა დაღესტნელი **მაგომედამინ დიბიროვი**: 3.42 წუთში 11:0 აჯობა.

პეტრიაშვილმა მშვენიერი ფიზიკური, ტაქტიკური თუ ტექნიკური მომზადება გამოავლინა. ფიზიკურად არათუ მისი დაჩაგვრა და დაღლა, ოდნავი პრობლემის შექმნაც ვერავინ შეძლო. სანაცვლოდ, თავად ძალიან იოლად უმკლავდებოდა ყველას, არ უჭირდა ფეხში შესვლა და მათი ჩოქბჯენში გადაყვანა, იქ კი იოლად ატრიალებდა.

■ ■ ■

ძლიერად იჭიდავა **მჭითურმაც**, რომელმაც მშვენიერი კისრულებით გამოიჩინა თავი. ეტყობა, ამ კომპონენტში ნაკრების მწვრთნელებთან ერთად პირად მწვრთნელ **ემზარ ბედინეიშვილსაც** კარგად უვარჯიშებია, ვინც ტრიბუნიდანაც ქომაგობდა შეგირდს. თურქ **მურატ ერთურქთან** 4:1 და შვეიცარიელ **სტეფან რაიხმუტთან** 3:2 მოგების შემდეგ ის ყაზახთა მომავალ ფინალისტ **აზამატ დაულეტბეკოვთან** 1:7 წააგო. მოგვიანებით, სანუგეშო წრეში გადასულმა 2:1 აჯობა აზერბაიჯანელ **ჰაჯიმურად მაგომედსაიდოვს**, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი ისევ და ისევ კისრულებით 6:1 მოუგო კუბელ **ლაზარო ერნანდესს**. ჩვენებურმა საწყის 30 წამში მეტოქე სამჯერ წამოიღო კისრულზე და 6:0 დაწინაურდა. ამ შეხვედრაში მან კარგი ფიზიკური მომზადებაც გამოავლინა და სწორედ ამიტომ ვერ მოუხერხა ვერაფერი კუბელმა (6:2).

■ ■ ■

მშვენივრად იჭიდავა **კენჭაძემაც**, ვინც თავდაპირველად, მონღოლი **ბატსუხ ბოლდხუუ** წმინდად, 13:2 დაამარცხა. ამ პაექრობაშიც და მთელ ტურნირზე კენჭაძეს არ უჭირდა ფეხში შესვლა და მეტოქის გადაგდება, მაგრამ უჭირდა ჩოქბჯენში მათი დატრიალება. მომდევნო ორ შეხვედრაში თავიდან ჩამორჩა: ბელარუს **ანდრეი კარპაჩთან** - 3:5, იაპონელ **იაჯურო იამასაკისთან** კი - 1:4, თუმცა შემტევი სტილით და ტექნიკური ჭიდაობით ორივეს დამაჯერებლად აჯობა. შესაბამისად, 15:5 და 7:4. სამწუხაროდ, ჩვენებური ნახევარფინალში 3:7 დამარცხდა რუსთა მომავალ ჩემპიონ **გაჯი ნაბიევთან**, ბრინჯაოსთვის პაექრობაში კი ამერიკელი **ისაია ალექსანდერ მარტინესი** ასევე წმინდად, 11:0 დაამარცხა.

■ ■ ■

სხულუხია პირველივე წრეში დამარცხდა ინდოელთა მომავალ ფინალისტ **ვინოდ კუმართან** - 0:3, სანუგეშოში კი უკრაინელ ალი ზაქარიევს 7:3, ხოლო ბრინჯაოსთვის პაექრობაში 3:0 აჯობა იაპონელ **ნობუიოში ტაკოჯიმას**.

პოლონეთში ჩვენგან ჭიდაობდნენ, მაგრამ უმედლოდ დარჩნენ **რამაზ თურმანიძე** (57), **შოთა ფარტენაძე** (61), **ივერიკო ჯულაყიძე** (65) და **გივი მაჭარაშვილი** (97).


ეს ეს არის, გენო პეტრიაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიგო

**57 კგ.**

1. რაინერ ანდრეუ ორტეგა (კუბა); 2. მიკაილ სალიმ ნაიმი (ბულგარეთი); 3. სულეიმან ათლი (თურქეთი), პარვიზ იბრაჰიმოვი (აზერბაიჯანი); 12. **რამაზ თურმანიძე** (საქართველო).

**61 კგ.**

1. რინია ნაკამურა (იაპონია); 2. კუატ ამირტაევი (ყაზახეთი); 3. ისლამ დუდაევი (რუსეთი), სედატ ოზდემირი (თურქეთი); 12. **შოთა ფარტენაძე** (საქართველო).

**65 კგ.**

1. ნაჩინ კუულარი (რუსეთი); 2. ბაჯრანგ ბაჯრანგი (ინდოეთი); 3. იონეს ალიაკბარ ემამიჩოგაე (ირანი), იოსეფ კრისტოფერ მაკ კენა (აშშ); 12. **ივერიკო ჯულაყიძე** (საქართველო).

**70 კგ.**

1, რიჩარდ ანტონი ლუისი (აშშ); 2. ვინოდ კუმარი (ინდოეთი); 3. **მირზა სხულუხია** (საქართველო), მუჰამეტ აკდენიზი (თურქეთი).

**74 კგ.**

1. გაჯი ნაბიევი (რუსეთი); 2. ახსარბეკ გულაევი (სლოვაკეთი); 3. **ავთანდილ კენჭაძე** (საქართველო), ვასილ მიხაილოვი (უკრაინა).

**86 კგ.**

1. ალიხან ჟაბრაილოვი (რუსეთი); 2. აზამატ დაულეტბეკოვი (ყაზახეთი); 3. **ირაკლი მჭითური** (საქართველო), იური კალაშნიკოვი (ისრაელი).

**97 კგ.**

1. მოჯტაბა მოჰამედშაფიე გოლეი (ირანი); 2. ძიანის კრამიანკოუ (ბელარუსი); 3. მურაზ მჭედლიძე (უკრაინა); რაიან ჯეკ უოლზი (აშშ); 9. **გივი მაჭარაშვილი** (საქართველო).

**125 კგ.**

1. **გენო პეტრიაშვილი** (საქართველო); 2. მაგომედამინ დიბიროვი (რუსეთი); 3. დანილო კარტავი (უკრაინა), ამინ ჰოსეინ ტაჰერი (ირანი).

ძიუდო. ევროპის საკლუბო პირველობა

# მებრძოლმა ბრინჯაოსთვის იბრძოლა

შარშანდლისგან განსხვავებით, წლეულს ძიუდოში ევროპის საკლუბო პირველობაში მხოლოდ ერთი გუნდით ვიყავით წარმოდგენილი: უმაღლეს, „ოქროს ლიგაში“ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს კლუბი „მებრძოლი“ გამოვიდა, შარშან კი 3 გვყავდა, ხოლო სულ ლიგაში 8 გუნდი გამოდიოდა. წლეულს არ გამოვიდნენ შარშანდელი გამარჯვებული „საგარეჯო სუპერსტარი“ (ჩვენი ინფორმაციით, ის საერთოდ დაიშალა) და „შევარდენი“, თუმცა დიდი წარმატებით ვერც „მებრძოლი“ გამოვიდა, ბრინჯაოს დასჯერდა.

ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი კლუბი რუსულ „ნიუ სტირმთან“ დამარცხდა: 1:4, სანუგეშოში კი ჩერნოგორიულ „აკადემიკას“ „მშრალი“ ანგარიშით, 5:0 მოუგო, ბრინჯაოსთვის პაექრობაში კი ფრანგულ „ძიუდოს“ 3:2 აჯობა.

რუსებთან შეხვედრაში ჩვენებიდან მხოლოდ „საგარეჯოდან“ გადაყვანილმა **ბექა ღვინიაშვილმა** (90) წმინდად იმარჯვა **დმიტრი დოვგანთან** პაექრობაში, **ვაჟა მარგველაშვილი** (66) კი **აბდულა აბდულჟალილოვთან** დამარცხდა, **ფრიდონ გიგანი** (73) - **ოდბაიარ განბაატართან**, **ნუგზარ ტატალაშვილი** (81) - **ალან ხუბეცოვთან**, ხოლო **ადამ ოქრუაშვილმა** (+90) **ალექსანდრ მიხაილინთან** წააგო.

ჩერნოგორიელებთან მარგველაშვილი **ამირან პაპინაშვილმა** შეცვალა და **მარკო გუსიჩს** ვაზარითაც მოუგო. შეიცვალა მონაწილეც 81-ში და იქაც წარმატებით: **ზებედა რეხვიაშვილმა** მსოფლიოს ფინალისტი **სრდჯან მრვალჯევიჩი** ვაზარით დაჯაბნა, დანარჩენ წონებში კი ისევ ძველი ფალავნები დადგნენ და სამივემ წმინდად მოიგო: გიგანმა - **ნიკოლა გუსიჩთან**, ღვინიაშვილმა - **პრედრაგ სტანჩევიჩთან**, ოქრუაშვილმა კი - **ანტონ დუბრეტასთან**.

ფრანგებთან შეხვედრაში შემადგენლობაში დაბრუნდა მარგველაშვილი და **დავიდ ლაროსეს** ვაზარითაც მოუგო. სამწუხაროდ, გიგანი იპონით დამარცხდა **ჟულიენ ლა როკასთან** (თუმცა ვაზარი კი აუღო) და ფრანგებმა საერთო ანგარიში გაათანაბრეს: 1:1. სამაგიეროდ, რეხვიაშვილმა ისევ დაგვაწინაურა, როცა კიდევ ერთხელ გვაჩვენა საფირმო ილეთად ქცეული მტკივნეული ნახტომი **ქუენტინ ჟუბერთან**: 2:1. ამჯერად სრულიად მოულოდნელად დამარცხდა ღვინიაშვილი, ვის მოგვერდსაც **ჟულიან კერმარეკი** მომზადებული დახვდა და კონტრშეტევით იპონზე ჩაატრიალა: 2:2 საერთო ანგარიში. ამ კრიტიკულ ვითარებაში კიდევ ერთხელ გვიხსნა ოქრუაშვილმა, ვისაც მსგავს სიტუაციაში არაერთხელ მოუგია გადამწყვეტი პაექრობა. ამჯერადაც ასე მოიქცა და **სედრიკ ოლივარი** დააიპონა. საბოლოოდ 3:2 ჩვენების სასარგებლოდ და „მებრძოლი“ ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, ტურნირი კი რუსთა ზეობით წარიმართა: ფინალში იქაურმა „იავარანევამ“ 4:1 აჯობა „ნიუ სტრიმს“.



ევროპის საკლუბო ჩემპიონატის კვარცხლბეკი, „მებრძოლი“ მარჯვნივ

ძიუდო


ვალერი ლიპარტელიანი

# მსოფლიოს პრიზიორი სამეული კანოს ტურნირზე

2-3 დეკემბერს ტოკიოში, ძიგორო კანოს მემორიალში საქართველოდან მხოლოდ ის სამეული იჭიდავებს, რომელიც პერსონალურადაა მიწვეული, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის მედალოსანი. ესენია ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს მეორე პრიზიორი ვალერი ლიპარტელიანი, მესამე პრიზიორები **ვაჟა მარგველაშვილი** (66) და **უშანგი მარგიანი** (90).

დეკემბერში ჩვენებს სანაკრებო დონეზე კიდევ ერთი სოლიდური შეჯიბრება ელოდებათ: 16-17 დეკემბერს სანქტ-პეტერბურგში გასამართავი მასტერსი. მონაწილეობა იქაც კვოტირებულია: იწვევენ მხოლოდ მსოფლიოს რეიტინგის 16 საუკეთესო ათლეტს თითოეული წონიდან. ჩვენ ყველა წონაში გვყავს განთესილებში ხალხი და, შესაბამისად, ნევისპირა ქალაქშიც მოზრდილი გუნდით წავალთ. თუმცა უმეტეს წონებში მხოლოდ თითო მონაწილე გვეყოლება, ორი ფალავნით მხოლოდ ორ წონაში - 90-სა და მძიმეში ვიქნებით წარმოდგენილნი.

**60 კგ.** ამირან პაპინაშვილი: III ადგილი, 3393 ქულა
**66 კგ.** ვაჟა მარგველაშვილი: III, 3126
**73 კგ.** ლაშა შავდათუაშვილი: VIII, 1482
**81 კგ.** ზებედა რეხვიაშვილი: VII, 2350
**90 კგ.** ბექა ღვინიაშვილი: X, 2350; უშანგი მარგიანი: XII, 2259
**100 კგ.** ვალერი ლიპარტელიანი: IV; 3032
**+100 კგ.** გურამ თუშიშვილი: III, 2780; ადამ ოქრუაშვილი: X, 1930.

გვერდი მოამზადა
**ირაკლი თავაძემ**

სუმო. კიუშუს ბაშო

# ორი დადებითი ბალანსი

**გუშინ** იაპონიის კუნძულ კიუშუზე დასრულდა წლის უკანასკნელი, მე-6 ბაშო, რომელშიც წარმატებით იასპარეზეს ქართველმა სუმოისტებმა. მაკუუჩის დივიზიონში 30 წლის ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი) ასპარეზობს, რომელიც მე-6 მაეგაშირას რანგში ჭიდაობს. მეორე დივიზიონ ძურიოში კი თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ) მე-12 ნომერია.

ლევან გორგაძემ ელიტაში 15-დან 9 ორთაბრძოლა მოიგო და 6 დათმო. ქართველი აუცილებლად წაიწევს წინ რეიტინგში. ძურიოს დივიზიონში თეიმურაზ ჯუღელმა 10 ორთაბრძოლა მოიგო და 5 დათმო.

იმპერატორის თასი მონღოლმა დიდმა ჩემპიონმა ჰაკუჰომ მე-40-ედ მოიგო, რომელმაც ბაშოზე მხოლოდ ერთი მარცხი იწვნია და სუპერტურნირი 14-1 ბალანსით დაასრულა. რეიტინგი 26 დეკემბერს გამოქვეყნდება, ხოლო მომდევნო ბაშო ტოკიოში 14-28 იანვარს გაიმართება.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ტოჩინოშინი

სამთო თხილამურები

# თედიაშვილის პირველი სტარტები



ნინო წიკლაური ოლიმპიადაზე იასპარეზებს

სათხილამურო ფრისტაილის სკი კროსის დისციპლინაში საქართველოს ნაკრების წევრმა **დავით თედიაშვილმა** 7-იდან 25 ნოემბრამდე ავსტრიაში პიტცტალის მყინვარზე მდებარე სათხილამურო ბაზაზე გაიარა საწვრთნელი შეკრება. სპეციალური მომზადების შემდეგ იგი იქვე ორი დღის განმავლობაში საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გამართულ ავსტრიის თასის გათამაშებაში (სკი კროსი) მონაწილეობდა. ასპარეზობის პირველ დღეს მან 67-ე ადგილი დაიკავა. კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. **იონას ლეხნერი** (შვეიცარია), 2. **კევინ დრური** (კანადა), 3. **ადამ კაჩერი** (ავსტრია). მეორე დღეს ქართველმა სპორტსმენმა ხუთი საფეხურით წინ წაიწია და შეჯიბრება 62 ადგილზე დაასრულა. პირველი ადგილი ისევ იონას ლეხნერმა დაიკავა. მეორე-მესამე ადგილები კანადელებმა - **კრისტოფერ მაჰლერმა** და კევინ დრურიმ გაინაწილეს.

■ ■ ■

12 ნოემბრიდან ავსტრიაში იმყოფებიან სავარჯიშოდ საქართველოს სამთო მოთხილამურეთა ნაკრების წევრები - **ნინო წიკლაური, იასონ აბრამაშვილი, ალექსი ბენიაიძე** და **სოსო ჯაფარიძე**. ისინი საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) ეგიდით დაგეგმილ 2017-2018 წლების ზამთრის სეზონის საერთაშორისო ტურნირებში საასპარეზოდ და საკვალიფიკაციო (მსოფლიო რეიტინგის) ქულების დასაგროვებლად ემზადებიან. გაისად თებერვალში პიონგჩანგი ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს და ჩვენები ოლიმპიადის საგზურების მოპოვებასა და რეიტინგის გაუმჯობესებას შეეცდებიან. საგულისხმოა, რომ ზამთრის ორი თამაშების მონაწილე ნინო წიკლაურს ბოლო ორი წლის განმავლობაში მოგროვებული სარეიტინგო ქულებით კორეაში გამგზავრება უკვე განაღდებული აქვს.

ქართველი სამთომოთხილამურეები 28 ნოემბიდან 4 დეკემბრის ჩათვლით ავსტრიაში მოსინჯავენ ძალებს, შემდეგ კი იტალიაში გადაინაცვლებენ.

ვაჟა დანელია

რეტრო

# ქართველები პირველობას არ თმობენ

2013 წლის 15 აგვისტოს ჩატარდა ჩემპიონატი უკრაინის ქალაქ იალტაში, რომელზეც მოწვევა მიიღო საქართველოს ტაიბოქსის და კიკბოქსინგის ფედერაციამ. ჩემპიონატზე ძალიან დიდი გამარჯვება მოიპოვეს ჩვენმა მებრძოლებმა. მათ შორის 81 კგ. წონით კატეგორიაში **დავით ჭიხვარიამ**. შეჯიბრში მონაწილეობას იღებდა 15 ქვეყნის საუკეთესო მებრძოლი. გვაქვს საშუალება გავესაუბროთ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ წევრს დავით ჭიხვარიას.

**- პირველ რიგში გილოცავთ ევროპის ჩემპიონის ტიტულს. რა შეგიძლიათ გვითხრათ იალტაში ბრძოლაზე და საერთოდ ამ ტურნირზე?**

- ბრძოლის წინ სამზადისი და ემოციები როგორც წესი ყოველთვის დატვირთული და ემოციურად ძლიერია. მთელი დატვირთვით ვვარჯიშობდი და ვეცადე მეჩვენებინა ეს ყველასთვის და საქართველოში ხელდამშვენებული დავბრუნებულიყავი და გამოვიდა კიდეც. მიხარია რომ გავხდი ევროპის ჩემპიონი კიდევ ერთხელ.

რაც შეეხება ტურნირს მართლაც ორგანიზებული და მასშტაბური იყო. აღსანიშნავია მსაჯების ნეიტრალურობა და პროფესიონალიზმი.



დავით ჭიხვარია

**- როგორ და როდის დატოვეთ საქართველო პირველად?**

- 18 წლის ვიყავი, როცა პროფესიულ რინგზე არაერთი ბრძოლა მქონდა ჩატარებული. კიკბოქსინგის კარიერას თუ მივყვებით 2002 წელს დავტოვე ქვეყანა პირველად, როდესაც ტურნირი ტარდებოდა უკრაინაში ქალაქ კიევში, რომელმაც დიდი წარმატება მომიტანა. ტურნირში ჩემმა გამოსვლამ უცხოელების მოწონება დაიმსახურა. მას მოჰყვა შემოთავაზებები. მიგზავნიდნენ მოწვევებს სხვადასხვა ტურნირებზე, იყო შემთხვევებიც, როცა საკუთარი სახსრებით მიწევდა წასვლა ბრძოლებზე. ყოველთვის გვერდით მედგა ჩემი ოჯახი და მეგობრები. ადვილი არასდროს არაფერი ყოფილა ჩემს ცხოვრებაში, ძალიან დიდი ძალისხმევა დამჭირდა ყველაფრის მისაღწევად.

**- თქვენ ყველაზე დიდ გამარჯვებად რას მიიჩნევთ?**

- ყველა მიღებული ჯილდო თუ პრიზი ჩემთვის განსაკუთრებულია, ვარ ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, 81 ქვეყნის მებრძოლთა შორის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებული, მსოფლიოს პრიზიორი და ამავდროულად მრავალი ტიტულის მფლობელი. თუმცა არ დავკმაყოფილდები რა თქმა უნდა ამით და უფრო დიდ წარმატებას ველი მომავალში.

®

ხელბურთი

# ქარიშხალას ქარიშხალი არენაში

საქართველოს ხელბურთელ ქალთა 2017-2018 წლების ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში საპრიზო ადგილებისთვის რვა გუნდი იბრძოლებს. ოთხი მათგანი უკვე ჩაება შეჯიბრებაში. აღმოსავლეთის გუნდები სასპორტო კომპლექს „არენაში" შეიკრიბნენ. თბილისის „ქარიშხალამ", რომელიც აქამდე მხოლოდ ასაკობრივ ჩემპიონატს თამაშობდა, პირველ ტურში დაამარცხა შარშანდელი ჩემპიონი ყვარლის გუნდი, რომელსაც ორი ლიდერი გამოაკლდა - **კუნელაშვილი** ესპანეთში, **ქიტესაშვილი** კი აზერბაიჯანის ჩემპიონატში გამოდის. გუშინ „ქარიშხალას" და თბილისის „მამულის" ორთაბრძოლა დაძაბულად მიმდინარეობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სათამაშო სიტუაციისას მოედნიდან გააძევეს „მამულის" მეკარე **ვარდიშვილი**, „ქარიშხალამ" შეძლო მეტოქის ხუთბურთიანი უპირატესობით დამარცხება: „ყვარელი" - „ქარიშხალა" 16:26, „პეგასი" - „მამული" 9:30, „ყვარელი"- „პეგასი" 18:12, „მამული" - „ყვარელი" 18:12, „ქარიშხალა" - „პეგასი" 28:14, „მამული" - „ქარიშხალა" 19:24.

**3 ტურის შემდეგ:** ქარიშხალა- 6, მამული- 4, ყვარელი- 2, პეგასი- 0 ქულა.

1-3 დეკემბერს სენაკში დასავლეთის გუნდები - „ფოთი", „წყალტუბო", „აჭარა" და „სამტრედია" ითამაშებენ.

■ ■ ■

დღეს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრებს ხელბურთელ ვაჟთა გუნდებიც გამართავენ. ეს უკვე მეხუთე სეზონია, მედლებისთვის რვა გუნდი უპირისპირდება ერთმანეთს. წლის ბოლომდე პირველი წრის პაექრობები ჩატარდება. 2018 წლის დასაწყისში ახალი სპორტის სასახლეების მშენებლობა უნდა დასრულდეს ბათუმში, გორსა და თელავში, რის შემდეგაც ხელბურთის ფედერაცია ჩემპიონატის გაგრძელებას მიმოსვლითი სისტემით გეგმავს. რვა გუნდიდან ექვსს (სამტრედიისა და წყალტუბოს გარდა) საკუთარ ქალაქში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი არენა ექნება, რაც საწვრთნელ-სათამაშო ციკლს სტაბილურსა და ეფექტურს გახდის.

დღეს პირველ ტურში ითამაშებენ: „ბათუმი" - „პეგასი" (12.00), „იმედი თელავი" - „სამტრედია" (14.00), სტუ-"ქარიშხალა" -" წყალტუბო" (16.00), „ქუთაისი" - „გორი" (18.00).

ვაჟა დანელია



ქალთა ჩემპიონატიც გახურდა

წყალბურთი

# არენა, ივერია და თბილისი

მოზარდ წყალბურთელ ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატები სამ ასაკში ტარდება. ორში პირველი წრის მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. 2004-2005 წლებში დაბადებულთა შორის მედლებისთვის 11 გუნდი იბრძვის. ისინი ორ ჯგუფში არიან გადანაწილებული. მეორე ტურის შეხვედრები აქ ასე დასრულდა: „იმედი"-"არენა" 0:20, „ქუთაისი"-"აკადემია" 7:11, „ივერია"-"აჭარა" 15:4, „სპორტმენეჯმენტი"-"საჩხერე" 10:9, „ტონუსი"-რუსთავი" 6:14, „დილომი"-"აჭარა" 6:19, „რუსთავი"-"ქუთაისი" 12:4, „ივერია"-"საჩხერე" 17:3, „არენა"-"აკადემია" 18:15, „იმედი"-"ტონუსი" 8:12.

ორი ტურის შემდეგ A ჯგუფში უდანაკარგოდ „არენა" ლიდერობს, მეორე-მესამე ადგილებზე „აკადემია" და რუსთავი" არიან. B ჯგუფში ქულათა მაქსიმუმით „ივერია" დაწინაურდა. მას კვალში მიჰყვებიან „აჭარა" და „სპორტმენეჯმენტი". მესამე ტურის შეხვედრები 8 დეკემბერს გაიმართება და ფინალური ჯგუფის მონაწილეთა ვინაობაც გაირკვევა. მანამდე კი 1-2 დეკემბერს 2002-2003 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

2000-2001 წლებში დაბადებულთა პირველობაში შვიდი გუნდი ცდის ძალებს. მეორე წრის პაექრობები: „ივერია"-"სპექტრი" 30:4, „ტონუსი"-"აკადემია" 0:10, „საჩხერე"-"ბათუმი" 14:8, „ბათუმი"-"სპექტრი"18:3, „ივერია"-"საჩხერე" 14:5, „აკადემია"-"თბილისი" 7:13. ორი ტურის შემდეგ პირველ-მესამე ადგილებს „თბილისი", „ივერია" და „აკადემია" ინაწილებენ. 16-17-წლამდელები მესამე ტურის ორთაბრძოლებს 1516 დეკემბერს გამართავენ.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

# მედლები უჩვენოდ გაინაწილეს

იტალიაში დამთავრდა 20-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს სამი წარმომადგენელი მონაწილეობდა. გასულ უქმეებზე დასკვნითი ორი ტურის ორთაბრძოლები გაიმართა, ჩვენების ფინიში ძალიან უსუსური გამოდგა: 18-წლამდელებში ევროპის ორგზის ჩემპიონმა **ნინო ხომერიკმა**, რომელიც რეიტინგით მე-9 ნომრად იყო განთესილი, მე-10 ტურში ფილიპინელი **მარი სან დიეგო** კი დაამარცხა, მაგრამ ბოლო ტურში სერბ **ტეოდორა ინჯაჩთან** დათმო პარტია და საბოლოოდ თერთმეტი შესაძლებლობიდან 6.5 ქულით მე-18 ადგილს დასჯერდა.

ჩემპიონატში ვერც **მარიამ ჭოლაძემ** იყოჩაღა: მე-10 ტურში იგი სლოვენ **ტეა ვიდიჩს** დაუზავდა, შემდეგ კი ჩინელ **კაიიუ ნინთან** წააგო და 5 ქულით 51-ე ადგილზე გავიდა. ვაჟებში **ნოე თუთისანმაც** ბოლო ორ ტურში მონაგრის მხოლოდ ნახევარი ქულით გამდიდრება შეძლო: ჯერ არგენტინელ **ალან პიჩოტისთან** ვერაფერს გახდა, მერე ფრანგ დორიან ნიკოტის დაუზავდა და საბოლოოდ ხუთი ქულით 85-ე იყო.

ვაჟა დანელია

# ქოლგა, წვიმა, სამი...

## როცა 16 სამქულიანი გამარჯვებას არ ჰყოფნის

**24 ნოემბერი**

**გერმანია-საქართველო 79:70**

18:18, 22:23, 20:20, 19:9

| გერმანია | წთ | ქ | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ | +/- | მქქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საიბუ | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -3 | 0 |
| ლოკჰარტი | 8 | 0 | 0 | 2 | 3 | 0 | 2 | 0 | 1 | 3 |
| ტადა | 24 | 0 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 1 | 2 | 2 |
| ბენზინგი | 27 | 25 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 24 |
| დორეთი | 23 | 0 | 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 0 | 6 | 2 |
| აკპინარი | 17 | 4 | 3 | 3 | 2 | 2 | 2 | 0 | 3 | 3 |
| ბართელი | 23 | 7 | 8 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | -1 | 14 |
| თიმანი | 16 | 8 | 5 | 1 | 5 | 2 | 1 | 0 | -8 | 8 |
| ზირბესი | 24 | 17 | 5 | 1 | 2 | 4 | 2 | 1 | 19 | 18 |
| ობსტი | 18 | 9 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 13 | 10 |
| ჰარტენშტეინი | 18 | 9 | 10 | 2 | 2 | 2 | 0 | 1 | 10 | 17 |

| საქართველო | წთ | ქ | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ | +/- | მქქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დიქსონი | 37 | 23 | 4 | 5 | 1 | 5 | 2 | 0 | -8 | 15 |
| ბოისა | 4 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 |
| მარკოიშვილი | 31 | 7 | 4 | 5 | 4 | 1 | 1 | 0 | -1 | 11 |
| ფაცაცია | 15 | 3 | 3 | 1 | 2 | 0 | 0 | 1 | -11 | 8 |
| დარბაიძე | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | -4 | 0 |
| ბერიშვილი | 34 | 15 | 4 | 4 | 3 | 2 | 2 | 1 | 2 | 20 |
| ბოქოლიშვილი | 32 | 7 | 1 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | -5 | 6 |
| დვალიშვილი | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | -9 | 1 |
| ცქიტიშვილი | 19 | 8 | 5 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | -12 | 5 |
| ბექაური | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | -4 | -2 |
| ბითაძე | 17 | 4 | 3 | 1 | 5 | 3 | 0 | 1 | 5 | 3 |

**მსაჯები:** ი. როსო (საფრანგეთი), მ. ჰოროზოვი (ბულგარეთი), ზ. რუტეშიჩი (მონტენეგრო)

საქართველოს ნაკრების ტრავმირებულმა უკანახაზელმა **დუდა სანაძემ** თავის „ფეისბუქზე" გამოქვეყნებულ პოსტში ჩაამწკრივა: რიცხვი 3, ქოლგა და წვიმა... მოდით, ეს კრიპტოგრამა დამწერლობაში გარდავსახოთ და გავშიფროთ: საქართველოს ნაკრებმა სამქულიანების წვიმა დაატეხა გერმანიასო, - ასეთი იყო სანაძის სიმბოლოების დედააზრი...

...მატჩის სურათიც ასეთი გახლდათ, ჩვენმა გუნდმა პირველ ტაიმში 22-დან 12 სამიანი ჩააგდო და მეოთხედი მასპინძლებს 41:40 მოუგო. თუმცა მეორე ტაიმში ალემანები მიხვდნენ, რომ ქართველებისგან მთავარი ხიფათი პერიმეტრიდან მოდიოდა, ტკიპებივით აეწებნენ სამქულიანის რკალთან მყოფ ყველა კალათბურთელს... პირველ ნახევარში მთავარ მტყორცნელებს - მაიკლ დიქსონსა და მანუჩარ მარკოიშვილს ისედაც არ აძლევდნენ ამოსუნთქვის საშუალებას. შედეგად, პირველ ტაიმში რეალიზებულ 12 სამიანს მეორეში - 4 მივამატეთ.

გაგვიჭირდა სამქულიანების ჩაგდება და გაგვიჭირდა მოგება, რადგან ფარქვეშ გერმანელებს სოლიდური უპირატესობა ჰქონდათ. მათ ბურთი 40-ჯერ მოხსნეს, ქართველებმა - 28-ჯერ. სამწამიანი ზონიდან მეტოქემ 34 ქულა ჩააგდო, ჩვენმა გუნდმა - ოდენ 8. ფარქვეშიდან 8 ქულა 40 წუთში ძალიან ცოტაა...

დიახ, ასე მოკლე დროში შეიცვალა საქართველოს ნაკრები კალათბურთელებიან-სათამაშო სტილიანად. თუ აქამდე **შერმადინი-ფაჩულია-შენგელიას** მეოხებით საქართველოს ნაკრებს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო წინა ხაზი ჰყავდა, ახლა მწვრთნელ **ილიას ზუროსს** სხვა გზა არ დარჩა - გერმანიაში თამაშის მოსაგებად პერიმეტრიდან ტყორცნებს მიმართა. რომ არა მეოთხე პერიოდში გამოცდილებისა და ენერგიის დაკლება, უთუოდ მოვიგებდით.

შერმადინ-შენგელიადან ერთ-ერთი მაინც რომ ყოფილიყო, ასეთ შემთხვევაშიც რეალური იყო ჩვენი გამარჯვება, მაგრამ კიდევ ერთხელ გულიანად უნდა შევაგინოთ ფიბასაც და ევროლიგასაც, რომელთა შეუთანხმებლობამ ძალიან დააზარალა საქართველოს დარი ნაკრებები.

### რეკორდი

საქართველოს ნაკრებს 2000-იან წლებში საუკეთესო გასვლითი მატჩი სლოვაკეთში ჰქონდა გამართული. იმ შეხვედრაში ჩვენმა გუნდმა 101:78 იმარჯვა (2008 წელს) და 15 სამქულიანი ჩააგდო. ეს მაჩვენებელი ჩვენი გუნდის ისტორიული რეკორდი იყო.

გერმანიაში კი „ჯვაროსნებმა" ახალი რეკორდი დაამყარეს - 16 სამქულიანი გამოიყენეს. **მაიკლ დიქსონმა** და **მიხეილ ბერიშვილმა** 5-5 სამიანი ჩააგდეს...

ერთ საინტერესო ამბავსაც გეტყვით: სწორედ ბერიშვილი იყო სლოვაკეთთან 2008 წელს დამყარებული რეკორდის თანამონაწილე - მისი სამქულიანის შემდეგ დაფიქსირდა საფინალო ანგარიში - 101:78.

### განწყობა

მატჩის შემდეგ ბევრმა გულშემატკივარმა მითხრა: განახევრებული შემადგენლობით გერმანიაში პირველ ტაიმში ისე ვთამაშობდით, საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდითო... ბევრმა ქომაგმა საქებარი სიტყვები არ დაიშურა - ყოჩაღ, მეტი რა ექნათ, ბოლომდე იბრძოლეს, რაც შეეძლოთ გააკეთესო...

ღირსეული წაგება იყო. აუგის სათქმელად არც კალამი მოგვიბრუნდება და არც კლავიატურა...

თუმცა არის ერთი მაგრამ - ვინც შეჯიბრების სისტემა იცის, ასეთი წაგების გამო ორმაგად დასწყდებოდა გული. გერმანიაში მოგებით დიდ ნაბიჯს გადავდგამდით არა მხოლოდ ჯგუფიდან გასვლისკენ, არამედ მსოფლიოს ჩემპიონატისკენ. მოგეხსენებათ ოთხგუნდიანი ჯგუფიდან (სერბეთი, საქართველო, გერმანია, ავსტრია) სამი საუკეთესო გადის.


მიხეილ ბერიშვილის სამქულიანი


უტევს მაიკლ დიქსონი

მომდევნო ეტაპზე გუნდებს ურთიერთშეხვედრებში მოგროვილი ქულები გადაჰყვებათ. ვთქვათ, საქართველო-გერმანია-სერბეთი გასულიყვნენ, გერმანიასთან სტუმრად მოგება გადაგვყვებოდა და თუ თბილისშიც დადებით შედეგს მივაყოლებდით, გერმანია უკვე ჩამოცილებული გვეყოლებოდა და დაგვრჩებოდა მეორე ჯგუფური ეტაპის სამ ნაკრებთან ბრძოლები. მეორე რაუნდში ჯგუფის 6-დან 3 საუკეთესო გადის მსოფლიოს თასზე.

გერმანიასთან წაგებით კიდევ უფრო გართულდა მსოფლიოზე გასვლა, რადგან მომდევნო ეტაპზე სამივე მეტოქე გვეყოლება დასამარცხებელი. თუმცა ჯერ პირველი ჯგუფური ეტაპი გვაქვს გადასალახავი. საკითხავია, რა დონის გუნდი ეყოლება თებერვალში ავსტრიას, რომელსაც სტუმრად ვეთამაშებით და სწორედ მისი ჩამოტოვებით უნდა გავიდეთ პლეი ოფში. გერმანიის გადასწრების შანსი, ცხადია, კიდევ გვაქვს, თუმცა საამისოდ თბილისში 10 და მეტი ქულით მოგებაა საჭირო...

უმჯობესია, გარკვეული დასკვნები მეორე ტურის შემდეგ გამოვიტანოთ, რომელიც კარსაა მომდგარი - დღეს გაიმართება. მანამდე ჯგუფის კალენდარს კიდევ ერთხელ გადავხედოთ.

| 24 ნოემბერი | |
|---|---|
| გერმანია-საქართველო | 79:70 |
| სერბეთი-ავსტრია | 85:64 |
| **27 ნოემბერი** | |
| სერბეთი-საქართველო | 23:00 |
| ავსტრია-გერმანია | 23:20 |
| **23 თებერვალი** | |
| გერმანია-სერბეთი | |
| ავსტრია-საქართველო | |
| **25 თებერვალი** | |
| საქართველო-გერმანია | |
| ავსტრია-სერბეთი | |
| **29 ივნისი** | |
| საქართველო-სერბეთი | |
| გერმანია-ავსტრია | |
| **2 ივლისი** | |
| სერბეთი-გერმანია | |
| საქართველო-ავსტრია | |

| A ჯგუფი | |
|---|---|
| მონტენეგრო-ესპანეთი | 66:79 |
| სლოვენია-ბელარუსი | 87:74 |
| ბელარუსი-მონტენეგრო | 67:91 |
| ესპანეთი-სლოვენია | 92:84 |
| **B ჯგუფი** | |
| შვედეთი-უკრაინა | 76:84 |
| თურქეთი-ლატვია | 85:73 |
| ლატვია-შვედეთი | 82:73 |
| უკრაინა-თურქეთი | 60:67 |
| **C ჯგუფი** | |
| პოლონეთი-უნგრეთი | 70:60 |
| კოსოვო-ლიტვა | 61:99 |
| უნგრეთი-კოსოვო | 84:76 |
| ლიტვა-პოლონეთი | 75:55 |
| **D ჯგუფი** | |
| ჰოლანდია-ხორვატია | 68:61 |
| იტალია-რუმინეთი | 75:70 |
| ხორვატია-იტალია | 64:80 |
| რუმინეთი-ჰოლანდია | 75:68 |
| **E ჯგუფი** | |
| ბოსნია-რუსეთი | 81:76 |
| ბელგია-საფრანგეთი | 59:70 |
| **F ჯგუფი** | |
| ჩეხეთი-ისლანდია | 89:69 |
| ბულგარეთი-ფინეთი | 80:82 |
| **H ჯგუფი** | |
| ისრაელი-ესტონეთი | 88:68 |
| დიდი ბრიტანეთი-საბერძნეთი | 92:95 |

მსოფლიოს თასი 2019




დღეს მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე მატჩში ბელგრადში სერბეთს ვეთამაშებით. შეხვედრა თბილისის დროით 23:00 საათზე გაიმართება.

საქართველოს ეროვნული ნაკრები სერბეთის დედაქალაქში გერმანიიდან გადაფრინდა. **ილიას ზუროსის** გუნდს გერმანიიდან ბელგრადში ჩასასვლელად 5 საათი დასჭირდა და „ქროუნ პლაზაში" დაბინავდა.

პირველ დღეს ჩვენმა კალათბურთელებმა ალექსანდრ ნიკოლიჩის სახელობის დარბაზში ერთხელ ივარჯიშეს, ხოლო 26 ნოემბერს - ორჯერ.

შეგახსენებთ, რომ სერბებთან სულ ორი მატჩი გვაქვს გამართული, ორივე ამხანაგურად და ორივეში გავიმარჯვეთ. ბოლოს ბალკანელებს ამა წლის აგვისტოში აკროპოლისის თასზე ვძლიეთ.

ამჯერად გამარჯვება ძალიან რთული იქნება, რადგან საქართველოს ნაკრებში გადახალისებული შემადგენლობაა. გვაკლია **თორნიკე შენგელია** და **გიორგი შერმადინი**, ასევე ტრავმირებულები **დუდა სანაძე, გიორგი ცინცაძე** და **ბექა ბურჯანაძე**.

სერბეთის ნაკრების მწვრთნელმა **ალექსანდრ ჯორჯევიჩმა** ილიას ზუროსთან კი დაიჩივლა, ბევრი კალათბურთელი გვაკლიაო, მაგრამ მათ ეს დანაკლისი ავსტრიასთან შეხვედრაში სულაც არ დამჩნევიათ - დამაჯერებლად მოიგეს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

| სერბეთი | | | | |
|---|---|---|---|---|
| 0 | ალექსა რადანოვი | 202 | 98 | ფმპ |
| 4 | მილენკო ტეპიჩი | 202 | 87 | ბრინდისი (იტალია) |
| 5 | მარკო სიმონოვიჩი | 203 | 86 | ზენიტი (რუსეთი) |
| 6 | მილან მაჩვანი | 206 | 89 | ბაიერნი (გერმანია) |
| 7 | ივან პაუნიჩი | 198 | 87 | თოფაზი (თურქეთი) |
| 9 | ვანია მარინკოვიჩი | 198 | 97 | პარტიზანი |
| 13 | მიროსლავ რადულიცა | 213 | 88 | ჟიანგსუ (ჩინეთი) |
| 14 | სტეფან ბირჩევიჩი | 210 | 89 | ისტანბული (თურქეთი) |
| 15 | დეიან ტოდოროვიჩი | 197 | 94 | ბილბაო (ესპანეთი) |
| 23 | სტეფან პენო | 198 | 97 | ალბა (გერმანია) |
| 24 | ილია ჯოკოვიჩი | 191 | 96 | ბორაცი |
| 32 | ჯორჯე გაგიჩი | 210 | 90 | იესილგირესუნი (თურქეთი) |

**მწვრთნელი:** საშა ჯორჯევიჩი

# რუსთავი და ამერიკა აღარ გამეორდა

## ბრძოლით მოპოვებული ძნელი გამარჯვება



საქართველოს ნაკრებმა ეს აუტი მოიგო

### რაგბი. ნოემბრის ტესტები

**საქართველო-აშშ 21:20**

**საქართველო**: (15-9) კვირიკაშვილი (მალაღურაძე 66) მათიაშვილი, შარიქაძე, კვესელაძე, მოდებაძე, ჯინჭველაშვილი, ლობჟანიძე (აფრასიძე 8); (1-8) ნარიაშვილი (ქვანია 65), ბრეგვაძე, (მამუკაშვილი 65), ჩილაჩავა (ბეკოშვილი 66), ჩხაიძე (ნემსაძე 54), მიქაუტაძე, სუთიაშვილი (ლომიძე 54), კოლელიშვილი (თხილაიშვილი 62), ბიწაძე

**3 ლ**: საჯარიმო, ჩილაჩავა ბრეგვაძე; **2 გ**: მათიაშვილი

**სინბინი**: კოლელიშვილი, ჩილაჩავა

**აშშ**: (15-9) სქალი, ტეო, ბრაქი, ქემპბელი (მეგი 79) მეთიასი (ოგსპერგერი 79), მაკგინთი, დევისი; (1-8) ქილიფი (მოუნგალოა 16) ტაუფეტეე (მელქომი 59) ველდრენი (რაიანი 52) პითერსონი (ბრეიქლი 63), სივეთა, ლენდრი (დურუთალო 75) ქვილი (ლემბორნი 52) მანოა

**3 ლ**: ტაუფეტეე (2) ქემპბელი; **ს, გ:** მაკგინთი

**მსაჯი**: პიერ ბრუსე (საფ)

*** ნოემბრის ტესტების სერიაში საქართველოს ნაკრებმა ორი მატჩი მოიგო და ერთი დათმო.**
*** გიორგი ჩხაიძემ ეროვნულ ნაკრებში მე-100 მატჩი ითამაშა.**
*** გიორგი კვესელაძემ და რეზო ჯინჭველაშვილმა პირველად ითამაშეს „ბორჯღალოსანთა" ძირითად შემადგენლობაში.**
*** საქართველო-აშშ-ის დაპირისპირებაში ანგარიში გათანაბრდა - 3:3.**

**საქართველოს ნაკრებმა ნოემბრის ტესტები გამარჯვებით დაასრულა. „ბორჯღალოსნებმა" სერიის ბოლო მატჩში ვაკის სტადიონზე ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული გუნდი 21:20 დაამარცხეს.**

ამ მატჩში ეროვნულ ნაკრებში მე-100 კეპი მოიხვეჭა „ბორჯღალოსნების" მეორეხაზელმა **გიორგი ჩხაიძემ**. ის საქართველოს ნაკრებში მესამე ცენტურიონია. ასზე მეტი მატჩი აქვთ გამართული ეროვნულ ნაკრებში ფულბეკ **მერაბ კვირიკაშვილს** და შუამარბ **დავით კაჭარავას**.

აშშ-ის ნაკრებთან თამაში ჩვენი ნაკრებისთვის არასდროს ყოფილა იოლი გასეირნება. მაშინ, როცა ჩვენი გუნდი უელსის ნაკრებთან უმძიმეს ბრძოლაში იყო, ამერიკელებმა ფრანკფურტში გერმანიის ნაკრებთან, ფაქტობრივად, ივარჯიშეს და მაქსიმალურად შემართულები გამოვიდნენ ივნისში განცდილი მარცხის გამო რევანშის ასაღებად.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ამ მატჩში, ცოტა არ იყოს, უჩვეულოდ გამოიყურებოდა. პირველად იდგნენ გუნდის ძირითად შემადგენლობაში მგეზავი **რეზო ჯინჭველაშვილი** და შუამარბი **გიორგი კვესელაძე**. პირველად ითამაშა თავიდან ბოლომდე გარემარბის პოზიციაზე **სოსო მათიაშვილმაც**. მალევე მოუწია თამაშში ჩართვამ ახალგაზრდა ცხრა ნომერ **გელა აფრასიძეს**, თუმცა არც **ვასილ ლობჟანიძეა** ხნიერი, რომელიც მე-7 წუთიდან ტრავმის გამო გამოეთიშა თამაშს. მესამედ ითამაშა ძირითად შემადგენლობაში **მირიან მოდებაძემ**.

ერთი სიტყვით, თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უკანა ხაზში ყველაზე გამოცდილი მხოლოდ ორი, გუნდის კაპიტანი **მერაბ შარიქაძე** და ფულბეკი **მერაბ კვირიკაშვილი** იყო. მიუხედავად ამისა, მეტოქის მხრიდან უდიდესი წნეხის პირობებში, ახალგაზრდა მორაგბეები არ გატყდნენ. მეტიც, მატჩის შემდეგ ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სწორედ ისინი გამოარჩია და განსაკუთრებით ხაზი გაუსვა კვესელაძისა და აფრასიძის კარგ თამაშს.

სტუმართა გუნდმა მაღალი კლასის რაგბი აჩვენა. ორჯერ ლელო იმ ხერხით გაგვიტანა, რომელიც ჩვენს გუნდს ყველაზე უკეთ გამოსდის. მოლით თამაში, ამერიკელთა მწვრთნელის თქმით, ამ მატჩისთვის საგანგებოდ დაუმუშავებიათ. თავიდან შერკინებაშიც გაგვიძალიანდნენ, მაგრამ ნელ-ნელა ამ კომპონენტში უპირატესობას მივაღწიეთ.

„ბორჯღალოსნები" ორჯერ ჩამორჩნენ მეტოქეს ანგარიშში, მაგრამ 30-ე წუთიდან, როცა 14:12 დაწინაურდნენ, მეტოქე წინ აღარ გაგვიშვია. თანაც, ჩვენმა ნაკრებმა ორი ლელო სტუმრებს კაცნაკლულმა გაუტანა.

ცხადია, იყო ხარვეზებიც. უშეცდომოდ არც მეტოქეს უთამაშია. ცუდი ისაა, რომ ხშირად ვჯარიმდებოდით. მცირე ხნით მოედანზე 13 კაცით დავრჩით. შერკინებამ, ტრადიციულად, ბევრი და ნაყოფიერად იმუშავა.

### წუთი წუთზე

1-ელი წუთი: დაინიშნა პირველი დერეფანი საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ, რომელიც „ბორჯღალოსნებმა" სუფთად მოიგეს.

მე-2 წუთი: დაინიშნა პირველი შერკინება აშშ-ის ნაკრების სასარგებლოდ.

მე-5 წუთი: ამერიკელების მრავალფაზიანი შეტევის დროს დავჯარიმდით. მეტოქემ ბურთი აუტში გადაიტანა.

მე-6 წუთი: სტუმრებმა დერეფანი ჩვენი ლელოდან 7 მეტრში სუფთად მოიგეს, მოლი ააგორეს, მძლავრი ბიძგებით „ბორჯღალოსნებს" უკან დაახევინეს და ჩათვლის მოედანში შეაღწიეს. ლელო შერკინების კვაჭმა ჯო ტაუფეტეემ გაიტანა. მგეზავმა ეი ჯეი მაკგინთიმ ვერ გარდასახა - 5:0.

მე-7 წუთი: ამ შეტევისას დაშავდა საქართველოს ნაკრების ცხრა ნომერი ვასილ ლობჟანიძე, რომელიც ახალგაზრდა გელა აფრასიძემ შეცვალა.

მე-14 წუთი: საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ პირველი საჯარიმო დაინიშნა. მერაბ კვირიკაშვილმა კარში არ დაარტყა და ბურთი აუტში გადაიტანა.

მე-17 წუთი: დერეფნიდან აგორებული მოლის შემდეგ თამაში რაკში გადავიდა. სტუმრებმა თამაშის წესი დაარღვიეს და არბიტრმა საჯარიმო დანიშნა. „ბორჯღალოსნებმა" შერკინება მოითხოვეს. მეტოქეს მძლავრად მიაწვნენ და როცა ლელო გარდაუვალი იყო, ამერიკელებმა შეტევა წესის დარღვევით შეაჩერეს. არბიტრმა საჯარიმო ლელო დააფიქსირა - 7:5.

23-ე წუთი: მატჩის არბიტრმა შუბური ბოჭვისთვის ვიქტორ კოლელიშვილი გაასინბინა.

24-ე წუთი: სტუმრებმა საჯარიმოდან ბურთი აუტში გადაიტანეს. დერეფნიდან ისევ მოლი შეკრეს და ლელო ისევ ჯო ტაუფეტეემ გაიტანა. მაკგინთიმ ამჯერად გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 12:7.

28-ე წუთი: საქართველოს ნაკრების მრავალფაზიანი შეტევა მარჯვენა ფრთაზე გაგრძელდა. გიორგი კვესელაძემ ხაზი გაჭრა, მერე შეტევა ლევან ჩილაჩავამ განაგრძო, რაკიდან ბურთი შალვა სუთიაშვილმა აიტაცა, რომელიც ზედ ლელოს ხაზთან შეაჩერეს. ისევ რაკი, ჩილაჩავა აქაც შესანიშნავად გაისარჯა და ბურთი ლელოში გადადო. სოსო მათიაშვილმა გარდასახა - 14:12.

32-ე წუთი: არბიტრმა განზრახ უხეში თამაშისთვის ლევან ჩილაჩავა გაასინბინა.

39-ე წუთი: სტუმრების ლელოდან ხუთ მეტრში დერეფანი მოვიგეთ. გიორგი ჩხაიძემ, მეტოქისთვის მოულოდნელად, ბურთი უმალვე შერკინების კვაჭს ჯაბა ბრეგვაძეს ჩამოუგდო, რომლის შეჩერებაც ამერიკელებმა ვერ შეძლეს. მათიაშვილმა გარდასახა - 21:12.

59-ე წუთი: სტუმართა მგეზავმა ეი ჯეი მაკგინთიმ საჯარიმო დარტყმა გაიტანა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა - 15:21.

66-ე წუთი: მატჩის არბიტრმა მეტოქის მორკინალი ჰულოჰოლო მოუნგალოა გაასინბინა.

67-ე წუთი: სოსო მათიაშვილმა ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმო ვერ გაიტანა.

77-ე წუთი: ამერიკელებმა შესანიშნავი იერიში წამოიწყეს და მარცხენა ფრთაზე, კიდესთან ახლოს ბრაის ქემპბელმა ლელო გაიტანა. მაკგინთიმ ვერ გარდასახა - 20:21.

### მატჩის შემდეგ

**მილტონ ჰეიგი**, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„პირველ ტაიმში მეტი ქულის მოპოვება შეგვეძლო, თუმცა ბევრი შეცდომა დავუშვით. საკუთარი შერკინება წავაგეთ და ასევე დერეფანი დავთმეთ. მეორე ნახევარში დაცვაში მოგვიწია თამაშმა და მოხარული ვარ, რომ მოგება მოვახერხეთ. რამდენიმე წლის წინათ, ასეთ თამაშს ნამდვილად წავაგებდით და წავაგეთ კიდეც რუსთავში, თუმცა ამჯერად გავიმარჯვეთ და მთავარი სწორედ ესაა...*

*ამ სამ შეხვედრაში ჩვენ ახალი ტალანტები ვიპოვეთ, რომლებიც ნაკრებს მსოფლიო თასზე გამოადგებიან. კვესელაძემ ძირითად შემადგენლობაში პირველად ითამაშა და ძალიან კარგადაც. ასევე მშვენივრად ითამაშა აფრასიძემაც, რომელსაც თამაშში ჩართვამ ძალიან მალე მოუწია...*

*ჩვენი მიზანი ნოემბრის ტესტებზე სამივე მატჩის მოგება იყო, მაგრამ ამის გაკეთება ვერ შევძელით. დავამარცხეთ კანადის და ამერიკის ნაკრებები, ხოლო წავაგეთ უელსის ნაკრებთან, რომელიც ბოლომდე წნეხში ვამყოფეთ. შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს ნაკრებმა ამ ტესტებით წინ დიდი ნაბიჯი გადადგა.*

**მერაბ შარიქაძე**, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

*„ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები ძლიერი მეტოქეა, რომელთანაც ყოველთვის ძალიან გვიჭირს. რაც ამ გუნდის წინააღმდეგ მითამაშია, ყოველთვის რთული თამაში გამოგვდის. მცირე სხვაობით ვიგებთ ან ვაგებთ და ამჯერადაც ასე იყო. ადრე კანადასთანაც იგივე ხდებოდა, თუმცა ეს უკვე წარსულში მოვიტოვეთ და მომავალში ამერიკელებთანაც დამაჯერებლად უნდა მოვიგოთ".*

დეივ **ჰიუიტი**, აშშ-ს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„ამაყი ვარ ჩემი მოთამაშეებით. მათ ბოლომდე იბრძოლეს, წინასწარ შემუშავებული გეგმა შევასრულეთ. საქართველოს ნაკრებს დავუპირისპირეთ ის, რაც მისივე ძლიერი მხარეა: დიდი ყურადღება გავამახვილეთ მოლზე, აუტზე, შერკინებაზე. კარგადაც გამოგვივიდა. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ორი ლელო მოლით გავიტანეთ."*

ბლეინ **სქალი**, აშშ-ის ნაკრების კაპიტანი:

*„ისევე, როგორც საქართველო, ჩვენც პროგრესის გზაზე ვართ. მაღალი ხარისხის თამაში იყო, თუმცა არის ხარვეზებიც, სამუშაო კიდევ ბევრი გვაქვს. კმაყოფილები როგორ არ უნდა ვიყოთ, როცა ჩვენზე ძლიერ გუნდთან კარგად ვითამაშეთ და გამარჯვებასთანაც ახლოს ვიყავით".*

| ტესტები | |
|---|---|
| ესპანეთი-ბრაზილია | 67:28 |
| შოტლანდია-ავსტრალია | 53:24 |
| ინგლისი-სამოა | 48:14 |
| იტალია-სამ. აფრიკა | 6:35 |
| რუმინეთი-ტონგა | 20:25 |
| ნამიბია-ურუგვაი | 34:39 |
| გერმანია-ჩილე | 10:32 |
| უელსი-ახ. ზელანდია | 18:33 |
| ირლანდია-არგენტინა | 28:19 |
| საფრანგეთი-იაპონია | 23:23 |
| ფიჯი-კანადა | 57:17 |

### ფიგურული ციგურაობა

## ვერცხლი შანხაიდან

ჩინეთის ქალაქ შანხაიში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი „შანხაი ტროფი-2017", რომელშიც წარმატებით იასპარეზა ქართველმა მოციგურავე **მორის ყვითელაშვილმა**. მან რუსეთის, ყაზახეთის, ჩინეთისა და სხვა ქვეყნის მოციგურავეებთან ბრძოლაში მეორე ადგილი დაიკავა.

ყოველი ახალი სტარტი მორის ყვითელაშვილს მეტ დამაჯერებლობას და გამოცდილებას ჰმატებს, კიდევ უფრო სრულყოფს მისი ახალი პროგრამების ტექნიკურ მახასიათებლებს. ამის დასტურად შანხაიში თავისუფალ ვარჯიშში 157,58 ქულის მიღებაც გამოდგება. ქართველი სპორტსმენისათვის ეს ნამდვილად წარმატებული შედეგია, იმედიანი დასაწყისია მომავალი ევროპისა, მსოფლიოს ჩემპიონატების განსაკუთრებით, ოლიმპიური თამაშების წინ.


მორის ყვითელაშვილი

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ ტურნირს მსაჯობდა საერთაშორისო კატეგორიის ქართველი მსაჯი **სალომე ჩიგოგიძე**.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

# NBA

რეგულარული ჩემპიონატი

# ზაზა TOP10-ის პირველ ადგილზე

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე 24 ნოემბრის სათამაშო დღის ათი საუკეთესო მომენტი განათავსა და პირველ ადგილზე გავიდა „გოლდენ სტეიტის" ქართველი ცენტრი **ზაზა ფაჩულია**. „ჩიკაგოს" წინააღმდეგ მატჩის ერთ-ერთ ეპიზოდში ფაჩულიამ ბურთი ჩაუჭრა **რობინ ლოპესს** და სწრაფ შეტევაში **ჯორდან ბელს** ჩაატენინა ბურთი.

„გოლდენ სტეიტმა" აღნიშნულ შეხვედრაში 143:94 მოიგო, ფაჩულიას მონაგარი კი 11 ქულა, 5 მოხსნა, 6 პასი და 2 ჩაჭრა იყო.

### ვაშინგტონი-პორტლენდი 105:108

**30:27, 22:14, 31:32, 22:35**

**ვ:** ბილი (26+7 პასი), პორტერი (24+10 მოხსნა), უბრე (13+6 მოხსნა), ფრეიზერი (11).

**პ:** ლილარდი (29+6 მოხსნა+6 პასი), მაკალუმი (26), ნურკიჩი (17+3 დაფარება), კონაუტონი (12), ვონლე (8+10 მოხსნა).

### ფილადელფია-ორლანდო 130:111

**31:28, 39:27, 31:30, 29:26**

**ფ:** რედიკი (29), შარიჩი (21+7 მოხსნა), ემბიდი (18+14 მოხსნა+6 პასი), მაკონელი (15+7 მოხსნა+13 პასი), კოვინგტონი (14+8 მოხსნა), ბეილესი (14).

**ო:** პეიტონი (22+8 მოხსნა+9 პასი), გორდონი (16+9 მოხსნა), ვუჩევიჩი (14+14 მოხსნა), ოგასტინი (14), ფურნიე (13), სიმონსი (13), სპეიტსი (11).

### შარლოტი-სან ანტონიო 86:106

**15:14, 14:26, 29:32, 28:34**

**შ:** უოკერი (18), ლემბი (12), კამინსკი (12), ჰოვარდი (10+11 მოხსნა).

**ს-ა:** პ. გასოლი (17+7 მოხსნა), ოლდრიჯი (17+7 მოხსნა), გეი (15+6 მოხსნა), ანდერსონი (14), ჯინობილი (11), მილსი (10).

### ატლანტა-ტორონტო 78:112

**25:28, 14:39, 19:32, 20:13**

**ა:** შრიოდერი (14), პრინსი (10), ბელინელი (10).

**ტ:** პაუელი (17), ვალანჩუნასი (16+8 მოხსნა), ლაური (15+13 მოხსნა+6 პასი), პოელტლი (14+7 მოხსნა), სიაკამი (13), იბაკა (12), ანუნობი (11).

### ჰიუსტონი-ნიუ იორკი 117:102

**29:39, 29:22, 37:13, 22:28**

**ჰ:** ჰარდენი (37+10 პასი), ანდერსონი (17+7 მოხსნა), არიზა (16), კაპელა (12+15 მოხსნა), ნენე (10), პოლი (6+13 პასი).

**ნ-ი:** ბიზლი (30+8 მოხსნა), ო'ქუინი (20+15 მოხსნა), ლი (17), ჰარდუეი (11+6 პასი), ჯეკი (10+8 პასი).

### ინდიანა-ბოსტონი 98:108

**32:27, 22:18, 16:37, 28:26**

**ი:** ტერნერი (19+6 მოხსნა), საბონისი (17+7 მოხსნა), სტივენსონი (16+8 მოხსნა), კოლისონი (11), ტ. იანგი (11+6 მოხსნა), ბოგდანოვიჩი (10).

**ბ:** ირვინგი (25+6 პასი), ჰორფორდი (21+6 პასი), როზირი (17), სმარტი (15+6 მოხსნა), ტატუმი (11).

### დალასი-ოკლაჰომა 97:81

**25:24, 27:13, 26:18, 19:26**

**დ:** ნოვიცკი (19), სმიტი (15), მეტიუზი (12), ბარნსი (12+12 მოხსნა), პაუელი (10).

**ო:** უესტბრუკი (28+12 მოხსნა+9 პასი), ენტონი (16), ჯორჯი (2+6 მოხსნა+10 პასი).

### იუტა-მილუოკი 121:108

**31:30, 33:27, 31:28, 26:23**

**ი:** მიტჩელი (24), ჰუდი (21), ფეივორსი (16+6 მოხსნა), ინგლსი (15+9 პასი), რუბიო (11+7 პასი), სეფოლოშა (11).

**მ:** ანტეტოკუნმპო (27+13 მოხსნა+5 პასი), სნელი (18), ბლედსოუ (18+7 პასი), ჰენსონი (11+8 მოხსნა).

### საკრამენტო-კლიპერსი 95:97

**31:25, 30:22, 10:29, 24:21**

**ს:** ჰილდი (27), რენდოლფი (17+7 მოხსნა), ჰილი (10), ბოგდანოვიჩი (10).

**კ:** გრიფინი (33), უილიამსი (18+8 პასი), რივერსი (14+7 პასი), ჯორდანი (5+16 მოხსნა).

### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 21 | 18 | 3 | 85.7 |
| 2. დეტროიტი | 18 | 12 | 6 | 66.7 |
| 3. კლივლენდი | 19 | 12 | 7 | 63.2 |
| 4. ტორონტო | 19 | 12 | 7 | 63.2 |
| 5. ფილადელფია | 18 | 11 | 7 | 61.1 |
| 6. ინდიანა | 20 | 11 | 9 | 55.0 |
| 7. ვაშინგტონი | 19 | 10 | 9 | 52.6 |
| 8. ნიუ იორკი | 19 | 10 | 9 | 52.6 |
| 9. მაიამი | 18 | 9 | 9 | 50.0 |
| 10. მილუოკი | 18 | 9 | 9 | 50.0 |
| 11. შარლოტი | 19 | 8 | 11 | 42.1 |
| 12. ორლანდო | 20 | 8 | 12 | 40.0 |
| 13. ბრუკლინი | 18 | 6 | 12 | 33.3 |
| 14. ატლანტა | 20 | 4 | 16 | 20.0 |
| 15. ჩიკაგო | 17 | 3 | 14 | 17.6 |

### დასავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ჰიუსტონი | 19 | 15 | 4 | 78.9 |
| 2. გ. სტეიტი | 20 | 15 | 5 | 75.0 |
| 3. სან ანტონიო | 19 | 12 | 7 | 63.2 |
| 4. პორტლენდი | 20 | 12 | 8 | 60.0 |
| 5. მინესოტა | 19 | 11 | 8 | 57.9 |
| 6. დენვერი | 19 | 11 | 8 | 57.9 |
| 7. ნიუ ორლეანი | 20 | 11 | 9 | 55.0 |
| 8. იუტა | 20 | 9 | 11 | 45.0 |
| 9. ლეიკერსი | 19 | 8 | 11 | 42.1 |
| 10. ოკლაჰომა | 19 | 8 | 11 | 42.1 |
| 11. მემფისი | 18 | 7 | 11 | 38.9 |
| 12. კლიპერსი | 18 | 7 | 11 | 38.9 |
| 13. ფინიქსი | 20 | 7 | 13 | 35.0 |
| 14. საკრამენტო | 19 | 5 | 14 | 26.3 |
| 15. დალასი | 20 | 5 | 15 | 25.0 |

## ორი მატჩის ჯამში: 22 ქულა, 11 მოხსნა



### ზაზას რეკორდები ხარებთან, კომპლიმენტი პელიკანებთან

ოთხმატჩიანი გასვლითი სერიის შემდეგ **ზაზა ფაჩულიას** „გოლდენ სტეიტი" მშობლიურ „ორაკლ არენას" დაუბრუნდა, ჯერ „ჩიკაგო ბულსს" უმასპინძლა, შემდეგ - „ნიუ ორლეან პელიკანსს". „ხარებს" 143:94 მოუგეს, „პელიკანებს" - 110:95.

„მეომრებმა" „ჩიკაგოსთან" განსაკუთრებით შთამბეჭდავად მეორე-მესამე პერიოდები გამართეს, 81:34 მოიგეს და მეოთხე 12-წუთეულის წინ, გამარჯვებაც დაიბევეს.

ზაზამაც ეფექტურად ითამაშა. 19 წუთში ბურთი არ აუცილებია: 3 ორქულიანი და 5 საჯარიმო სტყორცნა - 11 ქულა, 6 შედეგიანი გადაცემა, 5 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 ფოლი. შეცდომა არ დაუშვია.

11 ქულა მისი საამსეზონო რეკორდია, ისევე როგორც 6 პასი. პლუს-მინუსების გრაფაში კი +23 ეწერა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მოედანზე ყოფნისას, „გოლდენ სტეიტმა" მეტოქეზე 23 ქულით მეტი დააგროვა.

„გოლდენ სტეიტმა" **კევინ დურანტისა** და **დრეიმონდ გრინის** გარეშე ითამაშა. მათ არყოფნაში სასტარტო ხუთეულში **ჯორდან ბელი** (6 დაფარება, 7 ქულა) და **ომრი კასპი** ვიხილეთ.

### გ. სტეიტი-ჩიკაგო 143:94

**29:32, 45:21, 36:13, 33:28**

**გ-ს:** კარი (33+7 მოხსნა), ტომპსონი (29), ფაჩულია (11+6 პასი), ბელი (7+6 მოხსნა), კასპი (6) - სასტარტო; იანგი (17+6 მოხსნა), იგუოდალა (10), მაკქოუ (9), ლუნი (7), ვესტი (6), მაკგი (4), კუკი (4).

**ჩ:** მარკანენი (14+6 მოხსნა), ვალენტაინი (10+6 მოხსნა), ჰოლიდეი (8), ლოპესი (7+7 მოხსნა), დანი (6) - სასტარტო; გრანტი (21), ბლეიკნი (11), პორტისი (10+8 პასი), ფელისიო (4), ფელდერი (3).

■ ■ ■

„მეომრებმა" „პელიკანსთან" მატჩის პირველი პერიოდი არადამაჯერებლად ჩაატარეს და მეტოქეს 11:23 ჩამორჩნენ. შეუჩერებელი იყო ორლეანელი **ჯრიუ ჰოლიდეი**, რომელმაც პირველ მეოთხედში 17 ქულა ჩააგდო.

მეორე ტაიმიდან ამოქმედდა სტეფ კარი, რომელმაც მხოლოდ მესამე პერიოდში 14 ქულას მოუყარა თავი და „გოლდენ სტეიტის" სპურტი განაპირობა. საბოლოოდ, კარიმ 27 ქულა ჩააგდო (არადა, მატჩი 10-დან 10 გაფუჭებული ტყორცნით დაიწყო), **კლეი ტომპსონი** გუნდს 24-ით შეეწია. კოჭის ტრავმის გამო, კვლავ ვერ ითამაშა კევინ დურანტმა.

რაც შეეხება ზაზას, მის შესახებ „უორიორსის" ოფიციალურ საიტზე ვკითხულობთ:

*„ფაჩულია მასპინძელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. მან არა მხოლოდ კაზინსის წინააღმდეგ ითამაშა კარგად და შეზღუდა იგი 15 ქულამდე (11 ტყორცნა), არამედ შეტევაშიც ბევრი სასარგებლო რამ გააკეთა, 10 ქულა ჩააგდო, 2 პასი შეასრულა, ბურთი 6-ჯერ მოხსნა და სამჯერ ჩაჭრა".*

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ზაზამ 9-დან 4 ორქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

მატჩის ბომბარდირი 30 ქულით **ენტონი დევისი** გახდა.

„გოლდენ სტეიტი" მომდევნო მატჩს 28 ნოემბერს „საკრამენტო კინგსთან" გამართავს.

### გ. სტეიტი-ნიუ ორლეანი 110:95

**17:31, 36:22, 31:22, 26:20**

**გ-ს:** კარი (27+6 პასი), ტომპსონი (24), ფაჩულია (10+6 მოხსნა), კასპი (9), გრინი (6+7 მოხსნა+8 პასი) - სასტარტო; იგუოდალა (14), ლივინგსტონი (7), ვესტი (6), ლუნი (3), იანგი (2), მაკქოუ (2).

**ნ-ო:** დევისი (30+15 მოხსნა), ჰოლიდეი (24+6 მოხსნა+6 პასი), მური (16), კაზინსი (15+7 მოხსნა), რონდო - სასტარტო; მილერი (6), ალენი (4).

## დღის ფაქტები

- **ჯონ უოლის** გარეშე მოთამაშე „ვაშინგტონმა" მეოთხე მეოთხედში 16:5 გაქცევა მოაწყო და 92:75-ს იგებდა, მაგრამ ბოლო 90 წუთში **სი ჯეი მაკალუმისგან** 7:0 სპურტი მიიღო და „პორტლენდმა" გაიმარჯვა.

- „ოკლაჰომამ" ზედიზედ მეორე მატჩი ჩააგდო შეტევაში. პარასკევს, „დეტროიტთან" მეორე ტაიმში მოპოვებული 39 ქულის შემდეგ, „თანდერმა" „დალასთან" ჯამში მხოლოდ 81 ქულა აიღო. „მავერიქსმა" მეორე და მესამე მეოთხედებში მხოლოდ 31 ქულა დააგროვებინა მეტოქეს და თამაშში 36.7 პროცენტის სიზუსტით ასროლინა. „დალასმა" ბოლო ოთხ მატჩში მესამედ მოიგო და სეზონში პირველად გაიმარჯვა ზედიზედ ორ შეხვედრაში. „ოკლაჰომასთვის" ეს იყო ზედიზედ მეორე წაგება „გოლდენ სტეიტის" ძლევის შემდეგ.

- „ბოსტონმა" შეწყვიტა „ინდიანას" ხუთმატჩიან მოგებათა სერია. „სელტიქსმა" სეზონში პირველად ისროლა თამაშიდან 50 პროცენტზე მაღალი სიზუსტით.

- „ტორონტოს" სამმა სათადარიგომ - **ნორმან პაუელმა**, **ჯეიკობ პოელტლმა** და **პასკალ სიაკამმა** ერთად 44 ქულა დააგროვეს, მათ შორის 28 მეორე მეოთხედში, რომელიც „ტორონტომ" 39:14 მოიგო და პრაქტიკულად გადაწყვიტა მატჩის ბედი.

- **ჯეი ჯეი რედიკმა** რვა სამქულიანი ჩააგდო და 29 ქულა დააგროვა. სწორედ მან შეიტანა ყველაზე დიდი წვლილი „ფილადელფიას" გამარჯვებაში. „სიქსერზისთვის" ეს იყო ზედიზედ მესამე და ბოლო ექვს მატჩში მეხუთე მოგება. არადა, ფილადელფიელები **ბენ სიმონსის** გარეშე თამაშობდნენ, რომელსაც იდაყვის ტრავმა ჰქონდა.

- „ჰიუსტონმა" 22-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილა და „ნიუ იორკი" 15 ქულით დაამარცხა.

### უოლი ორ კვირას დაისვენებს

„ვაშინგტონის" გამთამაშებელი **ჯონ უოლი** ორ კვირას გამოტოვებს მუხლის ტრავმის გამო. როგორც NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი წერს, კალათბურთელს პრობლემები 7 ნოემბერს დაეწყო, როცა „დალასთან" მატჩში მოწინააღმდეგეს შეეჯახა. სამედიცინო შემოწმების შემდეგ, ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ უოლს გარკვეული ხანი დასვენება დასჭირდება.

უოლმა ამ სეზონში 16 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ, 20.3 ქულა, 9.2 შედეგიანი პასი და 3.4 მოხსნა დააგროვა.

### როუზმა კლივლენდი დატოვა

„კლივლენდის" გამთამაშებელმა **დერიკ როუზმა** დატოვა გუნდი, - ამტკიცებს ESPN-ის მიმომხილველი **ადრიან ვოინაროვსკი**. კალათბურთელი ფიქრობს - ღირს თუ არა პროფესიული კარიერის გაგრძელება. წყაროს ცნობით, 29 წლის კალათბურთელი დაიღალა რეგულარული ტრავმებისგან, რაც ნეგატიურად აისახება მის ემოციურ მდგომარეობაზე.

როუზი NBA-ში 2008 წლიდან გამოდის. ყოფილი MVP 2017 წელს შეუერთდა „კლივლენდს".

ევროლიგა. IX ტური

## MVP – ულანოვასი

ევროლიგის რეგულარული სეზონის მეცხრე ტურის საუკეთესო მოთამაშე გახდა კაუნასის „ჟალგირისის" ფორვარდი **ედგარას ულანოვასი**.

„ეფესთან" მოგებულ მატჩში (91:83) ლიტვის ნაკრების კალათბურთელმა 22 ქულა, 7 მოხსნა და 4 პასი დააგროვა და მისმა ეფექტურობის რეიტინგმა 32 ქულა შეადგინა. ულანოვასი კარიერაში პირველად გახდა ტურის MVP. 22 ქულა მატჩში - მისი კარიერის შედეგიანობის რეკორდია.

ტურის საუკეთესო მოთამაშის ტოპ-ხუთეულში შევიდნენ: **„არტურას გუდაიტისი** („მილანი"), **რიკი ჰიკმანი** („"ბამბერგი"), **ჯეიმს ნანელი** („ფენერბაჰჩე") და **ჯეიმს ოგასტინი** („უნიკახა").

### ფენერბაჰჩე-ხიმკი 71:67

**24:15, 14:11, 20:22, 13:19**

**ფ:** ნანელი (20), უონამეიკერი (16+6 პასი), დატომე (14+7 მოხსნა), ვესელი (12).

**ხ:** შვედი (21), ანდერსონი (13), მარკოვიჩი (11).

### პანათინაიკოსი-რეალი 82:80

**23:28, 17:26, 24:15, 18:11**

**პ:** რივერსი (20), გისტი III (15+7 მოხსნა), კალატესი (12+8 პასი), სინგლტონი (10).

**რ:** დონჩიჩი (19), ტომპკინსი (12), რეიესი (12+8 მოხსნა).

### უნიკახა-ცსკა 80:89

**16:27, 23:19, 26:17, 15:26**

**უ:** ოგასტინი (18+9 მოხსნა), ვაჩინსკი (15), სუარესი (13), მაკალუმი (12).

**ც:** როდრიგესი (21), ჰიგინსი (14), დე კოლო (13), ვორონცევიჩი (13), ჰანტერი (10+7 მოხსნა).

### ჟალგირისი-ეფესი 91:83

**22:26, 25:18, 19:17, 25:22**

**ჟ:** ულანოვასი (22+7 მოხსნა), იანკუნასი (17), დევისი (12), პანგოსი (10+7 პასი).

**ე:** დანსტონი (17+5 დაფარება), ადამსი (15), ლიდო (13), სიმონი (12), მოტუმი (11).

### ბამბერგი-ვალენსია 83:82

**20:23, 21:24, 11:19, 31:16**

**ბ:** ჰიკმანი (26), რუბიტი (13+8 მოხსნა), ტეილორი (10).

**ვ:** გრინი (17), სან ემეტერიო (12), ვან როსომი (12), ტომასი (12).

### მილანი-ოლიმპიაკოსი 85:86

**21:17, 21:29, 20:20, 23:20**

**მ:** ტეოდორი (20), გუდაიტისი (19+10 მოხსნა), მიცოვი (15), ჯეფერსონი (10), ტარჩევსკი (7+10 მოხსნა).

**ო:** მაკლინი (22+7 მოხსნა), რობერტსი (18), სტრელნიექსი (14), პაპანიკოლაუ (11).

### ც. ზვეზდა-ბასკონია 81:85

**17:22, 21:25, 19:17, 24:21**

**ც-ზ:** ლესორი (19), დობრიჩი (17), ფელდეინი (10+6 პასი).

**ბ:** ფოიგტმანი (17+8 მოხსნა), შენგელია (16), ტიმა (15), ჯენინგსი (13), ბობუა (10).

### ბარსელონა-მაკაბი 89:67

**22:11, 22:13, 22:20, 23:23**

**ბ:** კოპონენი (20), სენდერსი (18), სერაფინი (9+11 მოხსნა).

**მ:** კეინი (13+7 მოხსნა), ბოლდენი (10).

| | თ | მ | წ | სხვ |
|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 9 | 7 | 2 | 97 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 9 | 7 | 2 | 31 |
| 3. ფენერბაჰჩე | 9 | 6 | 3 | 48 |
| 4. პანათინაიკოსი | 9 | 6 | 3 | 5 |
| 5. რეალი | 9 | 5 | 4 | 45 |
| 6. მაკაბი | 9 | 5 | 4 | 3 |
| 7. ჟალგირისი | 9 | 5 | 4 | -4 |
| 8. ხიმკი | 9 | 5 | 4 | -30 |
| 9. ბამბერგი | 9 | 5 | 4 | -39 |
| 10. ბარსელონა | 9 | 4 | 5 | 64 |
| 11. ბასკონია | 9 | 4 | 5 | 14 |
| 12. ვალენსია | 9 | 3 | 6 | -2 |
| 13. მილანი | 9 | 3 | 6 | -50 |
| 14. უნიკახა | 9 | 3 | 6 | -68 |
| 15. ეფესი | 9 | 2 | 7 | -40 |
| 16. ცრ. ზვეზდა | 9 | 2 | 7 | -74 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დოპინგი

# მინუს 2 ოქრო

## რუსეთი სოჭის ოლიმპიადის გამარჯვებული აღარ არის

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ორ რუს ბობსლეისტზე - ალექსანდრ ზუბკოვსა და ოლგა სტულნევაზე, აგრეთვე ორ მოციგურავეზე - ოლგა ფატკულინასა და ალექსანდრ რუმიანცევზე მიიღო გადაწყვეტილება. სადისციპლინო კომისიამ, დენის ოსვალდის ხელმძღვანელობით, ეს სპორტსმენები ანტისადოპინგო წესების დარღვევაში დაადანაშაულა და გააუქმა მათი შედეგები 2014 წლის სოჭის ოლიმპიადაზე. ასე რომ, რუსეთმა დაკარგა ორი ოქროს მედალი, რომელიც ზუბკოვს ჰქონდა მოგებული და ერთი ვერცხლი, რომელიც ფატკულინამ მოიპოვა ციგურებით რბენაშე 500 მეტრ დისტანციაზე. ამ ოთხეულს სამუდამოდ აეკრძალა ოლიმპიადებში მონაწილეობა, მათ შორის, პიონჩანგის თამაშებში, რომელიც 2018 წლის თებერვალში გაიმართება.

შესაბამისად, რუსეთს დარჩა 10 ოქრო, 7 ვერცხლი და 7 ბრინჯაო და მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა სოჭის ოლიმპიადის მედლების სიაში. პირველ ადგილზე გადავიდა ნორვეგია (11 ოქრო, 6 ვერცხლი, 12 ბრინჯაო), მეორეზე - კანადა (10-10-5).

ზუბკოვმა სპორტული კარიერა 2014 წელს დაასრულა და დღეს ის რუსეთის ბობსლეის ფედერაციის პრეზიდენტია.




შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ანალოგიური სასჯელი გამოუტანა ექვს რუს მოთხილამურეს - ალექსანდრ ლეგკოვს, ევგენია ბელოვას, მაქსიმ ვილეგჟანინს, ალექსეი პეტუხოვს, ევგენი შაპოვალოვსა და იულია ივანოვას, აგრეთვე ოთხ სკელეტონისტს - ალექსანდრ ტრეტიაკოვს, ელენა ნიკიტინას, მარია ორლოვასა და ოლგა პოტილიცინას.

ჩამოთვლილი სპორტსმენებიდან ლეგკოვმა დაკარგა სოჭის თამაშების ოქრო და ვერცხლი, ვილეგჟანინმა - სამი ვერცხლი, ტრეტიაკოვმა - ოქრო და ნიკიტინამ - ბრინჯაო.




# რუსული მძლეოსნობა ისევ უკანონოა

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება - ძალაში დატოვოს რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციის დისკვალიფიკაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალ სეზონში რუსი მძლეოსნები ვერ მიიღებენ მონაწილეობას საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირებში. შეგახსენებთ, რომ 2017 წელს, რუსებს ინდივიდუალური განაცხადები შეჰქონდათ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად და იქ ნეიტრალური სტატუსით გამოდიოდნენ.

რუსეთის წევრობა საერთაშორისო ფედერაციაში ორი წლის წინ შეაჩერეს, მიზეზი კი რუსულ მძლეოსნობაში დოპინგის გამოყენების ხშირი შემთხვევები იყო. სწორედ ამის გამო, 2016 წელს, რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადაზე რუსეთის მძლეოსნობის ნაკრები არ იყო წარმოდგენილი.

# ახალი სკანდალი რუსეთში

## რუსული ფეხბურთის ლიდერები დოპინგს იღებდნენ

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს ინფორმატორმა, მოსკოვის ანტისადოპინგო ლაბორატორიის ყოფილმა ხელმძღვანელმა გრიგორი როდჩენკოვმა ფიფას გადასცა მონაცემები, რომელიც ამტკიცებს რუსი ფეხბურთელების მონაწილეობას დოპინგის სახელმწიფო პროგრამაში. სიაშია 34 ფეხბურთელი, მათ შორის, რუსეთის ნაკრების მოთამაშეები მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატიდან.

უფრო ადრე, როდჩენკოვის ადვოკატმა ჯიმ უოლდენმა გამოაცხადა, რომ მისი კლიენტი მზად არის გავიდეს ფიფასთან კავშირზე და წარმოადგინოს მონაცემები რუსი ფეხბურთელების მიერ დოპინგის გამოყენების შესახებ.

დოპინგის მიღებაში ეჭვმიტანილი ფეხბურთელების სრული სია ასე გამოიყურება:

1. იგორ აკინფეევი
2. იური ლოდიგინი
3. სერგეი რიჟიკოვი
4. ვასილი ბერეზუცკი
5. სერგეი იგნაშევიჩი
6. გეორგი შჩენიკოვი
7. ვლადიმირ გრანატი
8. ალექსეი კოზლოვი
9. ანდრეი იეშჩენკო
10. დმიტრი კომბაროვი
11. ანდრეი სემიონოვი
12. იგორ დენისოვი
13. ალან ძაგოევი
14. რომან შიროკოვი
15. დენის გლუშაკოვი
16. ვიქტორ ფაიზულინი
17. ოლეგ შატოვი
18. იური ჟირკოვი
19. ალექსეი იონოვი
20. ალექსანდრ კოკორინი
21. მაქსიმ კანუნიკოვი
22. ალექსანდრ კერჟაკოვი
23. ალექსანდრ სამედოვი
24. რუსლან კამბოლოვი
25. პაველ სოლომატინი
26. ივან კნიაზევი
27. სერგეი ევტუშენკო
28. იგორ გენერალოვი
29. სერგეი პეტროვი
30. ილია ზუევი
31. მიხაილ მიშჩენკო
32. იგორ ნიკულინი
33. კამილა ალექსეევა
34. ეკატერინა მასლაკი



ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი



# საფრანგეთი მეათედ

საფრანგეთის ქალაქ ლილში გამოვლინდა ჩოგბურთში მთავარი გუნდური ტურნირის - დევისის თასის გამარჯვებული. არსებობის ისტორიაში მეათედ და 2001 წლის შემდეგ პირველად, ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები გახდა.

ფრანგებმა დაძაბულ მატჩში დაამარცხეს ბელგია, რომელიც მესამედ თამაშობდა ფინალში და ისევ უტიტულოდ დარჩა. სტუმრებს ძალიან კარგ ფორმაში ჰყავდათ ლიდერი - **დავიდ გოფენი**, რომელმაც ცოტა ხნის წინ, წლის შემაჯამებელი ტურნირის ფინალში ითამაშა. მან ორივე ერთეულთა მატჩი მოიგო. მაგრამ, ძალიან სუსტად გამოიყურებოდა ბელგიელთა მეორე ნომერი **სტივ დარცისი**, რომელმაც ერთეულებში თავისი შეხვედრები პირწმინდად წააგო - ორ მატჩში მან მხოლოდ 10 გეიმი აიღო. ასეთ დროს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა წყვილების შეხვედრას, რომელიც შაბათს გაიმართა და ის ფრანგების დუეტმა (**რიშარ გასკე, პიერ-იუგ ერბერი**) მოიგო.

| საფრანგეთი-ბელგია | 3:2 |
|---|---|
| 0:1 ლუკ პუიე-დავიდ გოფენი | 5:7, 3:6, 1:6 |
| 1:1 ჟო-ვილფრიდ ცონგა-სტივ დარცისი | 6:3, 6:2, 6:1 |
| 2:1 გასკე/ერბერი-ბემელმანსი/დე ლოორი | 6:1, 3:6, 7:6(2), 6:4 |
| 2:2 ჟო-ვილფრიდ ცონგა-დავიდ გოფენი | 6:7(5), 3:6, 2:6 |
| 3:2 ლუკ პუიე-სტივ დარცისი | 6:3, 6:1, 6:0 |

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ტორონტო-ვაშინგტონი 2:4**

0:2, 0:1, 2:1

**გოლები:** 0:1 ოვეჩკინი-16 (ბექსტრიომი-15), 0:2 ოვეჩკინი-17 (ოში-10), 0:3 ვრანა-7 (ოში-11, ნისკანენი-4), 1:3 გარდინერი-2 (მეტიუსი-11), 2:3 ზაიცევი-3 (ნიულანდერი-12, მური-4), 2:4 ოვეჩკინი-18 (ოში-12, ბექსტრიომი-16).

**დეტროიტი-ნიუ ჯერსი 3:4 (ო)**

1:2, 0:0, 2:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ბუტი-1 (გლენდენინგი-1, უე-3), 1:1 ბ. ბოილი-3 (სანტინი-5, ვუდი-4), 1:2 ჰოლი-8 (ბუტჩერი-16), 1:3 ჰიშირი-4 (ჰოლი-18, ენრიკი-10), 2:3 მანტა-11 (ლარკინი-), 3:3 ბუტი-2 (ზეტერბერგი-11, აბდელკადერი-13), 3:4 გიბონსი-11.

**ოტავა-აილენდერსი 1:2**

0:0, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 ლი-12 (ბეილი-23, ნ. ლედი-13), 0:2 ებერლე-9 (ნ. ლედი-14, ბარზალი-17), 1:2 დუშენი-5 (მ. სტოუნი-10, ჰოფმანი-11).

**პიტსბურგი-ტამპა ბეი 5:2**

3:0, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 რასტი-3 (ჯერი-1), 2:0 კესელი-10 (ჰორნკვისტი-7), 3:0 კროსბი-8 (კესელი-19, შულცი-5), 4:0 კესელი-11 (შიჰენი-5), 4:1 პალატი-7 (სერგაჩოვი-10, გურდე-9), 5:1 კროსბი-9 (კესელი-20, შულცი-6), 5:2 კონაკერი-1 (კილორნი-13, ტ. ჯონსონი-6).

**მონრეალი-ბაფალო 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 პეტრი-3 (დრუენი-11, გალჩენიუკი-5), 2:0 გალჩენიუკი-5 (ბირონი-3, დრუენი-12), 3:0 გალჩენიუკი-6.

**ფლორიდა-ჩიკაგო 1:4**

0:2, 1:2, 0:0

**გოლები:** 0:1 ჰეიდენი-3 (უინგელსი-4), 0:2 საადი-8 (ტეივზი-9, კიტი-12), 1:2 მაკანი-3 (დადონოვი-11, იუბერდო-15), 1:3 პ. კეინი-9 (ტეივზი-10, საადი-4), 1:4 ტეივზი-6.

**სტ. ლუისი-მინესოტა 6:3**

3:0, 0:1, 3:2

**გოლები:** 1:0 შჩასტნი-6 (სობოტკა-8, სტინი-8), 2:0 იასკინი-3 (ტორნბურნი-3), 3:0 შვარცი-12 (ტარასენკო-15), 3:1 კოილი-1, 4:1 ბროძიაკი-3, 4:2 ზ. მიტჩელი-2 (ვინიკი-4, ენისი-3), 4:3 ე. სტაალი-8 (დუმბა-9, ზუკერი-7), 5:2 შვარცი-13 (პარაიკო-9, ტარასენკო-16), 6:2 ბლაისი-1 (სტინი-9, პარაიკო-10).

**არიზონა-ვეგასი 2:4**

0:0, 0:3, 2:1

**გოლები:** 0:1 ნოსეკი-3, 0:2 ვ. კარლსონი-13 (მარშესო-12), 0:3 ჰაულა-7 (მარშესო-13, ტეოდორი-4), 1:3 ეკმან-ლარსონი-5 (სტეპანი-11), 2:3 პერლინი-8 (სტეპანი-12, დომი-11), 2:4 მარშესო-8 (ვ. კარლსონი-9, რაილი სმიტი-13).

**კოლორადო-კალგარი 2:3**

0:1, 1:2, 1:0

**გოლები:** 0:1 დ. ჰემილტონი-3 (ტკაჩუკი-12, ბეკლუნდი-10), 1:1 რანტანენი-7 (მაკინონი-19), 1:2 ფერლანდი-10 (მონეჰანი-12), 1:3 ბეკლუნდი-6 (ჰამონიკი-2, ფროლიკი-6), 2:3 ზადოროვი-2 (ბარბერიო-3).

**სან ხოსე-ვინიპეგი 4:0**

2:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ჰიდი-3 (ლაბანკი-5, ჯ. ტორნტონი-11), 2:0 კუტური-12 (ჯ. ბრაუნი-8, ვლასიჩი-5), 3:0 კუტური-13 (ჰერტლი-9, ვლასიჩი-6), 4:0 ჰერტლი-5 (პაველსკი-7, ბერნსი-9)

**ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი 2:1 (ბ)**

0:1, 0:0, 1:0, 0:0, 2:1

**გოლები:** 0:1 რიტჩი-3 (პერი-13, ფაულერი-3), 1:1 დ. ბრაუნი-9 (ტ. ლუისი-4, დაუტი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** პერი (ანაჰაიმი), კოპიტარი (ლოს ანჯელესი), ლუისი (ლოს ანჯელესი).

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ნოტინგემი-კარდიფი | 0:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ბარი-ფოჯა | 1:0 |
| ტერნანა-პერუჯა | 1:1 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბარსელონა B-ალმერია | 1:1 |
| გრანადა-უესკა | 2:0 |
| კორდობა-ლეონესა | 2:2 |
| ლუგო-ოსასუნა | 1:0 |
| ალბასეტე-სპორტინგი | 2:2 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აუე-ბოხუმი | 1:1 |
| ფიურტი-სტ. პაული | 4:0 |
| კაიზერი-არმინია | 0:2 |
| **ჰოლანდია** | |
| აიაქსი-როდა | 5:1 |
| ექსელსიორი-ეინდჰოვენი | 1:2 |
| სპარტა-უტრეხტი | 1:3 |
| ვიტესი-დენ ჰააგი | 2:0 |
| **ბელგია** | |
| გენკი-სტანდარდი | 0:2 |
| ანდერლეხტი-კორტრიიკი | 4:0 |
| ბრიუგე-ვარეგემი | 3:2 |
| **პორტუგალია** | |
| მარიტიმუ-ეშტორილი | 0:0 |
| ფერეირა-სპორტინგი | 1:2 |
| ბენფიკა-სეტუბალი | 6:0 |
| **შოტლანდია** | |
| კილმარნოკი-აბერდინი | 1:3 |
| **შოტლანდია** | |
| **ლიგის თასი** | |
| მოზერველი-სელტიკი | 0:2 |
| **დანია** | |
| ნორდსიელანდი-ჰორსენსი | 6:0 |
| ოდენსე-ჰობრო | 3:0 |
| კოპენჰაგენი-ლუნგბიუ | 5:1 |
| სილკებორგი-ბრონდბიუ | 1:3 |
| **ნორვეგია** | |
| აალესუნდი-სტრიომსგოდსეტი | 4:3 |
| ბრანი-ტრომსიო | 2:2 |
| ჰაუგესუნდი-კრისტიანსუნდი | 2:3 |
| მიოლდე-სარპსბორგი | 2:2 |
| ოდ გრენლანდი-რუსენბორგი | 1:0 |
| სანდეფიორდი-ლილესტრიომი | 1:3 |
| სიოგნდალი-ვოლერენგა | 5:2 |
| ვიკინგი-სტაბეკი | 2:0 |
| **ავსტრია** | |
| ვოლფსბურგერი-აუსტრია | 1:2 |
| რაპიდი-ზალცბურგი | 2:3 |
| **შვეიცარია** | |
| ციურიხი-ლოზანა | 2:0 |
| ლუგანო-იანგ ბიოიზი | 1:2 |
| სიონი-გრასჰოპერსი | 3:0 |
| **საბერძნეთი** | |
| პანიონიოსი-პაოკ | 2:2 |
| ასტერასი-ლევადია | 2:0 |
| პანეტოლიკოსი-ლარისა | 3:1 |
| კერკირა-ოლიმპიაკოსი | 1:3 |
| **თურქეთი** | |
| ბურსა-ქარაბუქი | 2:1 |
| შივასი-ტრაბზონი | 1:2 |
| ქასიმფაშა-ქონია | 2:1 |
| ანტალია-ფენერბაჰჩე | 0:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ტეპლიცე-პლზენი | 0:0 |
| სიგმა-სპარტა | 1:0 |
| **რუსეთი** | |
| ურალი-კრასნოდარი | 0:1 |
| რუბინი-ცსკა | 0:1 |
| როსტოვი-ანჟი | 2:0 |
| **უკრაინა** | |
| ვერესი-ჩერნომორეცი | 3:1 |
| ოლექსანდრია-კარპატი | 3:0 |
| სტალი-დინამო | 0:2 |
| ზორია-ზირკა | 1:0 |
| **პოლონეთი** | |
| ლეხი-პლოცკი | 2:1 |
| შლიონსკი-ზაგლებე | 1:0 |
| **ჰოკეი** | |
| **NHL** | |
| კაროლინა-ნეშვილი | 4:3 (ბ) |
| რეინჯერსი-ვანკუვერი | 4:3 (ბ) |

# ფორმულა 1
## აბუ დაბის გრანპრი

## დიდი ცირკის ახალი ლოგო

ფორმულა 1-ში მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო ეტაპის - აბუ დაბის გრანპრის დასრულების შემდეგ, დაჯილდოების ცერემონიის დროს, ფორმულა 1-ის ახალი ლოგო წარადგინეს.

ამ სარბოლო სერიის კომერციული უფლებების ახალმა მფლობელმა Liberty Media-მ დაადასტურა, რომ ახალი სეზონის სტარტისთვის შეიცვლება ჩემპიონატის მთელი საფირმო სტილი, მათ შორის, სატელევიზიო გრაფიკა. ყველა სიახლე უკვე 2018 წელს იქნება წარმოდგენილი.

ლოგოს წინა ვარიანტი 23 წლის განმავლობაში გამოიყენებოდა.

# ბოლო გრანპრი ბოტასისაა



დასრულდა 2017 წლის სეზონი ფორმულა 1-ში. ჩემპიონატის ბოლო ეტაპი - აბუ დაბის გრანპრი „მერსედესის" დუბლით აღინიშნა. გამარჯვება მოიპოვა ფინელმა **ვალტერი ბოტასმა**, რომელსაც თანაგუნდელი **ლუის ჰემილტონი** 1.832 წამით ჩამორჩა. მესამეზე 21-წამიანი ჩამორჩენით „ფერარის" პილოტი **სებასტიან ფეტელი** გავიდა.

აბუ დაბიში პოულის მფლობელი ბოტასი იყო, ხოლო მეორე სასტარტო პოზიცია ჰემილტონს ჰქონდა. სტარტის შემდეგ ლიდერებს შორის პოზიცია არ შეცვლილა. ბოტასმა ერთადერთხელ დაკარგა ლიდერობა, როცა ბოქსებში საბურავების გამოსაცვლელად თანაგუნდელზე ადრე შევიდა, მაგრამ, როგორც კი იგივე პროცედურა ბრიტანელმაც შეასრულა, სტატუსკვო აღდგენილი იყო.

„მერსედესთან" კონკურენცია ვერ შეძლო სებასტიან ფეტელმა, სამაგიეროდ, მას კონკურენტი არ ჰყავდა მესამე ადგილისთვის ბრძოლაში, რადგან დანიელ რიკარდოს მანქანაზე ძრავა გამოვიდა მწყობრიდან და ავსტრალიელმა რბოლის დასრულება ვერ მოახერხა.

„მერსედესმა" სეზონში მეოთხე დუბლი შეასრულა, ბოტასმა კი მესამე ეტაპი მოიგო. მან 305 ქულით მესამე ადგილი დაიკავა ჩემპიონატში. მეორეზე გავიდა ფეტელი - 317 ქულით, ხოლო კარიერაში მეოთხედ ჩემპიონი გახდა ლუის ჰემილტონი - მან 9 ეტაპი მოიგო და 363 ქულა დააგროვა.

## აბუ დაბის გრანპრი

| აბუ დაბი. 55 წრე, 305.355 კმ | |
|---|---|
| 1(1). ვალტერი ბოტასი (ფინ, მერსედესი) | 1:34.14,062 (1) |
| 2(2). ლუის ჰემილტონი (ბრიტ, მერსედესი) | +3,899 (1) |
| 3(3). სებასტიან ფეტელი (გერ, ფერარი) | +19,330 (1) |
| 4(5). კიმი რაიკონენი (ფინ, ფერარი) | +45,386 (1) |
| 5(6). მაქს ფერსტაპენი (ჰოლ, რედ ბული) | +46,269 (1) |
| 6(7). ნიკო ჰიულკენბერგი (გერ, რენო) | +85,713 (1) |
| 7(8). სერხიო პერესი (მექ, ფორს ინდია) | +92,062 (1) |
| 8(9). ესტებან ოკონი (საფ, ფორს ინდია) | +98,911 (1) |
| 9(11). ფერნანდო ალონსო (ესპ, მაკლარენი) | 1 წრე (1) |
| 10(10). ფელიპე მასა (ბრა, უილიამსი) | 1 წრე (1) |
| 11(16). რომენ გროსჟანი (საფ, ჰაასი) | 1 წრე (1) |
| 12(13). სტოფელ ვანდორნი (ბელ, მაკლარენი) | 1 წრე (1) |
| 13(14). კევინ მაგნუსენი (დან, ჰაასი) | 1 წრე (1) |
| 14(18). პასკალ ვერლაინი (გერ, ზაუბერი) | 1 წრე (1) |
| 15(20). ბრენდონ ჰარტლი (ზელ, ტორო როსო) | 1 წრე (1) |
| 16(17). პიერ გასლი (საფ, ტორო როსო) | 1 წრე (1) |
| 17(19). მარკუს ერიქსონი (შვედ, ზაუბერი) | 1 წრე (1) |
| 18(15). ლენს სტროლი (კან, უილიამსი) | 1 წრე (3) |
| **ფინიშზე ვერ მივიდნენ** | |
| 19(12). კარლო საინსი (ესპ, რენო) | 23 წრე |
| 20(4). დანიელ რიკარდო (ავსტრა, რედ ბული) | 34 წრე |

| საერთო ჩათვლა | კონსტრუქტორთა თასი |
|---|---|
| 1. ჰემილტონი - 363 (9 მოგება) | 1. მერსედესი - 668 |
| 2. ფეტელი - 317 (5) | 2. ფერარი - 522 |
| 3. ბოტასი - 305 (3) | 3. რედ ბული - 368 |
| 4. რაიკონენი - 205 | 4. ფორს ინდია - 187 |
| 5. რიკარდო - 200 (1) | 5. უილიამსი - 83 |
| 6. ფერსტაპენი - 168 (2) | 6. რენო - 57 |
| 7. პერესი - 100 | 7. ტორო როსი - 53 |
| 8. ოკონი - 87 | 8. ჰაასი - 47 |
| 9. საინსი - 54 | 9. მაკლარენი - 30 |
| 10. მასა - 43 | 10. ზაუბერი - 5 |
| 10. ჰიულკენბერგი - 43 | |

## პისტორიუსის საპატიმრო ვადა 7 წლით გაიზარდა

სამხრეთ აფრიკის უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის აპელაცია მძლეოსანი-ამპუტანტის **ოსკარ პისტორიუსის** განაჩენზე. სააგენტო AFP-ის ინფორმაციით, ცნობილი მორბენლის პატიმრობის ვადა ექვსი წლიდან 13 წლამდე და 5 თვემდე გაიზარდა.

შეგახსენებთ, რომ პისტორიუსი გასამართლებულია თავისი შეყვარებულის, ყოფილი მოდელის რევა სტენკამპის მკვლელობისთვის. ტრაგედია მძლეოსნის სახლში 2013 წლის 14 თებერვალს მოხდა. პისტორუსმა რამდენჯერმე გაისროლა ტუალეტის დახურული კარის მიმართულებით, რომლის მეორე მხარეს სტენკამპი იმყოფებოდა. ქალი მიღებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა. სასამართლოში პისტორიუსი აცხადებდა, შეყვარებული მძარცველად აღიქვა და ამის გამო ესროლა, მაგრამ მისი არგუმენტები სასამართლომ არ მიიღო.





## ეგრევე მეორე ადგილი

2001 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელს **მაიკლ ოუენს** დებიუტი ჰქონდა ჟოკეის ამპლუაში, - იტყობინება BBC. ასკოტში გამართულ თავის სადებიუტო დოღში ინგლისელმა მეორე ადგილი დაიკავა. იმისთვის, რომ ჟოკეის კარიერა დაეწყო, 37 წლის ოუენმა ექვსი კილოგრამი დაიკლო.

მაიკლ ოუენმა საფეხბურთო კარიერა 2013 წელს დაასრულა და მას შემდეგ, სახელი გაითქვა ცხენების მოშენებით და ამ სფეროში წარმატებული ბიზნესმენი გახდა. ის რამდენიმე საჯინიბოს მფლობელია ჩეშირის საგრაფოში.

## დოქტორი ფედერერი

ლეგენდარულმა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა **როჯერ ფედერერმა** ბაზელის უნივერსიტეტისგან დოქტორის საპატიო ხარისხი მიიღო. კერძოდ, სამედიცინო ფაკულტეტმა სათანადოდ დააფასა ფედერერის ქველმოქმედება, აგრეთვე, მისი წვლილი ქალაქისა და ქვეყნის პოპულარიზაციაში.

*„დოქტორის ხარისხი ისეთივე ბედნიერებას მანიჭებს, როგორც „დიდი სლემის" ტურნირის მოგება"*, - განაცხადა ფედერერმა ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

როჯერ ფედერერის საქველმოქმედო ორგანიზაცია 14 წლის განმავლობაში აფრიკაში მცხოვრებ 850 ათას ბავშვს დაეხმარა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა
ISSN 2233-3827
9 772233 382000
დაიბეჭდა სტამბა კოლორში

საპატიო რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
*საკონტაქტო ტელეფონი რედაქციაში*
***238 84 44; 599 55 48 97***

მთავარი რედაქტორი **გია თვალაბეიშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28);** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;**
ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-2015), გია თვალაბეიშვილი (2015-დან)**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00
ტელეფონი: **238 84 44; 238 74 44 (რედაქცია).** ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70;** გაზეთის გამოწერა: **238 26 73.**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608
**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე: www.elva.ge ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით: 237 50 03; ადგილზე მიტანა უფასოა!**